

**ბარეჯის  
კვლევის ცენტრი**

**შრომები**

**I**

---

**Proceedings**

**GAREJA STUDIES  
CENTRE**



**2000**

ZAZA SKHIRTLDADZE

**Historical Figures at Kolagiri  
Monastery  
in the Gareja Desert**

**Tbilisi  
2000**

ზაზა სხირტლაძე

**ისტორიულ პირთა პორტრეტები  
ბარეჯის მრავალმთის ქოლავირის  
მონასტერში**

თბილისი  
2000

ისტორიულ პირთა გამოსახულებების ვრცელი რიგი, რომელსაც წინამდებარე ნარკვევი ეძღვნება, იერისპირა გარეუჯის ერთერთი გამოქვაბული მონასტრის - ქოლაგირის მთავარ ტაძარში შემორჩა. პორტრეტთა იდენტიფიკაციისას ფრაგმენტულად შემონახულ განმარტებით წარწერებში აღბეჭდილ რეალიებთან ერთად გათვალისწინებულია საისტორიო წყაროების მონაცემები. აგრეთვე საკტიტორო პორტრეტთან დაკავშირებით ქართულ და აღმოსავლურ-ქრისტიანულ სახეით ხელოვნებაში გამჟღავნებული ტენდენციები. მათ მიხედვით ფრესკების შესრულების სავარაუდო პერიოდი XII-XIII საუკუნეების მიჯნით შეიძლება განისაზღვროს. ქოლაგირის მონასტრის ისტორიული პორტრეტების კვლევა მრავალმხრივ საგულისხმო ჩანს როგორც დასახელებული პერიოდის საქართველოს პოლიტიკურ ვითარებასა და სამოხელეო წყობასთან დაკავშირებული პრობლემების შესასწავლად, ისე მრავალმთის სამონასტრო გაერთიანების აღმოსავლეთი განაპირა მხარის ისტორიისათვის.

**რედაქტორი:** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტი პროფ. ზაზა ალექსიძე

**რეცენზენტები:** საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი პროფ. დავით მუსხელიშვილი

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი  
პროფ. გურამ აბრამიშვილი

© გარეჯის კვლევის ცენტრი



Gareja Studies Centre 2000

ISBN 99928-73-03-9



ქოლაგირის გამოქვაბული მონასტრის სახელი სწავლულთათვის ჯერ კიდევ XIX საუკუნის მიწურულს გახდა ცნობილი. იქიდან მოყოლებული, გარეჯის მრავალმთის მონასტერთა ჩამოთვლისას სხვათა გვერდით ქოლაგირსაც ასახელებდნენ, თუმცა იმხანად მარტოოდენ მისი არსებობა უწყოდენ.<sup>1</sup>

1930-იან წლებში გარეჯში მოგზაურობისას ორი მონასტრის – საბერეებისა და ქოლაგირის მოკლე აღწერები და ჩანახატები შეუსრულებია დიმიტრი გონაშვილს. ეს მასალა 1950 წელს შემოკლებული სახით გაზეთ “სახალხო განათლებაში”, ხოლო 1964-1965 წლებში შედარებით უფრო ვრცლად ჟურნალ “საბჭოთა ხელოვნების” ორ ნომერში გამოქვეყნდა.<sup>2</sup> ქოლაგირის გამოქვაბული ეკლესიის ფრესკების აღწერა ამ პუბლიკაციებში სულ რამდენიმე აბზაცით იფარგლება, ხოლო საჟურნალო წერილს ისტორიულ პირთა გამოსახულებების გაუწაფავი ხელით შესრულებული ორი ნახატიც ერთვის. მიუხედავად ამისა, აღნიშნული მასალა იმითაა ფასეული და საგულისხმო, რომ იგი ასახავს კედლის მხატვრობისა და მისი საკტიტორო პორტრეტების მდგომარეობას ჯერ კიდევ ამ ექვსი ათეული წლის წინ. აღწერის ავტორის მიხედვით, ქოლაგირში მისი ყოფნის დროს ეკლესიის მოხატულობაში ისტორიულ პირთა ცხრა გამოსახულება იყო შემორჩენილი. პუბლიკაციაში მოტანილია ერთ-ერთი ფიგურის თანმხლები ასომთავრული წარწერის ფრაგმენტებიც.

ქოლაგირის საკტიტორო პორტრეტთა განმარტებითი ტექსტები შესულია კახეთის ისტორიულ ძეგლთა წარწერების კრებულში, რომელიც 1962 წელს თეიმურაზ ბარნაველმა გამოსცა.<sup>3</sup> ეს ეპიგრაფიკული მასალა მკვლევარს თეიმურაზ თოდუას მიერ მისთვის გადაცემული ფოტოების მიხედვით მოჰყავს. უთუოდ ამის გამოა, რომ ავტორს იმხანად ბევრად უკეთ შემორჩენილი ვრცელი ასომთავრული ტექსტებიდან ძირითადად მხოლოდ ცალკეული ასოები ან გაურკვეველი შინაარსის ფრაგმენტები ამოუკითხავს. პუბლიკაციაში მითითებულია კტიტორთა

<sup>1</sup> П. Иоселиани, Описание древностей Города Тифлиса, Тифлис, 1866, с. 33; ბატონიშვილი ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, მ. ჯანაშვილის რედაქციით, ტფილისი, 1904, გვ. 67, შენ. 122; Г. Н. Чубинашвили, Пещерные монастыри Давид Гареджи, Тбилиси, 1948, с. 18, прим. 4; გ. ჩუბინაშვილისავე ცნობით, 1949 წელს, არქეოლოგიური კვლევა-ძიების პროცესში, ქოლაგირის მონასტრის მოხატულობისათვის ყურადღება მიუქცევია ნინო ბერძენიშვილს. Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, Тбилиси, 1958, с. 4.

<sup>2</sup> დ. გონაშვილი, ისტორიული მონასტრები იერის ხეობაში, სახალხო განათლება, №32, 9.VIII.1950; მისივე, იერის ხეობაში, საბჭოთა ხელოვნება, 1964, №2, გვ. 60-64; 1965, №12, გვ. 49-54 (ქოლაგირის შესახებ საუბარია წერილის პირველ ნაკვეთში).

<sup>3</sup> თ. ბარნაველი, კახეთის ისტორიულ ძეგლთა წარწერები, თბილისი, 1962, გვ. 56-58.

თოთხმეტფიგურიანი ჯგუფის არსებობის შესახებ. წარწერების პალეოგრაფიული ნიშნების საფუძველზე პორტრეტების შესრულება XII საუკუნის ფარგლებში ივარაუდება, თუმცა იქვე ხაზგასმულია თარიღის შემდგომი დაზუსტების აუცილებლობა.

მონაწილე ცნობა ქოლაგირის მონასტერში მოხატულობის ფრაგმენტთა, მათ შორის ისტორიულ პირთა პორტრეტების, არსებობის თაობაზე თეიმურაზ თოდუას პუბლიკაციაშიც მოიპოვება.<sup>4</sup>

მონასტრის სატრაპეზოს ფერწერული შემკულობის მხატვრული თავისებურებების დახასიათებასთან ერთად მთავარი ეკლესიის ფრესკებს ეხება ანელი ვოლსკაია – მოხატულობის შესრულების სავარაუდო პერიოდად მასთან XIII საუკუნის მეორე ნახევარი არის დასახელებული.<sup>5</sup>

იმავდროულად, გარეჯის მრავალმთის სხვა მონასტერთა გვერდით, ქოლაგირი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სპელეისტიკური ლაბორატორიის კვლევის ობიექტი გახდა. გივი გაფრინდაშვილი საგანგებოდ უსვამს ხაზს, რომ: “ქოლაგირის რამდენადმე ცნობილი ფრესკული წარწერების ტექსტების დაზუსტებით მხატვრობა XIII საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება. დადგინდა მხატვრობაში მოცემული ზოგიერთი პირის ვინაობა, ამასთან ერთი წარწერა მნიშვნელოვან მასალას იძლევა მწიგნობართუხუცესისა და ვაზირთუხუცესის ინსტიტუტთა ურთიერთმონაცვლეობის მეტად მნიშვნელოვანი პრობლემის გასარკვევად”.<sup>6</sup>

მასალების თავმოყრა ქოლაგირის ტაძრის მოხატულობის შესახებ 1979 წელს დაიწყო. რამდენადმე უფრო გვიან, 1987 წლის აპრილში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის გარეჯის ეპიგრაფიკულ ექსპედიციაში მონაწილეობის დროს, ნაკაწრი წარწერების ადგილზე შესწავლის პარალელურად, შევასრულე საკტიტორო გამოსახულებების აღწერები, გრაფიკული ასლები და ფოტოები.<sup>7</sup> ეს სამუშაოები შემდგომ წლებშიც გრძელდებოდა. ამ მხრივ განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა 1997 და 1998 წლების ექსპედიციები. პირველ წელს გარეჯის მონასტრებში მუშაობდა ძეგლთა ფიქსაციის ლაბორატორიის ჯგუფი, რომელმაც ფონდ “ლია საზოგადოება-საქართველოს” დაფინანსებით უყარად სლაიდებზე და შავ-თეთრ ფოტოებზე აღბეჭდა მრავალმთის სიძველეები, მათ შორის ქოლაგირი და მისი ფრესკები.<sup>8</sup> ამ სამუშაოების პროცესში შესაძლებ-


<sup>4</sup> თ. თოდუა, გარეჯა (მონასტერთა ლოკალიზაციისათვის), *ძეგლის მეგობარი*, №31-32, 1973, გვ. 18.


<sup>5</sup> А. И. Вольская, *Росписи средневековых трапезных Грузии*, Тбилиси, 1974, с. 154-155.

<sup>6</sup> გ. გაფრინდაშვილი, ძველი ქართული კულტურის კვლევის სპელეისტიკური პრობლემები და გარეჯის უღაბნო, *სპელეისტიკური კვლევა-ძიებანი*, სპელეოლოგთა XII სამეცნიერო სესია, მოხსენებათა მოკლე შინაარსი, თბილისი, 1977, გვ. 9.

<sup>7</sup> ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: ხელნაწერთა ინსტიტუტიდან – დარეჯან კვლიაშვილი, თამარ ოთხმეზური, ნიკო ხუციშვილი; ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტიდან – გიორგი ბაგრატიონი, ზაზა სხირტლაძე.

<sup>8</sup> ექსპედიციის შემადგენლობაში შედიოდნენ: ოთარ ქობალიანი (ხელმძღვანელი), გიო გერსამია, შალვა ლეჟავა, ვაჟა ჩაგელიშვილი, საბა დემეტრაშვილი, ვაჟა დემეტრაშვილი, ზაზა სხირტლაძე.





სურ. 2

ლობა მომეცა დამეუსუსტებინა საკტიტორო გამოსახულებებთან არსებულ ვრცელი წარწერებისაგან შემორჩენილი ფრაგმენტების ცალკეული სათუო მონაკეთების შესაძლო წაკითხვა. მომდევნო წელს, ინტასის (INTAS) გრანტის საფუძველზე დაიწყო მრავალწლიანი საერთაშორისო პროექტის განხორციელება, რომელიც მრავალმთის მონასტრების არქიტექტურის, კედლის მხატვრობისა და ეპიგრაფიკის სრულ ფიქსაციას ისახავს მიზნად.<sup>9</sup> ამ სამუშაოების დროს მამუკა კიკნაძის, შალვა ლეუაეას და ჩემ მიერ ქოლაგირის მონასტრის სხვა ქვაბებთან ერთად აზომილი იქნა მთავარი ეკლესიაც.<sup>10</sup> დაზუსტდა საკტიტორო გამოსახულებებთან დაკავშირებული ცალკეული მხარეებიც.<sup>11</sup> დიდი ხანი არ არის, რაც ინტასის პროექტისავე ფარგლებში ძველი ქართული კედლის მხატვრობის კვლევის, ფიქსაციისა და რესტავრაციის ცენტრის მიერ (ხელმძღვანელი მერაბ ბუჩუკური) განხორციელდა მონასტრის ეკლესიისა და სატრაპეოსო ფრესკების რესტავრაცია; ჩამონაშალი მიწისა და კედლის ლოდებისაგან გაიწმინდა ტაძრის ინტერიერი.<sup>12</sup> მასალები, რომლებიც ამ სამუშაოების პროცესში იქნა გამოყენებული, მრავალმხრივ საგულისხმო აღმოჩნდა გამოქვაბული მონასტრისა და მისი ფრესკების ისტორიისათვის.


ქოლაგირი გარეჯის მრავალმთის ივრისპირა განშტოების შედარებით მომცრო გამოქვაბული მონასტერია. იგი ე.წ. ბერების სერის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მისგან სამიოდე კილომეტრის დაშორებით მდებარეობს (სურ. 1). კომპლექსის ქვაბები მდ. ივრის ჭალაში წამომართული მთის აღმოსავლეთ კალთაზე გამოუკვეთავეთ (ტაბ. I). მონასტრის სამლოცველო-სათავესები, ამ მიდამოების მონასტერთა დიდი ნაწილის მსგავსად, კონგლომერატში არის ნაკაფი. თიხით შეცემენტებული ეს ქანი ძალზე იოლად იშლება; გამოქვაბული კომპლექსის დიდი ნაწილი, როგორც ჩანს, სწორედ ამან იმსხვერპლა – გამოქვაბულთა წინა (აღმოსავლეთი) მხარე ახლა ერთიანად ჩამორღვეულია და მათგან ფაქტიურად დასავლეთი ნახევრის ფრაგმენტებია შემორჩა (სურ. 2). ქანი ახლაც ინტენსიურად განაგრძობს დაშლას (სათავსთა კედლებს

<sup>9</sup> პროექტის ფარგლებში შესრულებული სამუშაოების წინასწარი ანგარიშისათვის იხ.: გარეჯის ეპიგრაფიკული ძეგლები, ტომი I, ნაწილი I, წმ. დავითის ლავრა, უდაბნო, გამოსაცემად მოამზადეს დ. კლდიაშვილმა და ზ. სხირტლაძემ, (გარეჯის საგანძური, II), თბილისი, 1999; A. Eastmond, Z. Skhirtladze. First Fieldwork Report on the survey, restoration and analysis of recently discovered rock-cut monasteries in the Gareja desert of Georgia, *Bulletin of British Byzantine Studies*, 25, 1999, p. 27-30.

<sup>10</sup> არქიტექტურული ანაზომები გამოხატა მამუკა კიკნაძემ 1998 წლის ნოემბერში.

<sup>11</sup> სასიამოვნო მოვალეობად მიმანია ნარკვევსე მუშაობისას გაწეული დახმარებისათვის მადლობა მოეახსენო ილია ანთელავას და ნინო აყციკაურს.

<sup>12</sup> სარესტავრაციო სამუშაოებში მონაწილეობდნენ: მერაბ ბუჩუკური, ლადო გურგენაძე, დავით გაგოშიძე, ზაზა სუმბაძე, მერაბ ტატიშვილი, ნუკრი ქუთათელაძე, ზვიად ბერიძე, იუსა კობახიძე, რამაზ პაატაშვილი, ვალერი ხიზანიშვილი, გიორგი მინდორაშვილი.



სურ. 3

დიდი ბზარები დაუყვება) და მონასტრის დღემდე მოღწეულ ნაშთებს გარდუეყალი დაღუპვა ელის.<sup>13</sup>

კომპლექსის ქვაბთაგან მხატვრობით თავი ეკლესია და სატრაპეზო შეუმკიათ (ტაბ. II-III).

მონასტრის მთავარი ტაძარი, როგორც ამჟამად მისგან შემორჩენილი ნაშთების მიხედვით ჩანს, სამი სათავისაგან შედგებოდა (დღეისათვის არსებული ნაწილის ზომაა - 13,8x3,9 მ.). ტაძრის ვრცელ, შედარებით დაბალი პროპორციების მქონე, გაშლილკამარიან დარბაზს ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან ბევრად უფრო მცირე ზომის, სწორკუთხა მოხაზულობის თითო ეკედერი ებმის (სურ. 3). დორძისა და ლოდებისაგან ტაძრის ინტერიერის გაწმენდის შედეგად გაირკვა, რომ მათთან დამაკავშირებელი ლიობები ტაძრის გვერდითა (სამხრეთი და ჩრდილოეთი) კედლების შუა მონაკვეთზე იყო გაჭრილი (ლიობთა ზომების დადგენა ამჟამად უკვე ვეღარ ხერხდება). დარბაზის ქვედა მონაკვეთს მთელს პერიმეტრზე ერთსაფეხურიანი ხარისხი შემოუყვება. ასეთივე ხარისხია ჩრდილოეთი ეკედერის ჩრდილოეთი კედლის გაყოლებით, აგრეთვე სამხრეთი ეკედერის დასაქვეთი კედლის ძირში. ტაძრის იატაკი კირხსნარით იყო მოსხმული, ხოლო ზემოდან ალუბასტრით გადალესილი.

ეკლესია საგულდაგულოდ შეუღლესათ და მოუხატაეთ.<sup>14</sup> მხატვრო-

<sup>13</sup> მონასტრის თავდაპირველი სახელწოდება უცნობია. გაურკვეველი რჩება მისი ამჟამინდელი სახელის - *ქოლაგირის* წარმომავლობაც. საგულისხმოა, რომ ანალოგიური ტოპონიმი დასტურდება ქვემო ქართლში, ბოლნისთან ახლოს, სადაც *ქოლაგირი* ეწოდება ციხე-გალავანს, (საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 1449/№854, 1766 წ.; ფ. 1448/№1392, 1787 წ.; ხელნაწერთა ინსტიტუტი, Sd-628, 1696 წ.; Hd-112, 1796 წ.; Hd-13699, 1798 წ.; შდრ. აგრეთვე, ებერიძე, XVIII საუკუნის ქართულ ხუროთმოძღვართა ნახაზები, *საქართველოს მუზეუმის შობაზე*, XIV-V, 1947, გვ. 231-232; მისივე, XVI-XVIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება, თბილისი, 1983, გვ. 22-23; პ. ზაქარაია, ციხე-სიმაგრეები, თბილისი, 1988, გვ. 157-158). თუკი ტოპონიმი გვიანი შუა საუკუნეებისათვის ამ კუთხეში დამკვიდრებულ ნომადებთან არის დაკავშირებული, მაშინ, შესაძლოა, იგი აზერბაიჯანულიდან მომდინარეობდეს და *ქკალნარს* აღნიშნავდეს (*kol* - *ქკალი*, *gir* - *შესვლა/შედი*). იერის ჭალებთან მიმართებით უთუოდ ძნელი იქნებოდა ეკალნარზე საუბარი, თუმცა კი ამ მხრივ გასათვალისწინებელია თავად გამოქვაბული კომპლექსის უშუალო სიხლოვეს დაბლა, ძნელად გასაუღლი მცენარეული საფარის არსებობა. დასასრულ, საგულისხმოა ისიც, რომ ვახუშტი ბატონიშვილის "საქართველოს გეოგრაფიის" მ. ჯანაშვილისეული გამოცემის კომენტარებში დასახელებულია *ქოლაგერი* (იხ. ბატონიშვილი ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, გვ. 64).

მონასტრის სახელწოდებასთან დაკავშირებით გაწეული კონსულტაციისათვის მადლობა მინდა მოეახსენო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის გამგეს პაატა ცხადაიას და ამავე ლაბორატორიის მეცნიერთანამშრომელს ასრათ ასრათოეს.

<sup>14</sup> ეკლესიაში ნაღესობა სამყვანიანა. გარეჯისა და საზოგადოდ, შუა საუკუნეების ქართულ კედლის მხატვრობაში შედარებით იშვიათი ეს ტექნოლოგიური წესი უთუოდ კედლების ზედაპირის შექმლებისდაგვარად გასასწორებლად გამოიხმული.

ბის ფრაგმენტები ეკლესიის დარბაზსა და ეკედერებში მეტ-ნაკლები სისრულით შემორჩა. ტაძრის დარბაზს, როგორც ჩანს, ძირითადად საუფლო დღესასწაულთა ციკლის სცენები ამკობდა. კამარის ჩრდილოეთ ქანობზე წარმოდგენილი იყო *ნათლისღება* (დარჩა მხოლოდ კომპოზიციის ქვედა ნახევარი). ნაღესობისა და ფერწერის კვალი ფაქტობრივად აღარ შერჩენია კამარის სამხრეთ ქანობს. რესტავრაციის პროცესში, ჩამოსაშალი ღორღისაგან ტაძრის დარბაზის ინტერიერის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის გაწმენდისას მრავლად აღმოჩნდა ფრაგმენტები *იერუსალიმად შესვლის* კომპოზიციიდან; ეს გარემოება იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ დარბაზის კამარის სამხრეთ-დასავლეთ მონაკვეთი სწორედ მაცხოვრის იერუსალიმში შესვლის სცენას უნდა სჭეროდა. ამ ორ სცენას ურთიერთისაგან ორნამენტული ზოლი ჰყოფდა (შემორჩა კამარის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში; რესტავრაციის პროცესში, დარბაზის იატაკის გაწმენდისას ორნამენტის კიდევ ერთი მოზრდილი ფრაგმენტი აღმოჩნდა). დასავლეთი კედლის შუა ნაწილში, ზედა ნახევარზე განთავსებულია *უფლის ამალღება*, მის სამხრეთით - *ჯოჯოხეთის წარმოტყვევნა*, ხოლო ჩრდილოეთით - *ღეთისმშობლის მიძინება* (კომპოზიციის ზედა კიდის გაყოლებით იკითხება ერთსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა - **ჰΙΧΘΥΣ ΕΥΘΥΝΕΙ ΟΙΚΟΥΜΕΝΟΝ**) - *მიცვა(ლ)ება ყ(ოვლა)დ წ(მიდ)ისა ღ(ვ)თ(ი)ს[მშობლისაჲ]*. სამივე კომპოზიცია ახლა ძალზე დაზიანებულია და მათგან ძირითადად ზედა ნაწილებიღა შემორჩა. კედლის ქვედა მონაკვეთზე, მის სამხრეთ კიდეში, ნაღესობის ფენა ერთიანადაა ჩამოშლილი; შუა მონაკვეთზე გაირჩევა ფრაგმენტები ვრცელი კომპოზიციისა, რომლის მარჯვენა კიდეზე ნახევარზე იყო გამოსახული. კედლის ჩრდილოეთ ნახევარზე წმინდანთა ფრონტალური გამოსახულებებია (სულ ხუთი ფიგურა). სამხრეთი კედლის ზედა ნახევარი, სამხრეთ ეკედერში გამაველი ღიობის დასავლეთით, *ჯვარცმას* უკავია (ტაბ. II-ა), მის პირისპირ, ჩრდილოეთ ეკედერში გამაველი ღიობის დასავლეთით კი წარმოდგენილი იყო დიდი ზომის კომპოზიცია კტიტორთა პორტრეტებით (ტაბ. III-ა). დარბაზისაგან შემორჩენილ ნაწილში კომპოზიციათა განთავსების პრინციპის გათვალისწინებით სავარაუდოა, რომ საუფლო დღესასწაულთა ციკლის სცენათა ერთი რიგი გასდევდა დარბაზის აღმოსავლეთით, ამჟამად დაღუპული ნაწილის კედლებსა და კამარას. აქედან გამომდინარე, ჩანს, რომ ამჟამად დარბაზისაგან დაახლოებით ნახევარია დარჩენილი და მას თავდაპირველად კვადრატს მიახლოებული მოხაზულობა უნდა ჰქონოდა.

მხატვრობა შემორჩა გვერდითა ეკედერებშიც: სამხრეთი, მომცრო სათავის დასავლეთ კედელზე აღსაყდრებული და ნათლის დიდებით მოხილი უფლის, დედაღვთისას და იოანე ნათლისმცემლის, აგრეთვე ანგელოზთა დასის გამოსახულებებია (ანგელოზთა დასები სათავის სამხრეთი და ჩრდილოეთი კედლების ზედა ნაწილზეცაა განთავსებული), რაც იმაზე მიანიშნებს, რომ აქ *განკითხვის დღის* კომპოზიცია იყო წარმოდგენილი (ტაბ. II-ბ).

ეკლესიის ჩრდილოეთი, ასევე შედარებით მცირე ზომის, ეკედერის ამჟამად დარჩენილი ნაწილი მთლიანად ისტორიულ პირთა გამოსახულებებს უჭირავს, მის კამარაზე კი *უფლის ამალღების* კომპოზიცია






სურ. 4

შეუსრულებიათ (შემორჩა მხოლოდ მისი დასაველეთი ნახევარი) (ტაბ. VI).

ეკლესიის დარბაზის კამარის ჩრდილოეთი ქანობის ქვედა ნაწილა და ჩრდილოეთ კედელზე, *ნათლისღების* დიდი ზომის სცენის ქვემოთ შესრულებული დიდი ზომის კომპოზიციისაგან ახლა მხოლოდ ზედა ნახევარია დარჩა (სურ. 4, ტაბ. III-ა). კომპოზიციის ცენტრში წარმოდგენილია მრავალშრიანი (თეთრითა და ლაჟვარდისფრით შემქნილ) ნათებაში მოქცეული უფლის ფიგურა წითელი ფერის ევართითა და პიმბტიონით, რომელსაც დროთა განმავლობაში შავი ფერი მიუღია. ყურადღებას იქცევს მაცხოვრის იკონოგრაფიული ტიპი გრძელი, მხრებზე კულულებად დაცემული თმებით. ქრისტეს თეთრი ფერის შარავანდი მკაფიოდ გამოიყოფა ნათების მუქ, მოცისფრო-მონაცრისფრო ფონზე, რომელზეც თეთრი ფერის რვაქიმიანი მოხდენილი ვარსკე-ლაეებია გაბნეული. მაცხოვრის გამოსახულების ქვედა ნახევარი წარხო-ცილია ბათქაშის ატკეჩვის გამო; ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ხუთმაგი ნათლის შარავანდი ფიგურას მხოლოდ შუაწელამდე შემოსდევს. აღნიშნულის გათვალისწინებით არ გამოირიცხება იმის შესაძლებლობა, რომ ფრესკაზე მაცხოვრის ნახევარფიგურა იყო წარმოდგენილი. კადრის ზედა მარცხენა კუთხეში გამოსახული ორი მფრინავი ანგელოზი მისკენ ვედრებად არის მიმართული (სიმეტრიულად, კადრის მარჯვენა კუთხეში ნალესობა ფერწერული ფენითურთ ნაწილობრივ შემორჩა; მასზე ჩანს, რომ ანგელოზთა წყვილი მანდორლის მეორე მხარეს არ ყოფილა გამოსახული).

მაცხოვარი დაბლა დაშვებული, განზე გაწვდილი ხელებით აკურთხებს ორ შარავანდმოსილ ფიგურას, რომლებიც მის ქვემოთ, მის აქეთ-იქითაა გამოსახული. ორივე მათგანის შარავანდი ასევე თეთრი ფერი-სა ყოფილა. ამ გამოსახულებებისაგან მხოლოდ მცირე ფრაგმენტებიღა შემორჩა.

მარჯვნივ ესაა მუქი ყავისფერი წერილი და მონაცრისფრო-ცისფერი, შედარებით მსხვილი კონტურით შემოფარ-ლული შარავანდის რკალის ნაწილი და სამკუთხა გვირგვინის ზედა დაბოლოვე-ბა ნუშის ფორმის ყუნწებით (ან თვლით) ეკხზე და მარჯვენა წიბოზე. გვირგვინის შემორჩენილ ნაწილზე მუქი მოწითალო-ყავისფერი ლაქების სახით გაირჩევა სწორ-კუთხა და ოვალური ფორმის პატიოსანი თელების მოხაზულობაც. მარგალიტთა



სურ. 5

ორმაგი რიგი ერთიანად ფარავდა გვირგვინის მოწითალო კონტურს (სურ. 5). რაც შეეხება მარცხენა ფიგურას, მისგან მხოლოდ ყავისფერი კონტურითვე შემოსაზღვრული შარავანდის ზედა მონაკვეთიღა შემორჩა. მის მიხედვით ჩანს, რომ ეს ფიგურა მარჯვენა გამოსახულებასთან შედარებით რამდენადმე დაბალი უნდა ყოფილიყო. შედარებით უფრო მცირეა მისი შარავანდის ზომაც.

კომპოზიციის დაზიანების მიუხედავად ცხადი ხდება, რომ აქ კტი-ტორების - უფლისაგან კურთხეული გვირგვინოსნების - პორტრე-ტები იყო წარმოდგენილი. ამასე, პირველყოვლისა, მეტყველებს მათთვის შერჩეული ადგილი, სახელდობრ ჩრდილოეთი კედლის დასაველეთი

კუთხე: ეს მონაკვეთი ხომ ჩვენში ტრადიციულად კტიტორთა სახეებს ეთმობოდა.<sup>15</sup> თუმცადა, კომპოზიციის რაობის გასარკვევად არსებითი ჩანს მისი იკონოგრაფიული სქემა, რომლისთვისაც ხშირად მიუმართაეთ საკტიტორო წყვილის გამოსახვისას სამართლმადიდებლოში. მართლაც, უზენაეს ხელისუფალთა წყვილის უფლისაგან კურთხევისა ან მათი გვირგვინდების იკონოგრაფიული სქემისათვის (რომელიც, როგორც ვარაუდებენ, ქრისტიანული მხატვრული ტრადიციის წიაღში უნდა ყოფილიყო ჩამოყალიბებული-დაემკვიდრებული<sup>16</sup>) ხშირად მიუმართაეთ საკტიტორო გამოსახულებების შექმნისას. როგორც წესი, ამგვარი სქემით შექმნილ პორტრეტებზე გამოსახება მეუღლეოთა, თანამმართველთა წყვილები, იშვიათად – სამეფო ოჯახის სხვადასხვა თაობის ორი წარმომადგენელი. მსგავსი სახის კომპოზიციები, ამა თუ იმ ეპოქისა და კონკრეტული ისტორიული ვითარებიდან გამომდინარე, ჩვეულებრივ სხვადასხვა შინაარსობრივი აქცენტებით არის ხოლმე დატვირთული, თუმცა კი ყოველთვის უცვლელი რჩება უმთავრესი ასპექტი – სახისმეტყველებითი მინიშნება ღვთიეცხებულობისა, უკუდავებისა, ამქვეყნიური მეუფებისა.<sup>17</sup> მსგავსი სქემა X საუკუნიდან მოკიდებული თითქმის უწყვეტად დასტურდება სახეითი ხელოვნების სხვადასხვა დარგის ძეგლებში. მათ შორის უადრესია სპილოს ძვლის ფირფიტები იმპერატორ რომანოზ II არგირის (959-963) და დედოფალ ედოკიას გამოსახულებით (პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის მედალთა მუზეუმი, ინვ. 300),<sup>18</sup> აგრეთვე 982-983 წწ. სპილოს ძვალივე ოტონ II-ისა და თეოფანოს გამოსახულებით (პარიზი, კლუნის მუზეუმი, Cl. 392).<sup>19</sup> კარგადაა ცნობილი სხვა მაგალითებიც, სახელდობრ ხახულის კარედის XI საუკუნის მეორე ნახევრის მინანქარი, რომელზეც ბიზანტიის იმპერატორი მიქაელ VII დუკა (1078-1081) და დედოფალი მარია

<sup>15</sup> Г. В. Алибегашвили, Светский портрет в грузинской средневековой монументальной живописи, Тбилиси, 1979, с. 30 и сл.

<sup>16</sup> C. Walter, Marriage crowns in Byzantine iconography, *Зорграф*, 10, 198, p. 84.

<sup>17</sup> C. Walter, The iconographical sources for the coronation of Milutin and Simonida at Grachanica, in "L'art byzantin au commencement du XIV siècle", Grachanica, 1973, p. 183-200.

<sup>18</sup> Byzance. L'art byzantin dans les collections publiques françaises, Paris, 1992, p. 232-233 (N148). არსებობს მეორე თვალსზრისი, რომლის მიხედვითაც ეს უნდა იყოს რომანოზ IV დიოგენისი (1068-1071 წწ.) და მისი მეუღლე ედოკია (I. Kalavrezou-Maxeiner, Eudokia Makrembolitissa and the Romanos Ivory, *Dumbarton Oaks Papers*, 31, 1977, p. 386-408). ამასთან დაკავშირებით კ. ვოლტერი ეურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ იგივე იკონოგრაფიული სქემა მეორდება რომანოს დიოგენისის პერიოდის ნუმისმატიკურ მასალაში, აგრეთვე საბუტყაეებზე (შდრ. C. Morrisson, Catalogue des monnaies byzantines de la Bibliothèque Nationale, II, Paris, 1970, p. 649-650; G. Zacos & A. Vegler, Byzantine lead Seals, I, Basel, 1972, N93a-d; H. C. Evans and W. D. Wixon, eds., The Glory of Byzantium. Art and Culture of the Middle Byzantine Era A.D. 843-1261, New York, 1997, N147-i, p. 216). კ. ვოლტერს დამატებით მოჰყავს ვერცხლის რელიეჟარუმი მოსკოვიდან (Искусство Византии в собраниях СССР, II, Москва, 1977, с. 85, N547; შდრ. C. Walter, Marriage crowns, გვ. 85).

<sup>19</sup> J.-P. Caillet, L'Antiquité classique, le Haut Moyen Age et Byzance au Musée de Cluny, Paris, 1985, N64.

წარმოდგენილი (ნიშნეულია, რომ ნათლის შარავანი მაკხოვრის ნახევარფიგურის გარშემო ამ შემთხვევაშიც ნახევარწრიულია და ვარსკვლავებით მოჭედილი);<sup>20</sup> მიქაელ VII და დედოფალი მარიაშია წარმოდგენილი პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის Coislin 79 ხელნაწერის (წმ. იოანე ოქროპირის ჰომილიების 1071-1081 წწ. გადაწერილი ნუსხის) მარგინალურ მინიატურაზეც (ფ. IV) (ტაბ. IV-ა).<sup>21</sup> მსგავსი გამოსახულებები მადრიდის სკილიცას ხელნაწერში მოიპოვება და ისინი საიმპერატორო წყვილთა ქორწინებებს ასახავს.<sup>22</sup> აქვე შეიძლება დაგვესახელებინა იოანე კომნენოსის 1128 წ. სახარება (ვატიკანი, Urb. Gr. 2), რომელსაც თავად იმპერატორ იოანე III-ის კომნენოსისა (1118-1143) და მისი ძისა და თანამოსაყდრის ალექსის წყვილადი პორტრეტი ამკობს (ფ. 19v) (ტაბ. IV-ბ),<sup>23</sup> ათონის დიონისიუს მონასტრის ქრისობულას შემამკობელი საკტიტორო პორტრეტი ტრაპიზონის იმპერატორ ალექსი III კომნენოსის (1349-1390) და მისი მეუღლის გამოსახულებით (ტაბ. V-ბ).<sup>24</sup> მსგავსი იკონოგრაფიული სქემის მქონე იმ საკტიტორო გამოსახულებებს შორის, რომლებიც კაპადოკიის გამოქვაბულ მონასტრებში გვხვდება, შედარებით უფრო ადრეული, სელიმე კალესის XII საუკუნის ფრესკაა; მასზე, დიდგვაროვანი კტიტორის სიმეტრიულად განაწილებულ ოჯახს ღვთისმშობელი აკურთხებს<sup>25</sup> (თუმცადა, კაპადოკიური ფრესკა ვერ ჩაითვლება გამონაკლისად, რადგან შემთხვევები, როდესაც მსგავსი რიგის კომპოზიციებში უფლის ფიგურას დედაღვთისა ცვლის უფრო ადრეული პერიოდიდანაც არის ცნობილი. ესაა ე.წ. Sacra Parallela-ს მინიატურა (1059-1067 წწ., ფ. 6r), კონსტანტინე X დუკას, დედოფალ ედოკიას და მათი შვილების გამოსახულებით (პარიზი, ნაციონალური ბიბლიოთეკა, Ms. Gr. 922),<sup>26</sup> აგრეთვე ლუერის ხელნაწერი (MR 416 - 1403-1405 წწ.), სადაც მანუილ II პალეოლოგოსის და მისი ოჯახის წევრთა პორტრეტებია ჩართული.<sup>27</sup> უფრო მოგვიანებით, კარში

<sup>20</sup> შ. ამირანაშვილი, ხახულის კარედი, თბილისი, 1972, ტაბ. 8-9. შდრ. ლ. ხუსკივაძე, შუა საუკუნეების ტიხრული მინანქარი საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში, თბილისი, 1984, გვ. 43 (№39).

<sup>21</sup> I. Spatharakis, *The Portrait in Byzantine Illuminated Manuscripts* (Byzantina Netherlandica. 6), Leiden, 1976, p. 112-116, fig. 70; C. L. Dumitrescu, *Quelques remarques en marge du Coislin 79: Les Trois Eunuques*, *Byzantion*, 57, 1987, p. 32-45; H. C. Evans and W. D. Wixton ed., *The Glory of Byzantium. Art and Culture of the Middle Byzantine Era A.D. 843-1261*, New York, 1997, p. 182, 209 (N143) – ადრეული ბიბლიოგრაფიით.

<sup>22</sup> C. Walter, *Marriage crowns*, გვ. 88-89.

<sup>23</sup> I. Spatharakis, დასახ. ნაშრომი, გვ. 79-83, სურ. 46; J. C. Anderson, *The Past Reanimated in Byzantine Illumination*, in: *Byzantine East, Latin West: Art-Historical Studies in Honour of Curt Weitzmann*, Princeton, 1995, p. 319-324; *The Glory of Byzantium*, გვ. 209-210 (N144).

<sup>24</sup> S. Kadas, *Mount Athos*, Athens, 1988, p. 190.

<sup>25</sup> L. Rodley, *Cave Monasteries of Byzantine Cappadocia*, Cambridge, 1985, fig. 14, pl. 62. p. 71. 73.

<sup>26</sup> I. Spatharakis, დასახ. ნაშრომი, გვ. 104, სურ. 68.

<sup>27</sup> იქვე, გვ. 139-144, სურ. 93-94.

ქილისეში (1212 წ.) კელაე კლასიკური სქემა დასტურდება – სამეფო ოჯახის ორ დონატორს სახელეულითურთ მაცხოვრისაგან ეძლევა კურთხევა.<sup>28</sup> დასახელებულ მაგალითებს მოსდევს მთელი სერია XIV საუკუნის მეორე მეოთხედის წვეილელი პორტრეტებისა, რომლებიც ჩართულია ჭეშმარიტი იმედის ღვთისმშობლის (Θεοτοκός Της Βεβαίας Ἐπιπόσι) მონასტრის ტიპიკონში (ოქსფორდი, ბოდლის ბიბლიოთეკა, Ms. Lincoln College gr. 35). ხელნაწერის ფურცლებზე თანამიმდევრობით გამოუსახაეთ სებასტოკრატოსი კონსტანტინე პალეოლოგოსი (იმპერატორ მიქაელ III-ის [1259-1282] უმცროსი ძმა) და მისი მეუღლე ირინე (ფ. 1v), აგრეთვე მონასტრის დამფუძნებლები – იოანე სინადენუსი და თეოდორა (ფ. 2r) და მათი შთამომავლობა: დიდი სტრატოპედარქესი იოაკიმე და თეოდულა (ფ. 7r), პროტოსტრატოსი თეოდორე სინადენუსი და ედოკია (ფ. 8r), დიდი კონოსტაულოსი იოანე სინადენუსი და ირინე (ფ. 3r), დიდი პრიმიკერიოსი მანუილ ასენი და ანა (ფ. 5r), პროტოსებასტოსი კონსტანტინე რაული და ეფფროსინე (ფ. 6r), მიქაელ ფილანთროპენუსი და ანა (ფ. 4r), მიქაელ თორნიკე და ირინე (ფ. 9v).<sup>29</sup> ლუერის ხელნაწერის მინიატურა (Ms. Ivoires 100, fol. 2r) მანუილ II პალეოლოგოსის (1391-1425) და მისი მეუღლის გამოსახულებით იმის მოწმობაა, რომ მსგავსი იკონოგრაფიული სქემა უმაღლეს ხელისუფალთა საკტიტორო გამოსახულებებისათვის ბიზანტიურ მხატვრულ ტრადიციას ბოლომდე უნდა შეენარჩუნებინა.<sup>30</sup>

ამავე დასკვნისაკენ გვიბიძგებს მონუმენტური ფერწერიდან ცნობილი მაგალითებიც, სახელდობრ არილის ეკლესიის ფრესკა, შექმნილი 1296 წელს;<sup>31</sup> აგრეთვე ორიგინალური კომპოზიცია პენში (1330 წლის ახლო ხანებისა), სადაც მაცხოვარი ნემანთა საგვარეულო შტოს აკურთხებს.<sup>32</sup>

საკტიტორო გამოსახულებათა შემცველი მსგავსი კომპოზიციები ქართულ მოხატულობათა შორისაც გვხვდება. ასეთია, მაგალითად, რუისპირის წმ. შიოს ეკლესიის დასავლეთ კედელზე წარმოდგენილი სამეფო გამოსახულებები (1247-1259 წწ.), რომლებიც, როგორც ივარაუდება, დავით ნარინისა და დავით ულუს პორტრეტები უნდა იყოს.<sup>33</sup> რამდენადმე უფრო გვიან მსგავსი სქემა გელათის მონასტრის მთავარი ტაძრის დავით ნარინის ეკედერის დასავლეთი კედლის კომპოზიციაშიც

<sup>28</sup> G. de Jerphanion, Une nouvelle province de l'art Byzantin. Les églises rupestres de Cappadoce, t. II, fasc. 1, Paris, 1936, p. 8-10.

<sup>29</sup> იქვე, გვ. 190-206, სურ. 143-151.

<sup>30</sup> იქვე, გვ. 139 და შემდ., სურ. 93.

<sup>31</sup> В. Джурич, Византијске фреске у Југославији, Београд, 1975, с. 44, сл. 41.

<sup>32</sup> იქვე, გვ. 59, სურ. 58.

<sup>33</sup> გ. ლუუაბა, კტიტოროთა გამოსახულებები რუისპირის წმ. შიოს ეკლესიაში, ახალგაზრდა მეცნიერთა რესპუბლიკური კონფერენცია, მიძღვნილი ლევან რჩეულიშვილის დაბადების 80 წლისთავისადმი, მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1989, გვ. 20.

<sup>34</sup> ქ. მიქელაძე, დავით ნარინის პორტრეტები გელათის მონასტერში, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის XXXIII სამეცნიერო სესია მიძღვნილი გაიანე ალიბეგაშვილის ხსოვნისადმი, მასალები, თბილისი, 1999, გვ. 21-23.

იქნა გამოყენებული.<sup>34</sup> ამ ტრადიციას ჩვენში მოგვიანოდაც მიბრუნებიან – მისი რამდენიმე მაგალითი XVII საუკუნის მოხატულობებშია ცნობილი: ესაა ლევან დადიანისა და მისი ოჯახის პორტრეტი წალენჯიხაში<sup>35</sup> და ხობში,<sup>36</sup> მისივე გამოსახულება მეუღლესთან, ნესტან-დარეჯანთან ერთად კორციხელში (ეტიტორებს აქ ეკლესია უპყრიათ ხელთ),<sup>37</sup> გიორგი ლიპარტიანი და მისი მეუღლე სეულია მიქელაძე მარტვილში,<sup>38</sup> ამ რიგს ასრულებს გელათის მონასტრის მთავარი ტაძრის დასავლეთ ნართექსში გამართული საღვინებლის მოხატულობა, სადაც წარმოდგენილია იმერეთის მეფე ალექსანდრე III (1639-1660) და მისი მეუღლე ნესტან-დარეჯანი.<sup>39</sup>

ბევრდს ვერ აუუვლით იმ შემთხვევებსაც, რომლებიც, მართალია, ბევრად უფრო იშვიათად, მაგრამ მაინც დასტურდება მსგავსი იკონოგრაფიული სქემის ფარგლებში. მისთვის მიუმატრთავთ წმინდანთა წყვილის (სახელდობრ, წმ. პეტრეს და წმ. პავლეს<sup>40</sup>) გამოსახვისას (ცხადია გვირგვინთა გარეშე). რაც შეეხება გვირგვინდებას, იგი ბიბლიურ სიუჟეტთა შორის გვხვდება და, როგორც წესი, ქორწინებასთანაა დაკავშირებული (ძირითადად ესაა საულის მიერ დავითისა და მელქოლის კუროხევის ამსახველი ეპიზოდი<sup>41</sup>); თანაგვარ მაგალითთა შორის ასახელებენ "ბარლაამისა და იოასაფის"<sup>42</sup> ერთ-ერთ ხელნაწერთა შორის ნართულ მინიატურას (Paris graec. 1128, f. 86)<sup>42</sup>; ქოლაგირთან დაკავშირებით ეს შემთხვევები ანგარიშგასაწეია, თუმცა კი ამთავითვე ნათელი უნდა იყოს, რომ კომპოზიციის იკონოგრაფიული სქემიდან გამომდინარე (მაცხოვრის მიერ ორი გვირგვინოსნის კუროხევა) აქ ძველი ან ახალი აღთქმის რომელიმე სცენის ან თუნდაც წმინდანთა წყვილის არსებობა ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა.

მართალია, ტაძრის დარბაზის მსგავსად ჩრდილოეთი ეკვდერიც აღმოსავლეთიდან ერთიანად არის ჩამონგრეული, მაგრამ მისი დარ-

<sup>35</sup> შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი, 1971, გვ. 384.

<sup>36</sup> Г. В. Алибегашвили, Светский портрет в грузинской средневековой живописи, გვ. 64, ტაბ. 18.

<sup>37</sup> შდრ. ე. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, ძველი საქართველო, III, თბილისი, 1913-1914, გვ. 200, სადაც ავტორი მხოლოდ ლევან II დადიანის პორტრეტის არსებობაზე მიუთითებს. ცნობა ეკლესიის მოხატულობაში ეტიტორთა წყვილის არსებობის შესახებ მომავლად საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ თანამშრომელმა ნინო ჩიხლაძემ.


<sup>38</sup> ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 120-121; ნ. ჩიხლაძე, XVI-XVII სს. ისტორიულ პირთა პორტრეტები მარტვილის ეკლესიაში, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები, ტ. III, 1997, გვ. 110-112, სურ. 6.

<sup>39</sup> Г. В. Алибегашвили, Светский портрет в грузинской средневековой живописи, ტაბ. 41.

<sup>40</sup> ამგვარი მოსაზრების დამადასტურებლად ე. კოლტერს მოჰყავს მაგალითები R. Carrucci-ს წიგნიდან – Storia dell'arte cristiana nel primototto anni della chiesa, III, Pitture non cimiteriali. Prato, 1876, fig. 181:1-6, 182:5.

<sup>41</sup> C. Walter, Marriage crowns, გვ. 85-86.

<sup>42</sup> S. Der Nersessian, L'illustration du roman de Barlaam et Joasaph, Paris, 1937, p. 79-82, fig. 287.



სურ. 6

ბაზის ზომების მიახლოებით დადგენა მაინც შესაძლებელი ჩანს. კამარაზე წარმოდგენილი *ამაღლებების* კომპოზიციის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ (ტრადიციისამებრ, იგი სათავის შუა ნაწილში უნდა ყოფილიყო განთავსებული), ეკლესიის ჩრდილოეთი ეკვდერი აღმოსავლეთ-დასავლეთ ღერძზე საგრძნობლად წაგრძელებული არ ყოფილა; გარდა საკუთხეულისა (რომლის არსებობაც ეჭვს არ უნდა იწვევდეს), დღეისათვის ჩამორღვეული უნდა იყოს მისი წინა (აღმოსავლეთი) მხრის დაახლოებით მესამედი (ე.ი. არაუმეტეს ორი მეტრისა). შესაბამისად, რიცხვობრივად ალბათ სრულადაა შემორჩენილი აქ წარმოდგენილ პორტრეტთა რიგი. ამაზე, უპირველეს ყოვლისა, მათი განაწილების პრინციპი მეტყველებს, რომელიც სათუოს ხდის წარმოდგენილთა წინ (ე.ი. აღმოსავლეთით) სხვა პორტრეტის არსებობის შესაძლებლობას (ამის თაობაზე იხ. ქვემოთ). აქ უფრო მაცხოვრის, დვთისმშობლის, ანგელოზის (მთავარანგელოზის), ანდა რომელიმე წმინდანის ფიგურის არსებობა უნდა ყოფილიყო მოსალოდნელი – როგორც ჩანს, კტიტორები, ქართულ კედლის მხატვრობაში ასწლუულთა მანძილზე დამკვიდრებული ტრადიციის შესაბამისად, მისკენ (მათკენ) შეერდომით იყვნენ მიმართულნი.

ამრიგად, ტაძრის მომხატვათ ფერწერული დეკორი თავისებურად გაუნაწილებიათ: დარბაზის დეკორის პროგრამაში ძირითადი ადგილი საუფლო დღესასწაულთა ციკლის უნდა სჭეროდა, ამასთან მათი ნაწილი დარბაზის დასავლეთ კედელზეც იქნა განთავსებული. *კარკითხვის დღის* კომპოზიცია, რომელსაც ტრადიციულად სწორედ ტაძრის დასავლეთი ნაწილი ეთმობა, ამის გამო სამხრეთ ეკვდერში იქნა გადანაცვლებული. რაც მთავარია, ეკლესიის ჩრდილოეთი ეკვდერი მთლიანად საკტიტორო გამოსახულებებს დაეთმო – მას ისტორიულ პირთა პორტრეტების მთელი გალერეა ამკობდა.

ძნელი სათქმელია თუ რას შეიძლებოდა განეპირობებინა ფერწერული დეკორის ამგვარი კომპოზიციური გადაწყვეტა. მიუხედავად ამისა, ფაქტი თავისთავად საგულისხმოა, რადგან შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობის ძეგლთა შორის დეკორის ამგვარი კომპოზიციური განაწილების სხვა თანაგვარი მაგალითი დღეისათვის არ ჩანს. ქოლაგირის ეკლესიის მოხატულობის ამ მხრივ ექვევა უთუოდ მრავალი საგულისხმო დაკვირვებისა თუ დასკვნის საწინდარი უნდა იყოს.

ეკლესიის ჩრდილოეთ ნაწილში დღეისათვის კტიტორის თერთმეტი ფიგურაა დარჩენილი. მათგან სამსამი სამხრეთ და დასავლეთ კედლებზე, ხუთი – ჩრდილოეთისაზე. სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებზე წარმოდგენილი ფიგურები სამი-მეოთხედით აღმოსავლეთისაკენა მიბრუნებული; დასავლეთ კედელზე ისინი ფრონტალურად გამოუსახავთ (ე.ი. ამჟერადაც საკუთხეულისაკენ მიმართულნი). ყოველ ფიგურას შავი ფერით შესრულებული ასომთავრული განმარტებითი წარწერა ახლავს (მოვიანიოდ, წარწერების სტრიქონთა შესაბამისად, ნალესობაზე ჩაჯდევით პარალელური ხაზები მოუნიშნავთ; მათ მიხედვით ტექსტთა სიდიდის – სტრიქონთა რაოდენობისა და სიგრძის – დადგენა, ძირითადად, რთული არ არის). წარწერების უმეტესობა ამჟამად ძალზე დაზიანებულია.



ჩ რ დ ი ლ თ ე თ ი კედლის დღეისათვის შემორჩენილ გამოსახულებათაგან პირველი ძალზე ცუდად შემოინახა: კედლის ზედა ნაწილში მოჩანს ბეწვით გაწყობილი სწორკუთხა ქუდის ნაწილი (დარჩენილია მოიისფრო-ყავისფერი სარჩული თავსაბურავის მარცხენა კიდეზე ბეწვების აღმნიშვნელი თეთრი ფერის მოკლე, კლაკნილი მონას-მებით); კედლის ქვედა ნახევარზე – მუქი წითელი ფერის გრძელი კაბის (კვართის?) სწორად დაშვებული კალთა. ეს ფიგურა რამდენადმე დაბალია საკტიტორო რიგის სხვა გამოსახულებებთან შედარებით. ქუ-დის მარცხნივ, ოდნავ ზემოთ, ოთხსტრიქონიანი განმარტებითი წარ-წერაა (სურ. 7, ტაბ. VIII-ა):

რსი სკს ზნ რრ  
ქრ რრს სრსსს [- -]  
ზზზზზ კკკკ კკკს ზზზ[-]  
კკ კ[- -]რ[-]ს[-] . . ]

ესე არს ვ(არდა)ნ ვ(რისთავთ) ვ(რისთავთ) | ძე ვ(რისთავთ) ვ(რის-თავთ)ის ს(ა)ღირსისი, [გა]ზ(რ)დილი მ(ე)ფ(ეთ) მ(ე)ფისა დიმი[ტ]რი მ[- -]ელ[-]ს[-] . ]

საეარაუდოა, რომ განმარტებითი წარწერის ტექსტი ფიგურის მარ-ჯენივაც იყო შესრულებული (ასეა ნავის სამივე კედელზე წარმოდ-გენილ ფაქტობრივად ყველა გამოსახულებასთან). ამ ადგილზე დღეს ნაღესობა ერთიანად არის ჩამოშლილი.

საკტიტორო რიგში მომდევნო სასულიერო პირის ფიგურაა. მას ღია ყავისფერი ჩოკა ანუ სქემა, ოქროსფერი ოქრის მოსასხამი და იმავე ფერის მრგვალთავიანი თავსაბურავი – კუნკული მოსაყს. სახისაგან შემორჩა მხოლოდ მარცხენა ნახევარი, ისიც საგრძნობლად წარხოცილი (განიჩრევა წარბებისა და მარცხენა თვალის მომნიშნავ ხაზთა ფრაგმენტები, გრძელი, ტალღური თმის თითქმის მხრამდე დაშვებული კულუ-



სურ. 7



სურ. 8

ლების კონტურები მკაფიოდ გამოხატული ყერიმალღიანი სახის ოვალის მარჯვნივ). განმარტებითი წარწერა ფიგურის თავის მარცხნივ სამ სტრიქონად გაუნაწილებიათ, ხოლო მარჯვნივ ოთხ სტრიქონად. ამათგან მარჯვნივ რამდენიმე გრაფემის განმერთალებული ნაშთის მეტი აღარაფერი დარჩენილა, მარჯვნივ კი ტექსტი შედარებით სრულად იკითხება (სურ. 8, ტაბ. VIII-ა):

ჰ-გ-[-]ფ[- - - - ]-ღ-  
ზ-ც-ზ-ი-ფ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-  
ჰ-ქ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-  
ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-

თ. ბ.:  
ჰ-გ- - - - ლ - - - - ჰ- - - - ზ-ღ- - - -  
ზ-ც-ზ-ი-ფ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ- - - - - - ჰ-ღ- - - - - -  
ჰ-ქ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ-ღ- - - - - -  
ღ-ღ- - - - ლ-ღ-ღ- -

მიმ[-]თ[- - - - ]გი | ვაზირთუხუც(ეს) და | მწიგნ(ო)ბ(ა)რთა  
თქსთა უხუც(ეს) ჰყო [ . ]

თ. ბ.:  
რომელი მ-ს -რ- ვინ  
ვაზირთუხუცეს[ი] - -ღ- -ბე  
მწიგნობართა- - -თ- - - - - - - - - - -  
სთ- -გოგე- - - - - - - - - - - - - - - - -

ამის შემდგომ ჩრდილოეთ კედელზე კელავე სასულიერო პირი არის გამოსახული (ტაბ. VII). მისი ფიგურა შედარებით უკეთ შემოინახა (უფრო მეტად მისი ზედა ნახევარი). ღეთისმსახურის მოსასხამი – ფელონი – ამ შემთხვევაშიც ოქროსფერი ოქრითაა შესრულებული (როგორც ჩანს, ორივე შემთხვევაში ეს ფერი ოქრომკედით ნაქარგი ქსოვილის გადმოსაცემად იქნა გამოყენებული). ჩოჭა ფიგურისა უნაბისფერია.<sup>45</sup> ზემოდან მას ფარავს ვიწრო ოლარი, რომელიც ზედა ნაწილში ყვეისფერი თარახული ზოლებითაა გაფორმებული.

სასულიერო პირის სახის ზეთისხილისფერ ფონზე შემორჩა მუქი ყვეისფრით ნაწერ ნაკეთთა ფრაგმენტებიც – გრძელი, აზიდული წარბები, მარცხენა თვალი, მარჯვენა ყურის მცირე დეტალი. გრძელი, ბოლოწაწვეტებული წვერის ნახატი ღია ყვეისფერ ფონზე წაბლისფერი თხელი, კალიგრაფიული მონასმებით არის შესრულებული.

განმარტებითი წარწერა ამ ფიგურასთან უფრო ვრცელი, შეიდ-სტრიქონიანი ყოფილა. იგი ახლა საგრძნობლადაა დაზიანებული და

<sup>45</sup> შესამოსელის ქვედა ნაწილში (კალთებზე) მოჩანს უნაბისფერი სარჩულიც.



სურ. 9

ამის გამო ფრაგმენტულია; განაწილებულია ფიგურის თავის აქეთ-იქით (სურ. 9, ტაბ. VIII-ბ და IX-ა):

მარცხენა ნაწილი:

[- - - - - ]ი[- -]ი

ჩ[- - - ]სს[-]ჩ[-]ი

[- -]ჩს[-]სს[-]

სს ჩ ჩ ს ს [-]ჩ[-]

მარჯვენა ნაწილი:

სს ი ი [- -]სს : ი ი ს

სს [- - -]ი ი ს [-] : სს ს

[- - - - -]ი ს

[- - - - -]ი ი

თ. ბ:

სს ი ი -ს -ს ი ს - -

- - ი ი -ს -ს - -

- - - - -ს -

- - - - -ი ი -ს - -

[- - - - -]ი [-]ი | სს - - -სს ი ი [-]ი | [-]სს [-]სს ს (ი რ ე) ე [-]სსა ს (ე) და ს [-]ი | და ს [სს]ის დ(მ)ის | ე [- - -]ი ი ი და ს [სს]ი ი [- - -]ი ი

თ. ბ:

დასუც -ს - - [-]ისთავის(?)

- - - - -ი ი - - -ს - - -

- - - - -ს - - - -


- - - - -ს - - - -

ჩრდილოეთი კედლის უკიდურეს დასავლეთ კუთხეში საერო პირის ფიგურა გამოუსახავთ. იგი დიდებულთა ტრადიციული შესამოსელით – მუქი შვინდისფერი, წელში გამოყვანილი და გვერდზე ჩახსნილი კაბით არის წარმოდგენილი. სამოსის ნაცრისფერი საოლეული შავი ფერის საღებავით კალიგრაფიულად გამოყვანილი ორნამენტითაა გაფორმებული. კტიტორის კაბაზე თითქმის სრულად შემორჩა სამკლავის სახეც – ესაა ე.წ. კუფური ორნამენტი, შესრულებული შავი ფერის თხელი მონასმებით.

საერო პირის აფრიანი თავსაბურავი ხაკისფერია; ამ ქვაბურა, ზემოთკენ ოდნავ გაგანიერებულ ქუდს წითელ კონტურშემოვლებული, მცირე ზომის განასკვეული ყუნწი ამკობს.

კტიტორის ფეხთსამოსი – ტრადიციული მაღალყელიანი მოგვები გრძელი თასმებითურთ – ფრესკაზე შავი ფერის თხელი ხაზებით ოსტატურადაა მოხაზული. ამ კონტურს შიგნით საღებავი დატანილი არ ყოფილა.

ფრესკაზე გამოსახულ მამაკაცს მარჯვენა ხელში დიაგონალურად



სურ. 10

დახრილი კვერთხი უჭირავს. შემორჩა მხოლოდ ინსიგნიის ტარის ნაწილი ხელის მტეენიდან ზემოთ. ბათქაშის ფენის დაზიანების გამო ამჟამად ძნელია თქმა, კვერთხი ქვემოთაც გრძელდებოდა თუ არა. ვერას ვიტყვით მისი ზედა დაბოლოების თაობაზეც. თავად კვერთხის დღეისათვის შემორჩენილი ნაწილი ნაცრისფერია. ამ ფონზე დატანილი დიაგონალური, ყაეისფერი მონასმები, როგორც ჩანს, ინსიგნიაზე მჭიდროდ დახვეულ ზონარს აღნიშნავს.

საერო პირის ნაკეთთაგან ფრესკაზე ფაქტობრივად მხოლოდ მარცხენა თვალი და ცხვირი შემორჩა. წვერი მოგრძოა, ბოლოში წაწვეტებული, მუქი ყაეისფერი.

კტიტორის თავის ორსავე მხარეს განაწილებული, ხუთსტრიქონიანი განმარტებითი ტექსტისაგან ამჟამად მხოლოდ მცირე ნაშთებიღა შემორჩა. წარწერის სტრიქონები აქაც არათანაბრად გაუნაწილებიათ: ოთხი მარცხენა მხარეს და ერთი — მარჯვნივ (სურ. 10).

**მარცხენა ნაწილი**

[...][...]ს ო[- - - - ]

[...]

ზ[...]

[...]

**მარჯვენა ნაწილი**

[- - - ][- ][- ][- ][- ]

**თ. ბ:**

- - - - - ოიქ(?) - ზ(?)

- - - - - სისს-ფ - - -

- - - - - ლილ-ს-ზ - ლ - -

- - - ს : სტ - - - - -

[ესე ა]რს ო[- - - - ]ო | [ . . ] | ლ[ . . ] | [ . . ] | [- - - ][- ]- ][- ]- ]მისი

**თ. ბ:**

- - - - - ლიქ(?) - - ლ(?)ე


- - - - - სირსს-ფთ - - - - -

- - - - - ტრი გიორგი ქლ- - გ - -

- - - სე სად - - - - -

ამ ოთხი ათეული წლის წინ წარწერა რამდენადმე უფრო უკეთ ჩანდა. თ. ბარნაველს ტექსტის მესამე სტრიქონის დასაწყისში ამოუკითხავს ლქ(?)ო, რაც, მისი აზრით, შესაძლოა აქ გამოსახული პირის მოხელეობის აღმნიშვნელი ტერმინის დაბოლოებება ყოფილიყო; რაც შეეხება დაქარაგმებულ სიტყვას სზ- -, ავტორი არ გამოორიცხავს იმის შესაძლებლობას რომ იგი სადაურობის აღმნიშვნელი შეიძლებოდა ყოფილიყო.<sup>44</sup>

<sup>44</sup> თ. ბარნაველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 59.



სურ. 11



საერო პირის წინ ყრმა დგას. იგი ასევე მარჯენიეა მიმართული, ლოცვის ნიშნად მკერდს წინ შემართული ხელებით. მოსავს ტრადიციული, ზემოთ აღწერილი ფიგურის მსგავსად მარჯენა მხარეს ჩახსნილი, სამკლავებიანი, ჩაღისფერი კაბა შეოღილი გულისპირით, ქობთა და ყოშებით; ახურავს მაღალი, ხაკისფერი ქსოვილის ვარაყით დამატებით გაფორმებული ღია ნაცრისფერი აფრიანი ქუდი და აცვია მაღალი, წვივებთან თასმამაოკიანი მოგვები (საერო პირის ზემოთ აღწერილი გამოსახულებისაგან განსხვავებით, ესენი შეფერილია, თუმცა მხოლოდ ნაწილობრივ - უნაბისფერი საღებავი აქ სარჩულის როლს ასრულებს).

განმარტებითი წარწერა ამ გამოსახულებასთან არ ჩანს. მისი არსებობა აქ არცაა მოსალოდნელი რადგან ფიგურათა ფონზე წარმოდგენილი ყრმის ორსავე მხარეს და მისი თავის ზემოთ საამისოდ ადგილი ფაქტობრივად არც არის.


**ს ა მ ხ რ ე თ ი** კედლის დღეისათვის შემორჩენილ ნაწილზე (სურ. 11) აღმოსავლეთით პირველი კელავ სასულიერო პირის ფიგურაა. იგი ღვთისმსახურთა ზემოთ აღწერილი გამოსახულებების მსგავსად არის შემოსილი: მრგვალთავიანი კუნკული ნაცრისფერია, ჩოქა - მუქი წითელი ფერისა (მასზე შავი ფერის გრძელი მონასმებით ვერტიკალური ნაოჭებია დატანილი). მოსასხამის ღია ოქრის ფერი ამ შემთხვევაშიც ოქრომკედით ნაქარგი ქსოვილის გადმოსაცემად უნდა იყოს გამოყენებული.

კედლის წინა მხარის ჩამორღვევის გამო ფიგურა ამ კედელზე წარმოდგენილ გამოსახულებათაგან ამჟამად ყველაზე მეტადაა დაზიანებული, ფრაგმენტული; გარდა იმისა, რომ პორტრეტის მარცხენა ნახევარი თითქმის მთლიანად არის დაღუპული, შემორჩენილ ნაწილზე მზისა და ნალექებისაგან ნახატი და ფერი ძალზე განმკრთალებულია, ალაგ-ალაგ გადარტყხილი. ამას ისიც ემატება, რომ აქ გამოსახული ღმრთისმსახურის თავი განზრახ უმოწყალოდაა დაფხაჭნილი. მიუხედავად ამისა, სახის ამჟამად განაცრისფრებულ ფენაზე აქა-იქ ჯერ კიდევ გაირჩევა სახის ნაკეთების ცალკეული ფრაგმენტები, სახელდობრ თვალ-წარბის მომნიშნავი რკალური მონასმები, აგრეთვე მუქი შავი ფერის წვერის მოხაზულობა.


კტიტორის თავსა და კედლის ჩამორღვეულ კედეს შორის ვრცელი წარწერა ყოფილა შესრულებული. სტრიქონთა შესაბამისად მოგვიანოდ ჩაფხაჭნილი ზოლების მიხედვით ჩანს, რომ იგი შვიდსტრიქონიანი იყო. ტექსტისაგან დღეისათვის ფაქტობრივად აღარაფერი შემორჩა, თუმცა იგი თავის დროზე თ. ბარნაველს ფრაგმენტულად ამოუკითხავს. მისი მითითებით, ეს ტექსტი სასულიერო პირის იმ გამოსახულებას ეკუთვნოდა, რომელიც ზემოთ აღწერილი ფიგურის წინ იყო წარმოდგენილი. შემორჩენილი ნაშთების მიხედვით ცხადი ხდება, რომ წარწერა ნაწილია ერთიანი განმარტებითი ტექსტისა, რომელიც, აქვე გამოსახულ სხვა კტიტორთა მსგავსად, ფიგურის ორსავე მხარეს იქნა განაწილებული. ამ ოთხი ათეული წლის წინ წარწერის ტექსტი ასე იქნა წაკითხული:

- ხ 4 7 ხ (?) 1 ხ 6  
- - - - - 1 4 6 - - - - -  
- - - - - 6 1 6 - - - - -  
- - - - -  
- - - - - 1 6 - - - - -





სურ. 12



სურ. 13

[ - - - ]და[- ]თ[ . . ] | [ - - - - - - - ]ემ[ . . ] | [ - - - - ]მ[-  
- - - - ]I. ] | [ - - - - - - - ]თა[ . . ]

თ. ბ:

- - - - -მო- - - - -ედ- - - - -

მომდევნო ამ კედელზეც, ჩრდილოეთი კედლის საკტიტორო რიგის მსგავსად, კელავ სასულიერო პირის გამოსახულებაა. განსხვავებულია მარტოოდენ მისი თავსაბურავი: ესაა მცირე სომის, ქვედა ნაწილში წრიული მოხაზულობის შავი ქუდი, რომელიც მხოლოდ თხემის ზედა ნაწილს ფარავს. ამ ფიგურის შესამოსელი ოქროსფერი ოქროთ ყოფილა ნაწერი. შიდა სამოსის – ჩოკის ფერი ახლა აღარ განირჩევა; იკითხება მხოლოდ მისი კონტურები და დრაპირების ფრაგმენტები. მღვდელმთავრის ტრადიციული ატრიბუტის – ვიწრო, ნაცრისფერი ოლარის ქვედა კიდე ფრესკაზე შავი ფერით ნახატი კალიგრაფიული ორნამენტით არის შემკული.

ნაღესობის ჩამოშლის გამო ამ ფიგურის სახე თითქმის მთლიანად დაღუპულია. შემორჩა მხოლოდ მისი ოვალის ზედა მარჯვენა ნაწილი, ოქროსფერი ოქრის საღებავით დაფარული. კტიტორის მოკლე, ტალღური თმა წითელი ფერის სარჩულზე ნაცრისფერი, თხელი მონასმებით მოუნიშნავთ. იგივე ითქმის საშუალო სიგრძის ბოლოში მომრგვალებული წვერის თაობაზეც, რომლისაგანაც ფაქტობრივად მხოლოდ ნაწილი (მარჯვენა მხარე) დარჩენილა.

ღმრთისმსახურის გამოსახულებას, სხვათა მსგავსად, ასევე ახლდა განმარტებითი წარწერა. მისი თავის მარცხნივ შესრულებული ტექსტის (განმარტებითი წარწერის დასაწყისის) მოცულობის თაობაზე ახლა გადაჭრით რაიმეს თქმა ძნელია რადგან ბათქაში ამ მონაკვეთზე ერთიანად არის ჩამოშლილი; ცხადია მხოლოდ ის, რომ იგი უშუალოდ მოსდევდა ორ ფიგურას შორის განაწილებული ზოგადი ხასიათის ვრცელ წარწერას. ამაზე მეტყველებს ტექსტის მარჯვენა ერთსტრიქონიანი ნაწილიც; იგი კტიტორის თავის გასწვრივ იყო შესრულებული (სურ. 13). წარწერის ნაწილობრივი აღდგენა შესაძლებელია მომდევნო გამოსახულების განმარტებითი ტექსტის გათვალისწინებით (იხ. ქვემოთ).

[...][ - - - ]უჩნს

თ. ბ:

- - -უჩნ(?) - - - -ქლ- - - -ჩქ

[. . ] [მე ვ(რისთავთ) ვ(რისთავისა) ვ(არდა)ნისი

თ. ბ:

- -ენ(?) - - - -ქბ- - - - -ენ

სასულიერო პირთა გამოსახულებას სამხრეთ კედელზე (მის დასავლეთ კუთხეში) ერისკაცის ფიგურა მოსდევს. სახე, ისევე როგორც თავსაბურავი ამ გამოსახულებაზე გვიან ხანაში საგულდაგულოდ დაუსურავთ, თუმცა ნაკეთების ფრაგმენტები ფრესკაზე ჯერ კიდევ განირჩევა. ესაა დიდი ზომის მორკალული წარბები, თვალის ზედა ქუთუთოების მონახაზი, ცხვირის ხაზის ფრაგმენტი; ყურადღებას იქცევს წარბთაშორისი არეს გაფორმების ხერხი – აქ სამკუთხა ფორმის აწ გამუქებული მონასმია დადებული; ამ მონასმსა და წარბებს შორის თითო თხელი. ასევე მორკალული შტრიხია. კტიტორის კულულებიანი, შედარებით მოკლე თმა და მასიური, ბოლოში წაწვეტებული ყორმის წვერი მოწითალო-ყავისფრითაა ნაწერი. ღია ხაკისფერი ქაბურა ქუდის ქვედა კიდე ბეწვმოვლებულია (ეს უკანასკნელი ნაცრისფერი, თხელი მონასმებით შეუსრულებიათ), წინა მხრიდან კი მას ტალღური ფორმის ნაცრისფერი ვარაყი ამკობს – ბეწვი ამ დეტალს ზემოდან ევლება. ქუდი ზემოდან გირჩის ფორმის მომცრო ნაცრისფერი ყუნწით არის გაფორმებული.

კტიტორის კაბა ცრიატი მწვანე ფერისაა; საოლველის ღია ყავისფერი ოქრის ფონზე აქ შავი ფერის საღებავით სტილიზებული მცენარეული ორნამენტის სახე ყოფილა გამოყვანილი. შესამოსელს ხმლის საკიდი მოყავისფრო-წითელი ფერის წერილი სარტყელი შემოსდევს; იგი ფიგურას ერთიანად კი არ არტყია, არამედ მხოლოდ მარცხენა ფერდამდე გრძელდება, სადაც ვერტიკალურად ეშვება ორწვერა თასმის სახით და ოთხი დახრილი ფონითაა გაფორმებული. გრძელი, სწორი ხმალი დიდებულს წინ აქვს ჩამოკიდებული. ბათქაში ხმლის ვადის ქვედა ნაწილზე, აგრეთვე კაბაზე, ფიგურის წელთან, ჩამოშლილია და შესამოსელზე ინსიგნიის დამაგრების წესი უცნობი რჩება. ხმლის პირი ნაცრისფერია; მისი ვადა საღია, თეთრი ფერისა (ნალესობის საღებავით დაუფარავი სუდაპირი) და ყავისფერი წერილი ხაზებით შექმნილი დიაგონალური ბადით არის გაფორმებული; მასზე წითელი ფერის გრძელი, ბურთულებით შემკული ტემლაკი აკიდია.

საცვეთები აქაც მხოლოდ შავი ფერით არის მოხაზული. ფეხთსამოსის შემამკობელი თასმები წითელი ფერის საღებავით შეუსრულებიათ.

გამოსახულების თანმხლები ტექსტი აქ ერთსტრქონიანია, ამასთან ფიგურის თავის აქეთ-იქით განაწილებული. წარწერა დ. გონაშვილს სრულად ამოუკითხავს.<sup>45</sup> რაც შეეხება თ. ბარნაველისეულ პუბლიკაციას, იგი ბევრად უფრო ფრაგმენტულია<sup>46</sup> (სურ. 14, ტაბ. IX-ბ).


## † 95† 61 1118 7171

თ. ბ.

-- 11(?)117(?) --

<sup>45</sup> დ. გონაშვილი, იერის ხეობაში, ნაკვ. I, გვ. 63; წერილში მოთავსებულია საერო პირის თავისა და მის აქეთ-იქით დატანილი ასომთავრული ტექსტის ნახატიც (სურ. 4).

<sup>46</sup> თ. ბარნაველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 57.



სურ. 14


**ქ. ბ(ე)შქენ ძე ე(რისთაეთ) ე(რისთაე)ისა ვ(არდა)ნისი**

თ. ბ.:

----- -ერისთაეთ ერისთაეისა(?) ე - -ი(?)

**დასაგლეო** კედელზე სამი საერო პირის გამოსახულებაა შესრულებული (სურ. 15). მათი ფრონტალური ფიგურები უმოწყალოდ დაუზიანებიათ, რის გამოც ზოგი დეტალი ახლა სრულიად წარხოცილია.

ეს კტიტორებიც კაბით მოსილნი გამოუსახაეთ. ყველა მათგანს მარჯვენა ხელში შეეულად ამართული კვერთხი უპყრია. სამთაგან ორს (კედლის ცენტრალურ და სამხრეთ მონაკვეთზე) მარცხენა მკერდს წინ აქვს აღმართული ლოცვის ნიშნად; მესამე გამოსახულება (კედლის ჩრდილოეთ ნაწილში) ძალზე ფრაგმენტულია, მისი მარცხენა ხელი ახლა ფაქტობრივად მთლიანად არის წარხოცილი, თუმცა საფიქრებე-



სურ. 15



ლია, რომ იგი ასეთივე ექსტით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი.  
მარცხენა ფიგურას ნაეის ამ კედელზე ვრცელი, მრავალსტრიქონიანი წარწერა ახლდა. იგი კტიტორის ზედატანსა და კვერთხს შორის ყოფილა ოცდასამ სტრიქონად ჩამოგრძელებული. ამჟამად ასომთავრული ტექსტიდან მცირე ფრაგმენტებილა დარჩა (სურ. 16, ტაბ. X).

[...]Q[-]  
[...]ახს  
[...][ - - - ]  
[...]  
ფ[- - -][...]  
ახზ[- - -]ს[- - -]Q[- - - -]ახს[- - -]ზ  
თჩჩ[- - -]ბსსსს[- - -]ახსსსსსსსსსსსს  
ჩსსს[- - -]სსსს[- - -]ბ[- - - -]ბსს[- - -]  
ჩსს[- - - -]ფ[...]  
ყბჩ[-]სს[-]ფ[-]ყფ[- - - -]ბ [- - - - -]ყ  
ახჩ[- - -]ბსს :ბჩჩ[...]  
ჩ[- - - - - - -] [...]  
ბბ[- - - - -]Q[-][...]  
ახ[-]ახ[- - -]ჩ[- - - -]  
[- - - -]Q[...]  
[- - - - - -]ბ  
ბჩს[- - - - -]  
[...]  
ფზსს[- - - -]  
ფ[-]ჩჩსს[- - - -]  
[...]  
[...]

თ. ბ.:

-----ბს  
  
ფ-----  
ახ(?)ზ- - -ს Qბ- - -ახ- - - -ზ  
ბჩ- -ბ- -ბს- - - - -ახ(?)ზსსსსსსსსსსსს  
ჩზ(?)ფ- -სს- - - -ბჩს- -ჩსს  
ზზ- - - - - -  
ყბჩ- -ზბსსსსსსს - - - - -  
-----ფბ  
ბბჩს- -ჩჩ- - - -  
ჩახ- -----  
-----Q-----  
  
-ჩს- -----  
სჩს : -----  
-ზს- -----  
ჩჩჩს- -----



სურ. 16

[. . .]ო[-] | [. . .]რს | [. . .] [- -] | [. . .] | თ[- -] | [. . .] |რგზ[- -]  
 ]ს[- -]ოღ[- -] - - -]რის[- -] | ლა|ღინი[- -] - - -] და სუსი[- -]რვაშუღღ[- -]  
 | ესოქ [-]სირ[- -] - - -]მ[-] გ(ა)რღ(ა)ნ [შეშქ[ენ]- - -]თ[. . .] |ვღე[-]ახ[-]თ[-]შთ[-  
 - - -]ღ [- - -] - - -]შრვი[- -]ნღა მიეძ[. . .] |ღ[- - - -] - - -] |ღმ[- - - -  
 - - -]ო[- -] |. . .]რღ[-]რ[- -] - - -]ნ[- - -] - - -]ო[. . .] |[- - - - -] |ღმის[-  
 - - - -] |. . .]ფლისა\* [- - - -] - - -]თ[-]ნისა[- - -] |. . .] |

\* შესაძლოა - [ოქ]ფლისა, [ღელ]ფლისა ან [სო]ფლისა



სურ. 17

კტიტორის მუქი ალუბლისფერი კაბის საოლველი სახიანია ესაა ნაცრისფერ ფონზე შავი ფერის წერილი, დახრილი ხაზებით შექმნილი ბადე, რომლის რომბისებრ უჯრედებშიც მინიატურული წრეებია ნახატული მცირე შეერილებითურთ ოთხივე მხარეს. კაბის საოლველთა შემამკობელი სტილიზებული კუფური ორნამენტისაგან დღეისათვის შედარებით სრულად კტიტორის მარცხენა მკლავზე შესრულებული ნახატი შემორჩა. იგი შავი ფერის საღებავით უშუალოდ ნაღესობის მოვარდისფრო თეთრ ფონზეა ნაწერი ოხელი ყალმის მსუბუქი მონასმებით.

ხმლის საკიდი – წერილი სარტყელი – კაბაზე არ ჩანს, თავად ხმალი კი კტიტორს უკან აქვს გადაკიდებული – ფიგურის წელთან

მხოლოდ მისი ვადა და ორფონიანი ყაწიმი მოიხანს. სხვა პორტრეტების მსგავსად ხმლის გამოსახულება ამ შემთხვევაშიც მოწითალო-ყავისფერი ნახატის სახითაა შემორჩა.

ყურადღებას იქცევს ფიგურის ზურგს უკან ჩამოშვებული ქსოვილი, რომლის ბოლო მარცხენა ხელის ქვემოთ მოიხანს. ესაა თავისუფლად დაკიდებული წითელი ფერის ნაჭრის ვიწრო ზოლი, რომელიც ქვედა კიდევ, კუთხეებში იმავე ფერის წყვილ თასმებად გრძელდება.

კტიტორის ქვაბურა ქუდისაგან ახლა ფაქტობრივად მხოლოდ მარცხენა ნახევარი შემორჩა. თავსაბურავი ნაცრისფერია; იგი ხაკისფერი ვარაყით ყოფილა გაფორმებული.

ვერტიკალურად აღმართული კვერთხი, რომელიც კტიტორს მარჯვენა ხელში უკყრია, ისევე გაუფორმებიათ, როგორც ჩრდილოეთი კედლის დასაეღეთ კუთხეში გამოსახული ერისკაცის ინსიგნია (დიპლომურად დახეული ყავისფერი ზონარის ფრაგმენტები აქ შედარებით უკეთ მოიხანს). ესაა მხოლოდ, რომ მისი ზედა დაბოლოება არც აქ შემორჩა; ეგვე ითქმის კვერთხის ქვედა ნაწილის შესახებაც – ბუნიკი მარჯვენა ხელს ქვემოთ აღარ ჩანს და ამის გამო მისი სიგრძე უცნობი რჩება.

კტიტორის სახის ადგილზე ნაღესობა ისეა დაზიანებული, რომ ნაკეთებისაგან თითქმის აღარაფერი შემორჩა – გაირჩევა მარჯვენა თვალისა და მორკალული წარბების ნაშთები (უკანასკნელნი ისევე ნაწერი, როგორც ჩრდილოეთი კედლის დასაეღეთ კუთხეში წარმოდგენილი ერისკაცის გამოსახულებაზე). ფერწერული ფენისაგან დარჩენილი ლაქების მიხედვით ჩანს, რომ სახის ძირა ტონი ოქროსფერი ოქრისა უნდა ყოფილიყო, რომელზეც დამუშავება მუქი ყავისფრით სრულდებოდა. მხრებამდე დაშვებული ხეული თმა მოწითალო-ყავისფერ ფონზე შავი ფერის თხელი ხშირი მონასმებითაა ნაწერი.

შუა ფიგურის კაბა ღია ვარდისფერი ყოფილა (ახლა ეს ფერი ძირითადად გაყავისფრებულია); დრაპირების ხაზები მასზე მუქი წითლით მოუნიშნავთ. გამოსახულების ქვედა ნაწილი ფრესკაზე თითქმის მთლიანად არის გადაშლილი. ღია მწვანე სამკლავებს ზემოდან და ქვემოდან ამავე ფერის თითო ზოლი გასდევს. მისი შემამკობელი კუფური ორნამენტის სახე ფაქტობრივად აღარ გაირჩევა. სხვა ფიგურების თანაგვარია საოლეელი – ორნამენტული სახე მის ნაცრისფერ ფონზე შავი მონასმებით არის ოსტატურად გამოყვანილი (ტაბ. XI).

დროთა განმავლობაში ყველაზე მეტად კტიტორის სახე დაზიანებულია – ნაღესობაზე არსებულ დიდ ღრმულებს შორის ახლა მხოლოდ წარბების ფრაგმენტებია გაირჩევა. მოკლედ შეკვეცილი წვერი და მხრებზე გრძელ კულულებად დაშვებული ხეული თმა ღია ყავისფრითაა ნაწერი. დარჩენილი ნაშთების მიხედვით ირკვევა, რომ საკტიტორო რიგში გაერთიანებულ სხვა საერო პირთა თავსაბურავების მსგავსად, ამ დიდებულის ქუდიც ქვაბურა იყო, ქვედა კიდეს შემოყოლებული საოლეელით (ბეწვის გარეშე), ნაცრისფრად შეფერილი და წინ ზეთისხილისფერი ვარაყით გაფორმებული.

დიდებულის მოკლეები აქაც მხოლოდ შავი ფერის კონტურითაა მოსახსული და შეუფერავად დატოვებული, თუმცა საერო პირთა ზემოთ აღწერილი სამი ფიგურისაგან განსხვავებით, ფეხოსამოსის გრძელი ფიხები წითელი საღებავით დაუფარავთ.

საერო პირის ინსიგნია – კვერთხი – ზემოთ აღწერილთა თანაგვარია როგორც ფერით, ისე გაფორმების მხრივ. კტიტორს, მის მარცხნივ წარმოდგენილი ფიგურისაგან განსხვავებით, კვერთხი დიაგონალურად დახრილი სჭერია. მისი ზედა დაბოლოვების შესახებ ახლა ვერაფერს ვიტყვით, ქვემოთ კი იგი, როგორც ჩანს, არ გრძელდებოდა – ფერწერული ფენა ფიგურის შუაწელზე შედარებით სრულად შემოინახა და იქ კვერთხის კვალი არ ჩანს.

ხმალი ამ ფიგურასაც უკან აქვს დაკიდული; წელთან მოჩანს მხოლოდ მისი ვადა რომელიც მოწითალო-ყავისფერი საღებავით შესრულებული ბადით გაუფორმებიათ.

გამოსახულების თანმხლები სამსტრიქონიანი წარწერის ტექსტი კტიტორის თავსა და დიაგონალურად დახრილ კვერთხს შორის ყოფილა განაწილებული (სურ. 17, ტაბ. IX-გ).

7ს[- ----]  
[- ----]-]7ს[- -]  
ახ: 7ს[- ----]6ც

თ. ბ:  
-7- ----  
-----ახ  
-ახ: 7ს- ----6ც----

ეს[ე არს] | [- - - - -]ის[- -]რი ა[- - -]თა

თ. ბ:  
-ე- ---- -რ  
-----ის  
-რი: ა - -თა- ----

მარჯვენა ფიგურისაგან დღეისათვის მცირე ფრაგმენტებიდა დარჩა. კედლის ჩრდილოეთ კუთხეში ნაღესობა მთლიანად ჩამორღვეულია და საერო პირის აქ შესრულებული პორტრეტიც ამან იმსხვერპლა. გამოსახულებისაგან ახლა განირჩევა მოწითალო-ყავისფერი, წელში გამოყვანილი კაბით მოსილი ფიგურის შუაწელის მარჯვენა ნახევარი, აგრეთვე მარჯვენა მკლავის ფრაგმენტი ღია ნაცრისფერი სამკლავის ორმხრივ შემომსაზღვრავი მკრთალი ყავისფერი ხაზებითურთ. კედლის ქვედა ნახევარზე მკრთალად მოჩანს ნაღესობაზე შავი საღებავით მოხაზული მოგვების ნახატიც. რაც შეეხება წარწერას, იგი ღრთა განმავლობაში ერთიანად წარხოცილა.

საკტიტორო გამოსახულებები ქოლაგირის ეკლესიაში უშუალოდ ნაღესობის საღებავით დაუფარავ ფონზეა წარმოდგენილი. ასევე გამოუსახავთ *მატხოერის ამბლღება* ჩრდილოეთი ეკვდერის კამარაზე (ტაბ. VI). ბათქაშის თეთრ, მოვარდისფრო ზედაპირზე კტიტორთა დიდი ზომის ფიგურები, დღესაც კი, საგრძნობი დაზიანებისა და ფერადიუიანი ფენის

განმერთალების მიუხედავად, მკაფიოდ გამოიყოფა მისგან. გარეჯის ფერწერულ სკოლაში საუკუნეთა მანძილზე დამკვიდრებული ეს მხატვრული ხერხი ადგილობრივ მომუშავე ფერმწერთ ოსტატურად გამოუყენებიათ: კტიტორთა მონუმენტური ფიგურები, რომლებსაც ერთიანად მოუცავს მომცრო ეკვდერის კედლები, სათავესს შედარებით მცირე სიმაღლის გამო მთლიანად ავსებს მის ვერტიკალს; დიდი ზომის სილუეტთა რიტმი გამოსახულებების სწორედ თეთრ ფონზე წარმოდგენის წყალობითაა კიდევ უფრო აქცენტირებული. ამას კამარის ფერწერული შემკულობის მხატვრული გადაწყვეტაც უწყობს ხელს – იგი მაქსიმალურადაა განტვირთული; ჯვრის ამამაღლებელ ანგელოზთა მცირე ზომის ფიგურებსა და მედალიონს აქ მხოლოდ მისი ცენტრალური ნაწილი უკავიათ, რის გამოც ეკვდერის კამარის მოხატულობის ერთგვარი სიხალკათე კიდევ უფრო თვალშისაცემს ხდის მის ქვემოთ, დარბაზის კედლებზე ერთიმეორის გვერდით მჭიდროდ მიწყობილი ფიგურების რიგს. ყოველივე ამის გამოა, რომ ეს მომცრო გამოქვაბული სათავესი და მისი ფერწერული შემკულობა, საგრძნობი დაზიანების მიუხედავად, მნახველზე უჩვეულო შთაბეჭდილებას ახდენს; ამგვარი ეფექტი დიდად არის განპირობებული ისტორიულ პირთა – სასულიერო იერარქებისა და დიდებულთა სახეების არაჩვეულებრივად ვრცელი გაღვივებით, რომელიც ფერწერული ანსამბლის უმნიშვნელოვანეს შინაარსობრივ და მხატვრულ აქცენტს წარმოადგენდა.

საკტიტორო გამოსახულებების სიმრავლით ქოლაგირის ეკლესიის ფრესკები უთუოდ ერთ-ერთი გამორჩეულია XI-XIII საუკუნეების ქართულ მოხატულობათა შორის. მართლაც, დასახელებული პერიოდისათვის იშვიათად თუ შეხვდებით ფერწერულ ანსამბლს, ისტორიულ პირთა ამდენ პორტრეტს რომ აერთიანებდეს. თანაგვარი შემთხვევების მოხმობისას ისიც ნიშნული ხდება, რომ ქვეყნის სხვადასხვა კუთხის ფერწერულ სკოლებს შორის, პირველყოელისა, სწორედ გარეჯის მრავალმთის სამეფო მონასტრებში შემორჩენილ მაგალითებს უნდა მივმართოთ. მათგან ერთში – უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის X საუკუნის მიწურულს ან XI საუკუნის დასაწყისში შექმნილ მოხატულობაში<sup>47</sup> ადგილობრივ მმართველთა და მრავალმთის მესვეურთა სახეებია წარმოდგენილი (ტაბ. XII), მეორეში კი, სახელდობრ ნათლისმცემლის მონასტრის მთავარი ტაძრის XII საუკუნის მიწურულის ფრესკებში –

<sup>47</sup> გ. აბრამიშვილი, დავით გარეჯელის ციკლი ქართულ კედლის მხატვრობაში, თბილისი, 1972, გვ. 69-77; გამოკვლევაში მხატვრობა X საუკუნის მიწურულთ (983 წ.) თარიღდება. უფრო გვიანი თარიღისათვის იხ: Т. В. Вирсаладзе, К вопросу о датировке первоначальной росписи северного придела главного храма монастыря Удабно в Давид-Гаредже, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების შტაბი, 1968, №6, გვ. 223-239; А. И. Вольская, Росписи средневековых трапезных Грузии, გვ. 76-79; A. D. Eastmond, Royal Imagery in Medieval Georgia, Pennsylvania, 1998, p. 56, fig. 36-37.


ერთიანი საქართველოს მეფეთა უზრევლოდ ვრცელი რიგი<sup>48</sup> (სურ. 18-19). ცხადია, ეს შემთხვევები როგორც ურთიერთისაგან, ისე საკუთრივ ქოლაგირისაგან სხვაობს არამარტო საკტიტორო რიგის შემადგენელი პორტრეტების მიხედვით, არამედ იმ წინაპირობებითაც, რომელთაც უნდა განესაზღვრათ სახეთა არჩევანი და მათი თანამიმდევრობა.

საკტიტორო რიგის ისტორიულ მნიშვნელობას დიდად ზრდიდა გამოსახულებათა თანმხლები ვრცელი წარწერებიც, რომლებიც, უდავოა, მრავალ საგულისხმო ცნობას შეიცავდა იმპაინდელი საქართველოს პოლიტიკური ვითარებისა თუ სულიერი ყოფის სხვადასხვა მხარესთან დაკავშირებით. ფერწერის დაზიანებამ შეუძლებელი გახადა არამარტო მათი მეტნაკლებად სრული სახით ამოკითხვა, არამედ ტექსტებში მითითებული სახელებისა და ისტორიული რეალიების გარკვევაც. გამოინაკლის წარმოადგენს რამდენიმე წარწერა, თუმცაღა ისინიც საგრძნობლად ფრაგმენტულია და, ამდენად, მათი ნაწილის თაობაზეც მხოლოდ სავარაუდოდ თუ შეიძლება მსჯელობა.

ისევე, როგორც საკტიტორო გამოსახულებებისათვის საზოგადოდ, ქოლაგირშიც თვალსაჩინოა ისტორიულ პირთა გამოსახულებების განაწილება-განთავსების ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი: ხაზგასმული იერარქია თანადროული საქართველოს როგორც პოლიტიკური ვითარებისა და სოციალური წყობის შესაბამისად, ისე სულიერი ცხოვრების რეალობათა გათვალისწინებით. კტიტორთა რიგს ტაძრის ჩრდილოეთი ეკვდერის ორსავე – როგორც სამხრეთ, ისე ჩრდილოეთ – კედელზე სასულიერო პირები უდგას სათავეში. მათი შესამოსელი, ისევე როგორც წარწერებისაგან შემორჩენილი ფრაგმენტები ცხადყოფს, რომ აქ საქართველოს ეკლესიის იერარქია მთელი დასი უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი (საერო მმართველებთან, ძირითადად ერისთავთ-ერისთავებთან ერთად), თუმცა, ცხადია, არ გამოირიცხება მათთან ერთად ადგილობრივ მოწესეთა (მრავალმთის ცალკეულ მონასტერთა წინამძღვრის ან წინამძღვრების) გამოსახვის შესაძლებლობაც.

საკტიტორო გამოსახულებების განთავსებასთან ერთად გარკვეული კანონზომიერება თავს იჩენს მათი პორტრეტების განმარტებითი წარწერების განაწილებასა და შინაარსშიც: ვრცელი, ზოგ შემთხვევაში გამორჩეულად გრძელი წარწერები ძირითადად კტიტორის თავის ორსავე მხარეს არის განთავსებული (ამ მხრივ გარკვეულ გამოინაკლის წარმოადგენს დასავლეთი კედლის სამხრეთ კუთხეში წარმოდგენილი დიდებული ფიგურა, რომლის არაჩვეულებრივად ვრცელი ტექსტი მის ფიგურასა და კვერთხს შორის ოცდასამ სტრიქონად გაუნაწილებიათ). ტექსტთა ერთი ნაწილი იწყებოდა ფორმულით: **ესე არს**, რასაც, როგორც ჩანს, მოსდევდა მითითება კტიტორის წარმომავლობის თაობაზე; შემდეგ კი აღნიშნული იყო მისი მოხელეობა და წოდება. საკტიტორო გამოსახულებათა თანმხლები წარწერების ამგვარი რეგლამენტაცია ამ მხრივაც

<sup>48</sup> ზ. სხირტლაძე, სამეფო კტიტორული პორტრეტი გარეჯის ნათლისმცემლის მონასტერში, *საბჭოთა ხელოვნება*, 1983, №11, გვ. 96-110; მისივე, კვლავ ნათლისმცემლის საკტიტორო პორტრეტების შესახებ, *საბჭოთა ხელოვნება*, 1987, №3, გვ. 108-113; მისივე, *Les portraits de l'église principale du monastère Natlismtsemeli à Garedja*, *Зорпак*, №23, 1993-1994, p. 5-14.



სურ. 18





სურ. 19

აშკარად გარკვეული პრაქტიკის არსებობაზე მიმანიშნებელი უნდა იყოს და იგი ქართულ კედლის მხატვრობაში ტრადიციულადაც უნდა ქცეულიყო. სხვა თანაგვარ შემთხვევათა შორის ამ მხრივ ყველაზე ნიშნული ჩანს ზემო კრიხის მოხატულობის მაგალითი – იქაც ხომ საკტიტორო გამოსახულებათა თანმხლები წარწერები მსგავსადაა შედგენილი.<sup>49</sup> გარკვეული შინაარსობრივი და სტრუქტურული პრინციპის არსებობა ივარაუდება ატენის სიონის კტიტოროთა გამოსახულებების თანმხლებ წარწერებშიც, სადაც, პორტეტის მარჯვენა მხარეს კტიტოროის ვინაობა უნდა ყოფილიყო აღნიშნული, მარცხნივ კი – მის მიერ გაღებული შეწირულობები.<sup>50</sup> ცხადია, ამ სამ ძეგლში თავს იჩენს დროით განპირობებული გარკვეული სხვაობაც: ზემო კრიხის XI საუკუნის დასაწყისის

<sup>49</sup> Т. Б. Вирсаладзе, Фресковая роспись в церкви Архангелов села Земло Крихи, *Ars Georgica*, 6, 1963, с. 117-118.

<sup>50</sup> გ. აბრამიშვილი, ატენის სიონის საკტიტორო წარწერები, *ძეგლის მეგობარი*, №19, 1969, გვ. 30-37; მისივე, ატენის სიონის მოხატულობის კტიტოროთა იდენტიფიკაცია, *საბჭოთა ხელოვნება*, 1982, №5, გვ. 86-100; თ. ვირსალაძე, ატენის სიონის მოხატულობა, თბილისი, 1984, გვ. 5-19; მისივე, ატენის სიონის მხატვრობის დათარიღებისა და კტიტოროთა პორტრეტების იდენტიფიკაციის საკითხები, *საბჭოთა ხელოვნება*, 1988, №4, გვ. 129-144; მისივე, ატენის სიონის მხატვრობისა და კტიტოროული პორტრეტების იდენტიფიკაციის საკითხისათვის, *Ars Georgica*, 10, 1991, გვ. 103-142. ამ საკითხთან დაკავშირებით ბოლო ნარკვევი მცირე ხნის წინ გამოქვეყნდა (გ. აბრამიშვილი, კიდევ ერთხელ ატენის სიონის მოხატულობის თარიღსა და კტიტოროთა იდენტიფიკაციის საკითხებზე, *საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ნარკვევები*, V, 1999, გვ. 72-88).

ფრესკებზე ფორმულა ბეერად უფრო ლაკონურია, სულ რამდენიმე სიტყვის მომცველი, მაშინ როცა ქოლაგირში ზოგიერთ წარწერას, როგორც ჩანს, ერთგვარ მატრიანესაც კი წარმოადგენდა. თუმცადა, ქოლაგირის მოხატულობაში განმარტებითი წარწერების აღნაგობა და შინაარსი, კტიტორის მნიშვნელობის შესაბამისად, ყველგან თანაგვარი რომ არ უნდა ყოფილიყო, ამაზე მათი განსხვავებული მოცულობაც მეტყველებს. ამის მაგალითია სამხრეთი კედლის უკიდურესი დასაველეთი კუთხის ფიგურა (ბეშქენ, ერისთავთ-ერისთავ ვარდანის ძე), რომლის წარწერაში მარტოოდენ მისი სახელი და წარმომავლობაა აღნიშნული. სასოგადოდ თავისი ინფორმაციულობით, ისევე როგორც მკაფიო სტრუქტურით, ქოლაგირის საკტიტორო წარწერებს ჩვენში მხოლოდ რამდენადმე თუ შეედრება მეფის მხატვარ თევდორეს წარწერები, რომლებიც მის მიერ მოხატულ ეკლესიებში შემორჩა.<sup>51</sup>

განმარტებითი წარწერის არანაირი კვალი არ ჩანს ჩრდილოეთი კედლის დასაველეთ კუთხეში წარმოდგენილი მცირეწლოვანი ყრმის ფიგურასთან. შესაძლოა, მისი სახელი მის უკან მდგომი დიდებულის - როგორც ჩანს, მამამისის, პორტრეტთანვე იყო მოცემული.

ეკედერის სამხრეთ კედელზე იერარქიული რიგი გარკვეულწილად დარღვეულია, რადგან ვახირთუხუცესის წინ კიდევ ერთი ფიგურაა გამოსახული. ქრისტიანულ ხელოვნებაში ასწლებულთა მანძილზე დამკვიდრებული წესისამებრ, აქ თავად მეფის, დედოფლის, უფლისწულის ან სამეფო ოჯახის სხვა რომელიმე წარმომადგენლის პორტრეტი იქნებოდა საგულეებელი და არა რომელიმე დიდებულის სახლის წევრისა. მაგრამ ქოლაგირში ამგვარი შეუსაბამობის მიზეზი თავად წარწერაში არის მითითებული - ერისთავთ-ერისთავი ვარდანი, რომელიც ფრესკაზე გამოუსახავთ, მეფე დიმიტრის გაზრდილია, ე.ი. იგი იმუამინდელი საქართველოს სამეფო კარის უახლოესი პირია, გარკვეული ღირსებებითა და შესაბამისად, პატივით აშკარად გამორჩეული როგორც სასოგადოდ ქვეყნის უზენაეს ხელისუფალთა წრეში, ისე საკუთრივ ამ მხარის მმართველ საგვარეულოში. მისი შესამოსელი - გრძელი, ტერფებამდე დაშვებული კვართი და მოსასხამი იმაზე უნდა მიანიშნებდეს, რომ ერისთავთ-ერისთავის ძე სასულიერო ხარისხის მატარებელია. ყოველივე ამასთან რამდენადმე შეუსაბამო ჩანს კტიტორის თავსაბურავი, რომლის მარცხენა კიდეზე თითქოს ბეწვიანი ქობის ფრაგმენტები გაირჩევა.

იმ მწირ მონაცემთა შორის, რომლებიც ქოლაგირის საკტიტორო გამოსახულებებისა და აქედან გამომდინარე, გამოქვაბული ეკლესიის ფრესკების შესრულების პერიოდის დასაზუსტებლად ამჟამად მოგვეპოვება, ერთ-ერთი ყველაზე ფასეული და ხელმოსაჭიდი ჩანს ერისთავთ-ერისთავ ვარდანის წარწერაში მოხსენიებული მეფის სახელი - **დიმიტრი**. ასორმოცდაათ წელზე მეტი ხნის მომცველი პერიოდის განმავლობაში, რომელზეც ქოლაგირის ეკლესიის მოხატულობასთან დაკავშირებით გვიხდება მსჯელობა, ამ სახელით ორი მეფეა ცნობილი: დემეტრე I (1125-1156 წწ.), დავით აღმაშენებლის ძე და დემეტრე II (1271-1289 წწ.), დავით ულუს ძე, თავდადებულად წოდებული. ნათელი უნდა იყოს, რომ

<sup>51</sup> Н. А. Аладашвили, Г. В. Алибегашвили, А. И. Вольская, Живописная школа Сванети, Тбилиси, 1983, с. 30-32.

იმ შემთხვევაში, თუკი ერისთავთ-ერისთავ ვარდანს დასახელებულთაგან პირველის აღზრდილად მივიჩნევთ, გამოქვაბული ეკლესიის მოხატულობის შესრულების სავარაუდო პერიოდს XII-XIII საუკუნეთა მიჯნას ვერ გადასცდება; რაც შეეხება მეორე ვარაუდს, ასეთ შემთხვევაში ფრესკების შესრულების ქვედა ქრონოლოგიური მიჯნა XIII საუკუნის მიწურულით, უფრო კი XIV საუკუნის დასაწყისით უნდა განისაზღვროს.

ყოველივე ამასთან დაკავშირებით მრავლისმთქმელია სამხრეთი კედლის მეორე გამოსახულება და მისი განმარტებითი წარწერიდან დარჩენილი ტექსტი. ფრესკაზე **მწიგნობართუხუცესისა** წარმოდგენილი – ერთ-ერთი ყველაზე წარჩინებული მოხელე საქართველოს სამეფო კარზე, ვაზირი, რომელიც გარკვეულ ეპოქაში სასულიერო იერარქისა და პირველი ვაზირის სახელოებს ითავსებდა.<sup>52</sup> ჩვენს შემთხვევაში ნიშნული უნდა იყოს ის, რომ ფრესკული პორტრეტის განმარტებით წარწერაში სწორედ ეს გარემოება არის ხაზგასმული – ტექსტში ხომ პირდაპირაა მითითებული, რომ კტიტორი **ვაზირთუხუცესისა**, ე.ი. უწინარესი სამეფო კარის უმაღლეს მოხელეთა რიგში.

სავაზიროს საკითხი მრავალჯერ გამხდარა საგანგებო კვლევის საგანი ბოლო ათწლეულების განმავლობაში.<sup>53</sup> მწიგნობართუხუცესის სახელო და მისი რაობა იმ საკითხთა რიგისაა, რომელთა თაობაზეც მოსაზრებები და დაკვირვებები მრავალჯერ გამოითქვა ჩვენს ისტორიოგრაფიაში. ამჟამად უკვე საყოველთაოდაა გაზიარებული თეალსაზრისი, რომლის თანახმადაც მწიგნობართუხუცესის სახელო ქვეყნის სამეფო კარზე დაკით IV აღმაშენებლის დროიდან უნდა არსებულებოდა.<sup>54</sup> ცნობილია XI-XIV საუკუნეების მანძილზე მოღვაწე მწიგნობართუხუცესთა რიგი, რომელსაც, თუმცაღა, ვრცელი ხარვეზები ახლავს. ესაა: გიორგი (1103/4-1118 წწ.), სვიმეონ (ჩანს 1118-1141 წწ.), იოანე (ჩანს 1161-1178 წწ.), ანტონ გლორისთავის ძე (1178-1184 და 1185-1204წწ.), მქაქელ მირიანის ძე (1184-1185 წწ.), თეოდორე (1204-1206 წწ.), არსენი (დაახლ. 1235-1248 წწ.), ბასილი (1248?-1265 წწ.), გიორგი (XIV ს. მეორე ნახ.).<sup>55</sup>

<sup>52</sup> მწიგნობართუხუცესის სახელოზე ბევრჯერ დაწერილა. მრავალთაგან დაეახელებოთ ძირითადს: ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია. შრომები, ტ. VI, თბილისი, 1982, გვ. 264 და შემდ.; ნ. ბერძენიშვილი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში, მისივე წიგნში: საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. III, თბილისი, 1966, გვ. 11-12; რ. მეტრეველი, შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში, თბილისი, 1973, გვ. 244-245; შ. მესხია, საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში, თბილისი, 1979, გვ. 79-102; ი. ანთელავა, საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა XI-XIII სს. საქართველოში, თბილისი, 1983, გვ. 100-121.

<sup>53</sup> ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, გვ. 258-340; ნ. ბერძენიშვილი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში, გვ. 5-56; შ. მესხია, საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა, გვ. 9 და შემდ.; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, თბილისი, 1979, გვ. 636-637; გ. ოსიშვილი, XII-XIII საუკუნეების მიჯნის ქართული ლაპიდარული წარწერები, როგორც საისტორიო წყარო, თბილისი, 1981, გვ. 49-63; ი. ანთელავა, საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა, გვ. 152-162.

<sup>54</sup> ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 39; რ. მეტრეველი, შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში, თბილისი, 1973, გვ. 245; შ. მესხია, ძლევა და საკვირველი, თბილისი, 1972, გვ. 33; ი. ანთელავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 99-104.

ადრევე უნდა დამკვიდრებულიყო მწიგნობართუხუცესის უპირატესი ადგილიც დარბაზის რიგის სხვა უხუცეს მოხელეთა შორის, ამასთან თავის მაქსიმალურ აღზევებას ეს სახელო XII საუკუნის მკორე ნახევარში, გიორგი III-ის ზეობიდან მოკიდებული აღწევს.<sup>56</sup> თუმცა კი ეს მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა – XIII საუკუნის დასაწყისისათვის, ათაბაგის სახელის წინ წამოწევის კვალად, მწიგნობართუხუცესი თანდათან ემცრობა და პირველობას კარგავს. “ათაბაგობის შექმნით და მისი ამირსპასალარობასთან ფაქტობრივი შეერთებით ... საქართველოს მეფეს ერთბაშად “ორი მამა” გაუჩნდა მწიგნობართუხუცესისა და ათაბაგის სახით. ცხადია, დროთა განმავლობაში სასწორი იმ მამის მხარეს უნდა გადახრილიყო, რომელსაც ძლიერი რეალური დასაყრდენი გააჩნდა. სამეფო ხელისუფლების დასუსტების შემთხვევაში ასეთს ათაბაგ-ამირსპასალარი წარმოადგენდა.”<sup>57</sup> საისტორიო წყაროების მიხედვით, XIII საუკუნის შუახანებიდან ამ ხელს იღებდა ერთგული და, შესაბამისად, მათ მიერ დაწინაურებული დიდებულები ღებულობდნენ (ამ მხრივ ყველაზე ნიშნული სადუნ მანკაბერდელის, შერბაროქის ძის მაგალითი უნდა იყოს<sup>58</sup>). ასე რომ, იმხანად ვაზირთა შორის უპირველესად, ვაზირთუხუცესად უკვე ათაბაგი ჩანს. იგი, იმავდროულად, ამირსპასალარის სახელსაც ფლობდა. უთუოდ ანგარიშგასაწევია ის დაკვირვებაც, რომლის მიხედვითაც დასახელებული პერიოდიდან აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო კარზე აღარც კი ჩანს მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელი.<sup>59</sup> ყოველივე ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით ნიშნული უნდა იყოს ჟამთააღმწერლისეული მითითება, რომ ივანე მხარგრძელს “პატივი ათაბაგობისა მინებებოდა დეღისა მათისა თამარისგან. რამეთუ იყო ათაბაგობა ისრე განდიდებული, [რომელ] იყო უმეტეს სხუათა ერისთავთასა: ესე იყო ვაზირი კარსა მეფისასა.”<sup>60</sup> იმავე ავტორის ცნობით, ჯალალედინის მიერ წარგზავნილი მოციქული ბიჯნისს

<sup>56</sup> ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 30. შდრ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, გვ. 640.

<sup>57</sup> შ. მესხია, საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა, გვ. 72.

<sup>58</sup> ი. ანთელავა, საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა, გვ. 136-138.

<sup>59</sup> გრიგოლ აკანელი, მოისართა ტომის ისტორია, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით და კომენტარით გამოსცა ნ. შოშიაშვილმა, თბილისი, 1961, გვ. 197.

<sup>60</sup> შ. მესხია ვარაუდობდა, რომ მწიგნობართუხუცესისათვის პირველობა ათაბაგს XIII საუკუნის 60-იანი წლებისათვის უნდა ჩამოერთმია (შ. მესხია, საშინაო პოლიტიკური ვითარება, გვ. 78). ამ მოსაზრებას იზიარებს ი. ანთელავაც (იხ. მისი, საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა, გვ. 138).

<sup>61</sup> ჟამთააღმწერელი, ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, ტ. II, თბილისი, 1959, გვ. 152 (შემდეგ – ჟამთააღმწერელი).

ეკვი, რომელიც ამ ცნობასთან დაკავშირებით შეიძლება გაჩნდეს, უმთავრესად თხზულების შექმნის დროს უკავშირდება და გულისხმობს, რომ მოხმობილი რეაქციების ნაწილი ჟამთააღმწერლის ეპოქის ამსახველი შეიძლება იყოს ყოფილიყო. ასეთ შემთხვევაში დამაფიქრებელი ჩანს ის გარემოება, რომ ჯალალედინის შემოსევის პერიოდზე, XIII საუკუნის 20-იან წლებზე საუბრისას ისტორიკოსთან რეალურად იქნა ასახული ქვეყნის სამოხელეო წყობაში მომხდარი ცვლილებები, რის შედეგადაც ვაზირთა შორის პირველობა უკვე ათაბაგის ხელში იყო გადასული.

მყოფ ავაგ ათაბაგს ასე მიმართავს: *“შენ ხარ ეაზირთუხუცესი მეფისა და ითუალავე საქართველოსა”*.<sup>61</sup> ეს ფაქტი ქართულ ისტორიოგრაფიაში უწინდელი პირველი ვაზირის, მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის სახელს დამცრობაზე მინიშნებად არის მიჩნეული. ნ. ბერძენიშვილის დაკვირვებით, იმ დროიდან სამეფო საქმეთა განგება ათაბაგის ხელში უნდა გადასულიყო;<sup>62</sup> იგი ამასთან დაკავშირებით მიუთითებდა, რომ ცენტრალური ხელისუფლების დასუსტების პირობებში *“ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის”* მნიშვნელობა კიდევ უფრო დასუსტდა. *“XIII ს-ში პირველი ვაზირი, “ვაზირთა უხუცესი” ნამდვილად არის არა ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი, არამედ ათაბაგი, რომელიც ამავე დროს ამირსპასალარიც არის”*.<sup>63</sup> რაც მთავარია, ათაბაგ-ამირსპასალარის უფლებები საგრძნობლად გაიზარდა სამეფო მონასტრებზეც, რომლებიც, როგორც აღინიშნა, უწინ მწიგნობართუხუცესის საურავს წარმოადგენდა.<sup>64</sup> ამ ცვლილებათა ერთ-ერთ სავარაუდო წინაპირობად ასახელებენ იმ მიძიმე მდგომარეობას, რომელშიც მცხეთის ეკლესიის საქონებელი და სამწყსო, ისევე როგორც სამეფო მონასტრები აღმოჩნდნენ XIII საუკუნის მეორე მეოთხედიდან მოკიდებული (შდრ.: *“ხოლო ქუეყანა სამეფო, საყდარნი და მცხეთა და მისი მიმდგომი ქუეყანა და მონასტერნი არავისგან იცეპოდეს, რამეთუ წარჩინებულნი ამის სამეფოსანი თუხისა ქუეყანისათვის ზრუნვიდეს”*).<sup>65</sup> ქვეყნის ძნელბედობისას სამეფო საქონებელთან მიმართებით მომხდარ ცვლილებებზე, სახელდობრ სამეფო მონასტრების ათაბაგ-ამირსპასალარის დაქვემდებარებაში გადასვლაზე უნდა მიანიშნებდეს სტეფანოს ორბელიანის ცნობა 1216 წელს ნორავეანქისა და ტათევის მონასტრებს შორის წმინდა ჯვართან დაკავშირებით ატეხილი დავის თაობაზე.<sup>66</sup> დავასთან დაკავშირებით მოწვეულ კრებას თაყად ათაბაგ-ამირსპასალარი ივანე მხარგრძელი უაღკებოდა. ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა, რომ მონოფიზიტურ მონასტერთა შორის ატეხილი დავის გარჩევაში, საქართველოს სამეფო კარის უმაღლესი მოხელის განგებით, სომხური მხარის წარმომადგენლებთან ერთად ქართველი დიდებულები და, რაც მთავარია, საქართველოს ეკლესიის იმჟამინდელი მესვეურები მონაწილეობდნენ. ნიშნეულია, რომ ესაა *“დიდი ჭყონდიდელი, ვარძიის წინამძღვარი, ახტალის წინამძღვარი და დიდი მამამთავარი გარეჯისა”*. მართალია ჭყონდიდელი აქ საეკლესიო წარმომადგენელთა რიგშია დასახელებული, მაგრამ იგი არც წინამძღოლია კრებისა და არც სხვათაგან ისე გამორჩეული, როგორც მწიგნობართუხუცესი. შესაბამისად მისი მნიშვნელობა ამ პერიოდისათვის გარკვეულად დამცრობილია; გარეჯისა და ვარძიის მონასტერთა წინამძღვრები კი

<sup>61</sup> იქვე, გვ. 172.

<sup>62</sup> ნ. ბერძენიშვილი, უამთაღმწერელი, მისივე წიგნში: საქართველოს ისტორიის საკითხები, IX, თბილისი, 1979, გვ. 245.

<sup>63</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორია XIII-XIV სს. (კონსპექტი), მისივე წიგნში: საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბილისი, 1965, გვ. 59-60.

<sup>64</sup> დ. კლდიაშვილი, ავაგ ათაბაგის წარწერა გარეჯის მრავალმისის უდაბნოს მონასტერში, *მრავალთავი*, XVIII (იბეჭდება).

<sup>65</sup> უამთაღმწერელი, გვ. 224.

<sup>66</sup> ი. აბულაძე, სტეფანოს ორბელიანის ისტორიის ერთი ცნობის გამო, შრომები, ტ. IV, თბილისი, 1985, გვ. 54.

სამეფო მონასტრებს წარმოადგენდნენ ამ კრებაზე და ისინი მეისტორიის მიხედვით სხვა მოწვეულთა მსგავსად ათაბაგს დაუსხამს კრებაზე.

ასე რომ, მწიგნობართუხუცესის, როგორც ვაზირთა შორის უპირატესის, მით უფრო კი საეპისკოპოსოს ხელმძღვანელის (ანუ *ვაზირთუხუცესის*) სახელოს არსებობა გარკვეული ქრონოლოგიური მონაკვეთით იფარგლება და იგი XIII საუკუნის პირველ ნახევარს ვერ გადასცდება. ქოლაგირის გამოქვაბული ეკლესიის ფრესკა სწორედ ამის შესაბამის ვითარებას ასახავს: კტიტორთა რიგს მეფის გაზრდილი დიდებულის შემდგომ აქ სათავეში მწიგნობართუხუცესი უდგას; რაც მთავარია, წარწერაში საგანგებოდაა მითითებული მისი უპირატესობა, მეთავეობა სამეფოს უმაღლეს მოხელეთა, ვაზირთა შორის, ხაზგასმულია მეფის მიერ მისი “თუსთა მწიგნობართა უხუცესად და ვაზირთუხუცესად” დადგინების ფაქტი.

ქოლაგირის ეკლესიის საკტიტორო რიგის შესრულების საეპარაუდო პერიოდის განსაზღვრისას, ცხდია, სხვა გარემოებებსაც უნდა მიექცეს ყურადღება, მით უფრო, რომ XII-XIII საუკუნეებისათვის მრავალმთის ამ კუთხის, სახელდობრ ივრისპირეთის მდგომარეობის თაობაზე წყაროებს საგულისხმო სურათი აღუბუჭდავს.

ივრისპირა გარეჯის ის ნაწილი, სადაც მრავალმთის გამოქვაბული მონასტრებია თავმოყრილი, ადრეული ხანიდან მოკიდებული კამბეჩოვანის ფარგლებში იყო მოქცეული.<sup>67</sup> კამბეჩოვანი ცენტრით ხორნაბუჯში გარკვეული დროის მანძილზე (VII-X საუკუნეებში) კახეთ-ქვერეთის სამეფოს ერთ-ერთ საერისთავოს წარმოადგენდა, XI-XIII საუკუნეებში კი იგი საქართველოს ერთიანი სამეფოს ფარგლებში ხორნაბუჯის საერისთავოში შედიოდა.<sup>68</sup> ამ კუთხისადმი გამორჩეულ ინტერესს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდა მისი ბუნებრივი პირობები; ვახუშტი ბატონიშვილთან ამ მხრივ გარეჯის ქვეყნის საგულისხმო სურათია წარმოდგენილი: ივრისპირეთი — “და არს ადგილი ესე ზამთარ თბილი, ბაღახიანი, მცირეთოელიანი, ნადირ-ფრინელიანი, ჰავითა მშენიერი, ხოლო ზაფხულ ცხელი, ხაშმიანი, გაუძღისი;” მრავალმთის ცენტრალური ნაწილი — “საგარეჯოს ქუევით, უტყეო მცირეთაგან კიდე, ნადიან-ბაღახიანი, ღერწოვანი, უმდინარო, თენიერ იორის მდინარისა, და მცირე-წყაროიანი. ხოლო ჰავითა არიან მშენიანი, ზამთარ თბილი, ზაფხულ ცხელი და არა ეგდენ, მცირე-თოელიანი, უყინულო, უყივნო, ეინაშაგან ვეროდეს განყოინაეს მდინარეთა, და არცა დაადგრების თოვლი დღე სამ, და უქარო არამედ იორს და მტკუარს შუა ასტყდების მცირე მთა ხორანთიდამევე, რომელსა ეწოდების გრძელტბა და გარეჯა ... მდებარებს მთა ესე, ვითარცა მდინარე იორისა, და არს უტყეო, თენიერ ძეძუთა და თუთუბოთა, და ეგეთთა სხუათა მრავალთა ... გარნა არს ბაღახიანი ზამთარიც, და გამოიზრდებიან სიმრავლე არვეთა, მროწლეთა, ჯოგთა, რემათა იმი-

<sup>67</sup> დ. მუსხელიშვილი, ქიზიყის ძველი ისტორია, თბილისი, 1997, გვ. 12-13; გამოკვლევას დართულ რუკაზე ივრისპირა გარეჯის მონასტრები — ბერების სერის კომპლექსები (საბერებუბითურთ), ქოლაგირი, დიდი ქვაბები, პატარა ქვაბები, მით უფრო კი პირუკულმა და სატორგე სწორედ კამბეჩოვანის ფარგლებშია მოქცეული.

<sup>68</sup> თ. თოდრია, ქიზიყის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, VI, 1982, გვ. 80.

ერ და ამიერ.” აგრეთვე “ხოლო მდინარის იორის კიდე იმიერი და ამიერი არს ფრიად ნაყოფიერი, ვინაათგან აღმოვლენან რუნი, და ირწყვიან ეელნი, და სცენდებიან ყოველნი მარცვალნი და დასდევს იორს მცირე ჭალაცა და ლერწმოვან-ჩალიანი, და არიან ნადირნი და ფრინველნი მრავალნი და უმეტეს ჯოჯობნი”<sup>69</sup>

კუთხის მდიდარი ბუნებრივი რესურსები თავისთავად განაპირობებდა მისი სამეურნეო ყოფის მაღალ დონეს. ამასვე უკავშირდებოდა ქვეყნის აღმოსავლეთი მონაპირე რეგიონის ტრადიციულად დიდი ეკონომიური მნიშვნელობაც – კამბეჩოვანი, სახელდობრ კი მისი იერისპირა ზოლი თავისი ნაყოფიერი სავარგულებით, მესაქონლეობისათვის დიდად გამოსადეგი მიწებით, მუდამ ექცეოდა ქვეყნის უმაღლეს ხელისუფალთა თუ უცხოელი დამპყრობლების ყურადღების სფეროში. შემთხვევით არ არის ის გარემოებაც, რომ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, თვით გვიან შუა საუკუნეებშიც კი, მრავალმთის აღმოსავლეთი ნაწილი ტრადიციულად სამეფო ნადირობისათვის განკუთვნილ ადგილად ითვლებოდა.<sup>70</sup>

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით საესებით ბუნებრივი ჩანს აღმშენებლობის ის დიდი ტალღაც, რომელსაც სწორედ XII საუკუნეში და XIII საუკუნის დასაწყისისათვის გაედევნება თვალი კამბეჩოვანში. აღნიშნული ასევე შეეხება საკუთრივ იერისპირა გარეუკაც: XII-XIII საუკუნეთა მიჯნის მესტორიეთა, ისევე როგორც უფრო გვიანი წყაროების ჩვენება ცხადყოფს იმხანად ამ კუთხის დიდ ეკონომიკურ და კულტურულ დაწინაურებულობას, სიძლიერეს.<sup>71</sup> თვით ვახუშტი ბატონიშვილმაც კი უწყოდა, რომ XIII საუკუნისათვის “იორის კიდე ვიდრე იმიერ და ამიერ” ვიდრე ალაზანის შესართავამდე დიდად კეთილშენი და აყვავებული იყო.<sup>72</sup>

აქვე ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ ხორნაბუჯი მონაპირე საერისთავო იყო. დავით აღმაშენებელის მიერ სელჩუთაგან ქვეყნის განთავისუფლების შემდეგ ხორნაბუჯის საერისთავო კვლავ აღდგა და მნიშვნელოვანი როლი დაიკავა მას დაეკისრა ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთი მიჯნების დაცვა. “ეს სანაპირო ამჟამადაც ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან და სტრატეგიულად უაღრესად პასუხსაგებ უბნად რჩებოდა საქართველოს სახელმწიფოს სამხედრო-თავდაცვით სისტემაში, რამდენადაც იგი ემიჯნებოდა არანს ანუ განძის საათაბაგოს, რომელიც უკვე IX-X საუკუნეებში ისლამური სამყაროს, ხოლო XI საუკუნიდან სელჩუკიან თურქთა ფორპოსტს წარმოადგენდა ამიერკავკასიაში ქრისტიანული სახელმწიფოს წინააღმდეგ. XII ს-შიც საქართველოს მთავარი

<sup>69</sup> ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973, გვ. 525, 527, 528.

<sup>70</sup> ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისა, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 131 (შემდგომში – ბასილი ეზოსმოძღვარი); ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 528.

<sup>71</sup> ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 61.

<sup>72</sup> ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 527, 541.

საფრთხე აქედან ემუქრებოდა.<sup>73</sup>

ვითარება არსებითად იცვლება XIII საუკუნის 20-30-იანი წლებიდან მოკიდებული, როდესაც გარეჯის მრავალმთის აღმოსავლეთი ნაწილი, სახელდობრ ხორნაბუჯის საერისთავო/კამბეჩოვანი ზედიზედ განიცდის უცხოელთა შემოსევებს. 1225 წელს, როცა ხვარაზმელებმა *“ესრეთ რა მოაოხრეს თფილისი, იწყეს რბევაჲ, ტყუენვაჲ, კოცად და კლვად სომხითისა და კამბეჩიანისა და იორის პირთა ... და გაგრძელდა ესევეითარი ჳირი და ზეგარდამომავალი რისხვა ხუთისა წლისა ჟამთა, რამეთუ ორ წელ პირველ აღაოკრეს ქუეყანა და ხუთი წელი ქალაქსა დაყვეს”*<sup>74</sup> თუმცა, უფრო დიდი განსაცდელი იერისპირეთს შემდგომში ელოდა – იგი ხომ XIII საუკუნის შუახანებიდან დაწყებული მონღოლთა ლაშქრის არამარტო სადგომად, არამედ მათ შორის ბრძოლის ასპარეზადაც იქცა. ამ მხრივ განსაკუთრებით გამანადგურებელი აღმოჩნდა ოქროს ულუსისა და არანის ილხანთა მონღოლებს შორის წარმოებულ ბრძოლა, რომელმაც XIII საუკუნის 60-იანი წლებიდან იჩინა თავი. ბერქა ყაენსა და პულაგუ ყაენს შორის ამტყდარი ომის დროს ეს მხარე არაერთგზის გამხდარა ბრძოლის ასპარეზი. მონღოლების მხედართმთავარი, *“საბერძნეთს მდგომი დედაწულითა, რომელთა თავადი იყო ალათემურ ვინმე, კაცი სახელოვანი, აიყარა ბარგითა და დედაწულითა, და იელტოდა, და მომართა სამცხის კერძო”* საიდანაც *“აიყარა ბარგითა და დედაწულითა და გამოვლო მტკუარი და მიმართა ჯაეახეთით”*. ნადირობას მიმავალი ადგილობრივი დიდებულის მურვან გურკელელის, მახუნჯაგის ძის, დამარცხების შემდეგ *“თათართა განელეს ჯაეახეთი, და თრიალეთი, და რუსთავს მტკუარს გაიედეს, და მრავალგან მიეწიენეს თათარნი და სომხითარნი ლაშქარნი, რომელთა თვთოეულად არა არს ჟამი მოთხრობად, ყოველგან ალათემურ მძლე ექმნა. და განელეს კამბეჩიანი, კახეთი, პერეთი, ყოველგან ომითა, და წარვიდეს გზასა ბელაქნისასა.”*<sup>75</sup> თუმცაღა, განსაკუთრებით მძიმე და დამარბეველი გამოდგა 1265 წლის ბრძოლა, როდესაც ოქროს ურდოს ყაენი ბერქა 300 000-იანი ლაშქრით გამოემართა არანის ილხანთა ყაენის აბალას წინააღმდეგ. ამ ლაშქრობის დროს, ჟამთააღმწერლის სიტყვებით *“ბერქამან მოაოკრა ქუეყანა შირვანისა, პერეთი, კახეთი და ყოველი იორის პირი და მოვიდა ლაშქარი ტფილისამდე, და მრავალი სული ქრისტიანე მოსწყევდეს, ხოლო ბერქა ყაენი დადგა მთათა შინა გარეჯისათა”*<sup>76</sup> ამ ლაშქრობისას საბოლოოდ უნდა მოშლილიყო კახეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილი – მისი შედეგები კარგად ჩანს XIII საუკუნის 80-იან წლებში არღუნ ოირიდის მიერ ჩატარებული აღწერიდან, სადაც მითითებულია, რომ *“უმრავლესი მოოკრებულ იყო და უმეტეს პერეთი და კახეთი, რამეთუ კამბეჩიანის ვაკენი მოოკრებულ იყო გამოსლევას მას თათართასა”*<sup>77</sup> სწორედ იმხანად გაეკაცრიელებულა ეს რეგიონი, სახელდობრ იერისპირის საგარეჯო მამული და მისი შემოგარენი მრავალმთის კუთენილი სოფლებითურთ

<sup>73</sup> დ. მუსხელიშვილი, ქიზიყის ძველი ისტორია, გვ. 107-108.

<sup>74</sup> ჟამთააღმწერელი, გვ. 178.

<sup>75</sup> იქვე, გვ. 251-252.

<sup>76</sup> იქვე, გვ. 254.

<sup>77</sup> იქვე, გვ. 274.



– ადგილობრივ შემორჩენილმა მოსახლეობამ ჩრდილოეთით, მთიანი რეგიონისაკენ გადაინაცვლა. ფიზიკურად ამოწყდა ხორნაბუჯის ერისთავთა ერთ დროს ძლიერი და მეწინავე სახლი. მცირე ხნის შემდგომ მოხლოდა მიერ ქვეყნის აღსაწერად გარმოგზავნილ ნოინის სავალალო ვითარება დახვედრია აქ: *“ამათ უამთა კუალად მოვიდა იგივე არღუნ, რომელსა აღერიცხვნეს ყოველნი საბრძანებელნი ყოველთა ყაენთანი, რათა აღთუალოს ქუეყანა და ცნას ვითარძი ქუეყანა აღშენდა, გინა აოჭრდა. აღთუალა ახლად და ცნა, რამეთუ უმრავლესი მოოჭრებულ იყო, და უმეტეს ჰერეთი და კახეთი, რამეთუ კამბეჩანის ვაკენი მოოჭრებულ იყო გამოსლვასა მას თათართასა, ოდეს გამოვიდა ყაენი დიდი ბერქა.”*<sup>78</sup>

დამარბეველ ლაშქრობათა შედეგები თვით ვახუშტი ბაგრატიონის დროსაც კი საგრძნობი და კარგად ცნობილი ყოფილა. ბატონიშვილი ამასთან დაკავშირებით მიუთითებს, *“გარნა იყო ალაზნის შესართავადმდე და ვიდრე სამგორამდე შენობანი დიდ ფრიად, არამედ მოოჭრდა გამოსლვასა ბერქასსა და შემდგომად ლანგ თემურისაგან, რომელნი ჩანან დღესაც;”*<sup>79</sup> სხვაგან – საკუთრივ იერისპირა მიდამოებისათვის – *“გარნა ყოფილ არსცა ძუელად შენობა დაბნებთა, არამედ შემდგომად ბერქას გამოსლვისა ოკერ არს”*<sup>80</sup> იმჟამინდელი ნგრევა-აოხრების მასშტაბებზე ისიც მეტყველებს, რომ თვით რუსთავეც, რომელიც მონღოლთა ლაშქრობისას აოხრდა, შემდგომში აღარ განახლებულა.<sup>81</sup> მონღოლთა დამარბეველი თარეშის შედეგად გარეჯის ქვეყანა, ისევე როგორც კახეთ-ჰერეთის უმეტესი ნაწილი, მომთაბარეთა სამყოფელი ხდებდა; სწორედ აქეთ მოაშურეს ნომადმა მეჯოგებმა. ჟამთააღმწერლის ცნობით, *“ზამთრის დაიბანაკიან ბარდავს, მტკურისა პირსა, იორის პირთა და აღმოღმართ გაგამდე და მოტყუენვილიან, არბევიან ქართლს და სამცხეს და ჯავახეთს და აღმართ საბერძნეთამდე, კახეთს და ჰერეთს დარუბანდამდე.”*<sup>82</sup>

საგულისხმო სურათი იკვეთება ამ კუთხის მმართველ სახლთა თავგადასავალთან, ისევე როგორც სამეფო ხელისუფლებასთან მათი ურთიერთობის თვალსაზრისითაც. XII საუკუნისათვის ხორნაბუჯის საერისთავოს სათავეში მახატლისძეთა გვარი ედგა. მონაპირე ერისთავის ერთგულება გიორგი III-ისა და თამარის სამეფო კარისადმი კარგადაა ცნობილი და ყველაზე უკეთ ეს იური ანდრიას ძის ლაშქრობისას გამოჩნდა (ამის თაობაზე – ქვემოთ). XIII საუკუნისათვის, ქვეყნის დაპყრობის შემდეგ, მონღოლები ამ მხარეს ეგარსლან ბაკურციხელს ჩააბარებენ. ჟამთააღმწერლის ცნობით, *“განაინეს თათართა ბევრისა მთავარი, რომელსა დუმნის თავად უწოდეს, და გამოარჩივნეს მთავარნი, პირველად ეგარსლან ბაკურციხელი, კაცი ღრმად მოუბარი, ხოლო არა ნიჭთა მქონებელი საქმართა, და მას ჯელთ უდვეს სპა ჰერეთისა და კახეთისა და კამბეჩიანისა, ტფილისითგან და აღმართ ვითარ მთამდე შამახიისა.”*<sup>83</sup> კამბეჩიანის განმგებლის ურთიერთობა საქართველოს სამეფო კართან იოლად არ უნდა წარმართულიყო, რადგან იგი ისე

<sup>78</sup> ჟამთააღმწერელი, გვ. 274.

<sup>79</sup> ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 528.

<sup>80</sup> იქვე, გვ. 541.

<sup>81</sup> იქვე, გვ. 331, 528.

<sup>82</sup> ჟამთააღმწერელი, გვ. 191.

<sup>83</sup> იქვე, გვ. 207.

აღზევდა, რომ *“ენინლა-და სახელი მეფობისა ეპყრა”,* და *“ეთარცა მეფესა მორჩილებდეს ყოველნი წარჩინებულნი საქართველოსანი.”* წინააღმდეგობრივი ხასიათისა ჩანს დამოკიდებულება სხვა დიდებულებთანაც, რადგან მონღოლებს *“ვეულებოდა მთავარ ყოფა მათ ზედა ევარსლანი, არა მათგან უგუარინესისა კაცისა”.* ამ წინააღმდეგობის ერთ-ერთი გაცხადება იყო კონფლიქტი კახეთ-პერეთის განმგებელსა და ამირსპასალარ ავაგ მხარგრძელს შორის – დაპირისპირება იქამდე მივიდა, რომ ამირსპასალარმა *“თავსა მათრავითა უხეთქნა და უბრძანა მას ქუეშე დაწესებულთა, რათა ცხენისაგან უპატიოდ დაამჯუჟან ქუეყანად, და ყვესცა ეგრეთ, და პატივისგან უპატიო ყვეს, და განძარცველი განაძეს”.*<sup>84</sup>

სირთულეებით აღსავსე ჩანს კამბეჩოვანის შემდეგი ერისთავის, ბერი ხორნაბუჯელის ისტორიაც, რომელიც XIII საუკუნის შუახანებისათვის შუამავლობდა დავით ლაშას ძესა და თორღვა პანკელს შორის მომხდარი განხეთქილების დროს. თორღვას შემორიგებისათვის ალავერდის წმ. გიორგის ხატის წინაშე დადებული ფიცი დაირღვა, რის შემდეგაც ხორნაბუჯელი ერისთავის მთელი ოჯახი გადაეგო და მათი მამული უმემკვიდროდ დარჩა.<sup>85</sup> ამის შემდეგ ხორნაბუჯელთა სახელო ქვეყანა სამეფო კარის ხელში უნდა გადასულიყო, თუმცა გამუდმებული თარეშისა და რბევის გამო კუთხე საბოლოოდ დაემცრო, მეურნეობა განადგურდა, მისი ტერიტორიის ნაწილი კი საბოლოოდ გაუდაბურდა. აქედან მოკიდებული იურისპირეთის შემოგარენში მომთაბარე მესაქონლე ელები მკვიდრლებიან.

ქვეყნის ძნელბედობას სხვა მრავალი განსაცდელისთვისაც უნდა დაეღო სათავე. მათგან ერთ-ერთი XIII საუკუნის მეორე ნახევარში სამეფო ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის უაღრესად გამწვავებული ურთიერთობა იყო. ვითარებას ამ მხრივ ამძიმებდა ის გარემოება, რომ აოხრებას გადარჩენილი ეკლესია-მონასტრები მონღოლებმა გადასახადისაგან გაანთავისუფლეს (ყოველივე ეს კათოლიკოს-პატრიარქ ნიკოლოზის საგუთმპყრობელობისას, 1247/48-1282 წლებში მოხდა).<sup>86</sup> შესაბამისად, ქვეყნისათვის უაღრესად რთულ პერიოდში სასულიერო კერები შედარებით უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ (შდრ. ჟამთააღმწერელთან: *“ხოლო ხუცესთა და მონაზონთა და საეკლესიოთა განწესებათა არა შეაგდო საზღავი, არცა ყალანი, ეგრეთვე შიხთა და დაერეშთა, და ყოველისა სჯულისა კაცნი საღმრთოდ გაჩენილნი განათავისუფლნა”*<sup>87</sup>). საგულისხმოა, რომ გარეჯის მრავალმთა არ ჩანს განთავისუფლებულ მონასტერთა შორის – მან მალისა და ყალანის შეუვალობა მოგვიანებით მიიღო.<sup>88</sup> თუმცა კი საერო და სასულიერო ხელისუფალთა შორის დიდი უთანხმოების ძირითად მიზეზი გახდა საეკლესიოთა მიწათა გამოწირვის პროცესი, რასაც საქართველოს სამეფო

<sup>84</sup> ჟამთააღმწერელი, გვ. 217, 222, 225. შდრ.: ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია (წიგნი მესამე), შრომები, ტ. III, თბილისი, 1982, გვ. 46-47

<sup>85</sup> დ. მუსხელიშვილი, ქიზიყის ძეგლი ისტორია, გვ. 110-111.

<sup>86</sup> ჟამთააღმწერელი, გვ. 224.

<sup>87</sup> იქვე, გვ. 235.

<sup>88</sup> ბ. ლომინაძე, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან. სენიორიები, ნაწ. I, თბილისი, 1966, გვ. 127.

კარმა იმხანად მიმართა. თვით მემბტიანეც კი უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ დავით ლაშას ძე *“უამსა სიბერისა მისისასა არა მართლად ვიღოდა წინაშე ღმრთისა, და მძლავრებისაგან თათართასა უცალო ქმნილმან იწყო შლად საყდართა საეპისკოპოსოთა, რომელი სანატრელთა მეფეთა შესავალნი სოფელნი მიენიჭნეს, განსკემბა, ვგრეთვე მონასტერთა”*<sup>89</sup> აღნიშნულ პროცესს კარგად გაედევნება თვალი XIII საუკუნის მესამე მეოთხედის წყაროებში.<sup>90</sup> ნიშნეულია, რომ სამეფო კარის განგებას ბასილი ჭყონდიდელ-უჯარმელი, მწიგნობართუხუცესი ახორციელებდა. ეს გარემოება კი იმაზე მეტყველებს, რომ სამეფო კარსა და ეკლესიას შორის დაპირისპირებისას სასულიერო და საერო ხელისუფლების გამაერთიანებელი ვაზირი საერო დასის მხარეზე აღმოჩნდა, რაც, ცხადია, კიდევ უფრო გაამწვავებდა ისედაც რთულ ვითარებას. ეკლესიის მოთხოვნა – დაებრუნებინათ მისთვის კუთვნილი ქონება, ახალ მფლობელებს არ შეუსრულებიათ; მეფისაგან ბოძებული სიგელი მათთვის ღვთის მოშიშებაზე უფრო მტკიცე აღმოჩნდა. ყოველივე ამის შედეგი იყო 1263 წლის საეკლესიო კრება, რომლის ძეგლისწერა საქართველოს ეკლესიის იერარქთ დავით ულუსათვის წარუდგენიათ.<sup>91</sup> ნიშნეულია, რომ ამ წინააღმდეგობის ძირითადი ორგანიზატორი სამეფო კარის მხრიდან მწიგნობართუხუცესი ბასილი ჭყონდიდელ-უჯარმელი ყოფილა. მიუხედავად ამისა, შემდგომში, სახელდობრ დემეტრე II-ის ზეობაში, პროცესი ეკლესიისათვის შეწირული მამულების უკუგამოწირვისა კიდევ უფრო გაძლიერდა; შესაბამისად ურთიერთობა ეკლესიასა და სამეფო ხელისუფლებას შორის კვლავინდებურად გამწვავებული რჩებოდა. უამთააღმწერელი ამის თაობაზე პირდაპირ მიუთითებს კიდევ – *“მთავართა იწყეს ჭელის შეხებად საყდართა და მონასტერთა, და იწყეს მიტაცებად სოფელთა და აგარაკთა ... დაღათუ ამათ უწესობათა ღიდად ამხილებდა ნიკოლოზ კათალიკოსი და ნიკოლოზ მაწყევრელი ჯუანშერის-ძე, გარნა არაინ ყურად იღებდა სიტყუასა მათსა.”*<sup>92</sup> ბრძოლა ეკლესიის მარცხით დამთავრდა. 1282 წლის ახლო ხანებში სამწყემსთაერო საყდრიდან გადადგა კათოლიკოს-პატრიარქი ნიკოლოზი. თუმცაღა, როგორც ჩანს, ამ დაპირისპირებას შეეწირა ბასილი მწიგნობართუხუცესიც, რომელიც თავად მეფის მიერ იქნა სიკვდილით დასჯილი.<sup>93</sup>

XIII საუკუნის მეორე ნახევრისათვის მრავალმთის უდაბნოებში სამონასტრო ცხოვრების მასშტაბებთან დაკავშირებულ გარკვეულ მოწმობას წარმოადგენს ორი საბუთი: დაწერილი გრიგოლ სურამელისა შიო-

<sup>89</sup> უამთააღმწერელი, გვ. 256.

<sup>90</sup> იხ.: ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. III, თბილისი, 1966, დამატება II, გვ. 481-500.

<sup>91</sup> გ. გოზალიშვილი, ულუ დავითის დროინდელი საეკლესიო კრების დადგენილება, *საისტორიო მოამბე*, წ. I, 1925, გვ. 219-224 (საეკლესიო კრების თარიღად მიჩნეულია 1266-1268 წწ.); ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, საეკლესიო საქანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბილისი, 1970, გვ. 161-164.

<sup>92</sup> უამთააღმწერელი, გვ. 276-277.

<sup>93</sup> იქვე, გვ. 253, 268.

მღვიმის მონასტრისადმი (1240-იანი წლების მეორე ნახევარი)<sup>54</sup> და დაწერილი კახა თორელისა რკონის მონასტრისადმი (1259/1260 წწ.)<sup>55</sup> მათგან პირველს, სხვათა გვერდით, ამტკიცებენ “სამნივე უდაბნონი გარესჯისანი”, მეორეს კი გარეჯის სამი მონასტრის მოწესეთა სახელთ მრავალმთის უდაბნოთა წინამძღვარი (არქიმანდრიტი) ურთავს ხელს. ამ სამ მონასტერს შორის, ბუნებრივია, პირველ ყოვლისა, მრავალმთის სამი უმნიშვნელოვანესი კერა – წმ. დავითის ღაერა (უდაბნოს მონასტრითურთ), წმ. დოდოს და წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტრებია საგულეგებელი. ეს გარემოება, როგორც გ. ჩუბინაშვილი ვარაუდობდა, იმაზე უნდა მიანიშნებდეს, რომ გარეჯის სხვა უდაბნოები იმხანად გაუქმებული უნდა ყოფილიყო. რასაკვირველია, არ გამოირიცხება დასახელებულთა გვერდით მოწესეთა ძმობის არსებობა რამდენიმე სხვა მონასტერშიც, მაგრამ როგორც ჩანს, ცხოვრება იქ უწინდელზე ბევრად უფრო მინაველებული უნდა ყოფილიყო. ქოლგაგირთან მიმართებით ეს გარემოება უთუოდ ნიშნეული ჩანს, რადგან ეკლესიის მოხატულობაში ჩართული, საეკლესიო იერარქთა და წარჩინებულთა დასით შედგენილი, ერცელი საკტიტორო რიგი, რომელსაც თავში სამეფო კარის უპირეულები ვაზირი უდგას, სამონასტრო აღმშენებლობის სრულიად სხვაგვარ პირობებსა და მასშტაბებს გულისხმობს.

იმ ეპოქისათვის, სახელდობრ კი დემეტრე II-ისა და მის მემკვიდრეთა ზეობის პერიოდისათვის, მრავალმთის მონასტერთა მდგომარეობაზე მსჯელობისას ტრადიციულად მიმართავენ ჟამთააღმწერლის ცნობას, რომლის თანახმადაც დემეტრე II-ის მეფობის წლებში სადუნ მანკაბერდელმა, როგორც ათაბაგ-ამირსპასალარმა “*მისცა ყალანი და მალი ათორმეტთა უდაბნოთა გარესჯისათა, და განათავისუფლა ქვეყანა გარესჯისა...*”<sup>56</sup> XIV საუკუნის ისტორიკოსთან მოტანილი ეს სურათი რომ ერთმნიშვნელოვანი ვერ იქნება და იმჟამინდელ ვითარებას მხოლოდ გარკვეულწილად უნდა ასახავდეს, ეს სავსებით ნათელია. ყალანისა და მალის მიცემა გარეჯისათვის, ბუნებრივია, ვერ იქნებოდა გარეჯის მთელი “ქვეყნის” კეთილდღეობის საწინდარი, მით უფრო რომ იმ დროისათვის მრავალმთის უდაბნოს საგრძნობი ნაწილი, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთი მხარე, როგორც აღინიშნა, მონღოლთა მიერ დაპყრობილ-აოხრებული იყო. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მონღოლთა მიერ ყოველმხრივ აღზევებული სადუნ შერბაროქის ქე,<sup>57</sup> ხოლო მის შემდგომ მისი

<sup>54</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, თბილისი, 1984, გვ. 127: “ქ. ესე, ვითა ერისთავთ-ერისთავსა, ქართლის ერისთავსა გრიგოლსა და ძმასა მისას თაჟისა ჯღოთა დაუწერია და წაღოსა შიოსდა ნაცჳთი უდაბნოსა მისისაგან რუელსავე წესსა ზედა გაუთავისუფლებია სოფელი გაჯაყელთათ, კოტმნითურთ, მოწამენი ვართ ჩუენ, სამნივე მონასტერნი გარესჯისანი და დაეაბტკიცებთ თუისის კელითა”. საბუთის თარიღისათვის იხ.: ნ. შოშიაშვილი, XIII საუკუნის საქართველოს ისტორიული ქრონოლოგიის საკითხისათვის, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XVIII-B, 1954, გვ. 120-123.

<sup>55</sup> იქვე, გვ. 154: “ამის მეჭურჭლეთ-უხუცესის კახასაგან დაწერილსა მისის ნასყიდის სოფლისათვის, რომელი შეუწირავს მისის მონასტრისადა, ჩუენ ს ა მ ი ს ა ვ ე უდაბნოსა გარესჯისა მ: წ: (მოწესენი/მწირნი?) და ყოველნივე ერთსულობით დაუმტკიცებთ.” ანტონი, რომელიც ამის შემდგომ იხსენიება დამტკიცებაში, გარეჯის მონასტრის ერთ-ერთი წინამძღვარი უნდა იყოს.

<sup>56</sup> ჟამთააღმწერელი, გვ. 272.

ვაჟი – ხუტლუბუღა თანამედროვეთა შორის არანაირად არ გამოირჩეოდნენ თავისი საკტიტორო მოღვაწეობით. ნიშნეულია, რომ მათი სახელები ხშირად დასტურდება საქართველოს სამეფოს სამხრეთი პროვინციებში, მათ შორის შედარებით მრავლად – სამხრეთ-აღმოსავლეთ მონაპირე კუთხეების – გაგისა და ლორეს როგორც ქალკედონიტურ ისე მონოფიზიტურ ეკლესია-მონასტერთა ეპიგრაფიკაში;<sup>97</sup> მაგრამ ყველა შემთხვევაში ისინი იხსენიებიან, როგორც ამ მხარეთა განმგებლები და არა მაშენებლები. ამგვარ პირობებში სავსებით ბუნებრივად უნდა ჩანდეს ის გარემოებაც, რომ ფაქტობრივად არაფერია ცნობილი სადუნის საკტიტორო ღვაწლზე კახეთ-ჰერეთში, კერძოდ კი გარეჯში. ყოველივე ეს იმიტომაც არის დამაფიქრებელი, რომ აღსულებულმა დიდგვაროვანმა ჯერ კიდევ ადრე “იურვა მეფის დიმიტრისაგან თელაეი და ბელაქანი, და მრავალნი ქუეყანანი”.<sup>98</sup>

ლა მაინც, ყოველივე ამის მიუხედავად, რომც დაგვეშვა ქოლაგირის ეკლესიის პორტრეტების შესრულება XIII საუკუნის გასულს ან XIV საუკუნის დასაწყისისათვის, ვაზირთა შორის უპირველესის სახელოს ფლოზა მწიგნობართუხუცესის მიერ, მეტიც – მისი მეთაურობა სადუნ მანკაბერდელისა და ხუტლუბუღას სახელო მხარეში ძნელად წარმოსადგენი იქნებოდა. მით უფრო უჩვეულოდ წარმონდებოდა სადუნისა და მისი ძის ძლიერების დროს მწიგნობართუხუცესის, როგორც ვაზირთუხუცესის გამოსახვა სამეფოს უმაღლეს მოხელეთა რიგის თავში, მეფის გაზრდილი დიდებულის შემდეგ, რაც მთავარია, თვით სადუნის წინ.

ზემოაღნიშნული ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს XIII საუკუნის

<sup>97</sup> ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თხზულებანი, ტ. III, გვ. 97-103; შდრ.: ნ. ბერძენიშვილი, ეპიზოდი ფეოდალურ საგვარეულოთა ბრძოლის ისტორიიდან XIII საუკუნის საქართველოში, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. III, გვ. 106-112; გრიგოლ აკანელი, მოისართა ტომის ისტორია, გვ. 46-48, 140-141.

<sup>98</sup> ასეთია, მაგალითად, დელპუტ ვანქის მთავარი ეკლესიის გვერდით მდებარე ხაჩკარის წარწერა, დათარიღებული 1274 წლით, მაკარავანქის დასავლეთ კედელზე (1274 წლის შემდგომ), ექვსი წარწერა არაქელოც ვანქის შემოგარენში (შესრულებულნი 1251, 1267, 1273, 1274 და 1276 წ.წ.), *ჩიქანს ლაქაქიანაჲსკანს, ყრასკ VI, ჩხიქანსი ერქანს, კაღაშაქსი S. სქაყკანს, ლ. ლანაქილანს, სრხქანს*, 1977, ლ. 112, 165-166, 209-213, 218, 220-221, სკ. 104, 135, 137, 139, 140 (საგულისხმოა, რომ მათგან უადრესში იხსენიება სადუნის კიდევ ერთი ვაჟი – პაპაცი (*შაყაყ*), რომელიც სხვა წყაროებში არ გვხვდება). როგორც ჩანს, გარკვეულ შეწვენაზე საუბარი შესაძლებელია მხოლოდ პ ა ლ ბ ა ტ თ ა ნ დაკავშირებით, სადაც წმ. ჯერის ეკლესიის მოხატულობაში ხუტლუბუღასა და, შესაძლოა, სადუნის პორტრეტები იქნა ჩართული (იხ.: Н. Я. Марр, Фресковое изображение парона Хутлу Буги в Ахпате, Христианский Восток, т. I. вып. 3, 1912, таб. XXI; 4. *ღაჭარაქკანს, ლაოქაოთ, სრხქანს*, 1962, ლ. 152, სკ. 41; А. А. Дурново, Очерки изобразительного искусства средневековой Армении, Москва, 1979, с. 152. აშკარად გაუგებრობასთან არის დაკავშირებული აეტორის მითითება იმის თაობაზე, რომ ქალბატის მოხატულობა სადუნის განგებით შეიქმნა 1313 წელს (იქვე). ცნობილია, რომ სადუნის 1282 წელს გარდაცვალება (უამთააღმწერელი, გვ. 281, 284).

<sup>99</sup> უამთააღმწერელი, გვ. 272.

მიწურულისა და XIV საუკუნის დასაწყისისათვის მრავალმთის სამონასტრო ცხოვრება მთლიანად მიხვედრული უნდა ყოფილიყო, ანდა მხატვრული შემოქმედება – ერთიანად დაშრეტილი. ისევე როგორც სამეფოს ცალკეულ კუთხეებში, მეტადრე ძველ სასულიერო კერებში, მრავალმთის ცენტრალური ნაწილის მონასტრებში კვლავ მაკედრობენ მოწესეები, იკვეთება და იხატება ქვაბ-სამლოცველოები. *“მოუწოდა მეფემან კათალიკოსსა აბრაჰამს და ეპისკოპოსთა, მონასტერთა და უდაბნოთა გარეგნისა მღუდელ-მონაზონთა და ყოველთა მთავართა სამეფოსა მისისათა”*<sup>100</sup> – მოგვითხრობს ჟამთააღმწერელი იმ დრამატულ პერიოდზე, როდესაც მეფე დემეტრე II-ს თავისთან უხმო მონღოლთა ყაენმა. მემკვიდრისეული მითითება გარეჯის მონასტერთა და უდაბნოთა შესახებ მრავლისმეტყველია. მნიშვნელოვანი ჩანს ის ფაქტიც, რომ ქვეყნისათვის ამ უაღრესად კრიტიკულ მომენტში მეფეს უმადლეს სასულიერო და საერო ხელისუფელთა გვერდით გარეჯელი მოწესეებისათვისაც მიუძღვრებოდა. რა მაინც, ყოველივე ამის მიუხედავად, დღეისათვის სადავო აღარ არის, რომ სამონასტრო ცხოვრება მრავალმთის იმხანად მოქმედ მონასტრებში ადრეულთან შედარებით საგრძნობლად უნდა დამცრობილიყო. ეს მით უფრო ითქმის შემოქმედებითი მოღვაწეობის შესაძლებლობებზე – უწინდებურის თანაგვარი მასშტაბებისა და მხატვრული დონის ქმნილებებზე ფიქრი, მათი განხორციელება იმხანად უკვე შეუძლებელი გამხდარიყო. თუკი ქვეყნის შედარებითი სიმშვიდითა და გარკვეული კეთილდღეობით გამორჩეულ კუთხეებში (მაგალითად, სამცხეში, ქართლში, არგვეთში) იმხანად და უფრო მოგვიანოდაც იქმნება მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ფერწერული ანსამბლები (რუისპირის წმ. შიოს ეკლესია, ქობაირის მონასტრის მთავარი ტაძარი და ჩრდილოეთი ეკვდერი ყინცვისის მცირე ეკლესია, კისორეთი, დავით ნარინის ეკვდერი, გელათში, ხობის ტაძრის სამხრეთ-დასავლეთი ეკვდერი, აჭი, საფარის მონასტრის წმ. საბას ტაძარი და ა.შ.). მრავალმთის მონასტრები საბოლოოდ თუ არა, დიდი ხნით მაინც უნდა გაეტეხა გამუდმებულ დარბევა-გაპარტახებას. შესაბამისად, ის რაც იმხანად იქმნება გარეჯში, წინა ათწლეულებთან შედარებით ბევრად უფრო მოკრძალებულად გამოიყურება. ეს თანაბრად ეხება როგორც ადგილობრივ ქვეთხურთა და ფერმწერთა ნამუშავეებს, ისე სამეფო კარის ან უმადლეს სასულიერო იერარქთა ღვაწლითა და განგებით შექმნილ ძეგლებს. აღნიშნულის მაგალითად უდაბნოს მონასტრის ხარებისად სახელდებული ეკლესიის მაგალითიც იკმარებდა – მისი მოხატულობა წმინდა მეფე დემეტრე II-ისა და მთავარეპისკოპოს იოანეს პორტრეტებით მეფის მოწამებრივად აღსრულების შემდგომ (ჩანს, XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზე) შესრულდა,<sup>101</sup> ამასთან, როგორც დაკვირვებამ ცხადყო, ფრესკები ბოლომდე დასრულებული არც კი ყოფილა.<sup>102</sup> მრავალმთის იმჟამინდელი პირობებისათვის მით უფრო სათუო ჩანს შემოქმედებითი მოღვაწეობის ისეთი დიდი მასშტაბები, როგორსაც ქოლაგირის მხატვრობა გულანსხმოზს – თენდ ის მცირე ფრაგმენტები, ეკლესიისა და მისი მოხატულობისაგან დღეისათვის რომ შემორჩა, ნათლად მეტყველებს ფერწერული ანსამბლის

<sup>100</sup> ჟამთააღმწერელი, გვ. 287.

<sup>101</sup> შ. ბუღია, დავით გარეჯის უდაბნოს მონასტრის “ხარების” ეკლესიის მოხატულობა, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 1992, გვ. 26-27.

<sup>102</sup> იქვე, გვ. 27.

მასშტაბურობაზე; სამეფო კარის წარმომადგენელთა პორტრეტების გვერდით წარინებულთა – როგორც სასულიერო იერარქთა, ისე დიდებულთა – სახეების ასეთი სიმრავლე (მათი ვრცელი დასის არსებობა) კი ქვეყანაში ისეთი შიდაპოლიტიკური ვითარების მანქვენებელი უნდა იყოს, რომელიც ერთიანი სამეფოს პირობებში უმადლეს ხელისუფალთა და მათ უშუალო ქვეშევრდომთა სრული თანადგომითა და თანხმობით იყო ნიშნადებული. ორმეფობით დაძაბუნებული, დამპყრობთაგან დუმნებად დაყოფილი და თავისთავად დაშლილობის გზაზე მდგომი ქვეყნის პირობებში ყოველივე ეს ძნელად წარმოსადგენი იქნებოდა.

პორტრეტების შესრულების სავარაუდო პერიოდის განსაზღვრისას, ბუნებრივია, გვერდს ვერ აუუვლით განმარტებითი წარწერების პალეოგრაფიულ მონაცემებსაც, მით უფრო რომ დაზიანების მიუხედავად ვრცელი საკტიტორო წარწერები ამ მხრივ საგულისხმო მასალას იძლევა. ნათელი უნდა იყოს, რომ პალეოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით შედარებით ვიწრო ქრონოლოგიურ საზღვრებზე საუბარი უმეტესწილად პირობით ხასიათს ატარებს. მიუხედავად ამისა, ქოლაგირის საკტიტორო წარწერების ფრაგმენტებზე ამ თვალსაზრისით დაკვირვება საგულისხმო ჩანს, რადგან ცხადი ხდება, რომ თავისი ზომიერი პროპორციებით, დამახასიათებელი მოხაზულობითა და რაც მთავარია, სისადავით ისინი გარკვეულად განსხვავდება XIII საუკუნის მიწურულის, მით უფრო კი XIV საუკუნის დასაწყისის ფრესკული წარწერებისაგან. ქოლაგირის წარწერებში ვერ შეეხედებით იმ დამატებით დეკორაციულ სამკაულს, რომელიც თანდათანობით იკიდებს ფეხს XIII საუკუნის ფრესკულ ეპიგრაფიკაში<sup>101</sup> და ფართოდ ვრცელდება XIII-XIV საუკუნეების მიჯნიდან მოკიდებული<sup>102</sup> (ეს ტენდენცია ხელნაწერი წიგნის შემკულობასა და ოქრომქანდაკებლობაში ბევრად უფრო ადრე იჩენს თავს<sup>103</sup>). როგორც ცალკეული გრაფემები, ისე მთლიანად მრავალსტრიქონიანი წარწერები თითქმის მთლიანად მოკლებულია ორნამენტულ ხასიათს (თუ არ ჩავთვლით შეწიალებას და კავშირის წერისას, აგრეთვე გრაფემათა ზომების მონაცვლეობას). თავისი ზომიერი პროპორციებითა და სისადავით უფრო ახლო XII საუკუნის ფრესკული ეპიგრაფიკის ნიმუშებთან დგას. ამ მხრივ ისიცაა საგულისხმო, რომ თანაგვარ მაგალითთა შორის ქოლაგირის წარწერებთან შედარებით

<sup>101</sup> იხ. მაგალითად, თამარის საკტიტორო პორტრეტები ბეთანიასა და ბერთუბანში.

<sup>102</sup> საგულისხმო მაგალითებად გამოდგებოდა გელათის დავით ნარინისეული ეკედერის (XIII ს. მესამე მეთხედი), უდაბნოს მონასტრის ხარების ეკლესიის (1290-იანი წლები), საფარის მონასტრის წმ. საბას ტაძრის სარკის II-ის დროინდელი ფენის (XIV საუკუნის დასაწყისი) წარწერები (შდრ.: რ. მეფისაშვილი, თ. ვირსალაძე გელათი. არქიტექტურა, მოზაიკა, ფრესკები, თბილისი, 1982, ტაბ. 62-64; გ. ხუციშვილი, საფარის კედლის მოხატულობა, თბილისი, 1988 (ტაბულები ნუმერაციის გარეშეა).

<sup>103</sup> P. O. Шмерлинг, *Художественное оформление грузинской рукописной книги IX-XI столетий*, т. I, Тбилиси, 1967, с. 74-77; т. II, Тбилиси, 1979, таб. 9-10; ე. მაჭავარიანი, ასომთავრული დამწერლობის მხატვრული თავისებურებანი ქართული ხელნაწერების მიხედვით (V-XIII სს.), *მრავალთავი, მრავალთავი*, II, 1973, გვ. 236-240; მისივე, ქართული ხელნაწერი წიგნის დეკორაციული სისტემის განვითარება, *მრავალთავი*, VIII, 1980, გვ. 57-61; ც. გაბაშვილი, ზედა ვარძია, თბილისი, 1985, გვ. 23 და შემდ.

ახლო დგას გელათის დასაუღლები ნაროქისის,<sup>106</sup> ფაენისის,<sup>107</sup> კალოუბანის<sup>108</sup> ფრესკული ეპიგრაფიკა, აგრეთვე საკტიტორო გამოსახულებების თანმხლები განმარტებითი ტექსტები ბეთანიის სამხრეთი კედლის მოხატულობაში.<sup>109</sup>

ამრიგად, ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შემდგომ ნათელი უნდა იყოს, რომ ქოლაგირის ეკლესიის მოხატულობაში ჩართულ პორტრეტებში აღბეჭდილი რეალიები მრავალმხრივ ეხმიანება XII საუკუნის მიწურულისა და XIII საუკუნის დასაწყისის როგორც შიდაპოლიტიკური ვითარების. ისე სამოხელეო წყობის უმნიშვნელოვანეს ასპექტებს. ყოველივე ამას ემყარება ვარაუდიც, რომლის მიხედვითაც ქოლაგირის ეკლესიის საკტიტორო რიგი XII საუკუნის მიწურულის საქართველოს სამეფო კარზე არსებული ვითარების ამსახველი ჩანს და აქედან გამომდინარე, მისი შესრულების პერიოდიც შესაძლებელია ამ დროით განისაზღვროს.

პორტრეტების შექმნის საგარაუდო პერიოდის განსაზღვრის კვალად, აქ წარმოდგენილ პირთა შესაძლო წრე საგრძნობლად უფრო ვიწრო ხდება. იმ გამოსახულებების რიცხვი, რომელთა შესახებაც დარწმუნებითაც შეიძლება მსჯელობა, დღეისათვის საკმაოდ მცირეა. მათ შორის, პირველყოვლისა, ვახირთა შორის უპირველესის, მწიგნობართუხუცესის პორტრეტი უნდა გამოიყოს.

შედარებით ხანმოკლე მონაკვეთს XII საუკუნის მეორე ნახევრიდან მოკიდებული ვიდრე XIII საუკუნის ოციან წლებამდე, ქართულ საისტორიო ტრადიციაში ქვეყნის სწორუპოვარი ძლევამოსილების, პოლიტიკური და კულტურული აღმავლობის ეტაპის, "ოქროს ხანის" სახელი დაუმკვიდრდა. ამავ დროს, ისიც კარგადაა ცნობილი, რომ სწორედ დასახელებული პერიოდი აღმოჩნდა არაჩვეულებრივად დატვირთული შიდაპოლიტიკური პერიპეტების თვალსაზრისით. მართლაც, იმხანად ურთიერთს ენაცვლებოდა დემნა ბატონიშვილის აჯანყება, თამარის ხელმეორედ კურთხევა, ყუთლუ არსლანის დასის გამოსვლა, ძირძველ დიდგვაროვანთა მოთხოვნები ამირსპასალარ ყუბასარისა და მსახურთუხუცეს აფრიდონის წინააღმდეგ, მათი ერთი ნაწილის თანადგომით იური ანდრიას ძის აჯანყება და მისი ხელმეორედ გამოლაშქრება საქართველოზე. ამ მოვლენათაგან ფაქტიურად არც ერთს არ ჩაუვლია მწიგნობართუხუცესის აქტიური მონაწილეობის გარეშე, სოგიერთი კი, როგორც ივარაუდება, მათი უშუალო მეთაურობით უნდა წარმართულიყო. კარგადაა ცნობილი მათი სახელები, ვინც ქვეყნის უპირველესი ვახირის სახელოს იმხანად მონაცვლეობით ფლობდა – ანტონ გლონისთავისძე და მიქაელ მირიანისძე გიორგი III-ისა და თამარის ზეობის ეპიმნდელ ძლიერ, თუმცა კი თავისი მოღვაწეობის ხასიათით ურთიერთისაგან რადიკალურად განსხვავებულ, ერთმანეთთან დაპირისპირებულ

<sup>106</sup> Т. Б. Вирсаладзе, Фрагменты древней фресковой росписи главного Гелатского храма, *Ars Georgica*, 5, 1963, таб. 102, 103, 106.

<sup>107</sup> Е. А. Привалова, Павниси, Тбилиси, 1976, таб. III,.

<sup>108</sup> Е. А. Привалова, Роспись церкви Георгия Калаубанского близ Мцхета, *Ars Georgica*, 8, 1979, с. 137-157, таб. 66.

<sup>109</sup> საკტიტორო პორტრეტის თანმხლები ერთ-ერთი წარწერის გრაფიკული მონახაზი გამოქვეყნებულია: ვ. სილოგაია, ბეთანიის წარწერები, თბილისი, 1994, სურ. 3.



იმ პიროვნებებზედ წარმონდებიან, რომელთა აქტიური მოქმედება საგრძნობ გაელენას ახდენდა სამეფოში იმხანად მიმდინარე უმნიშვნელოვანეს მოვლენებზე. მრავალთა შორის ასეთი იყო თამარის პირველი ქმრის, იური ანდრიას ძის საქართველოში გამოლაშქრება და ის საფრთხე, რომლის წინაშეც XII საუკუნის 90-იანი წლების დამდეგისათვის აღმოჩნდა საქართველოს სამეფო კარი. მაშინ, ბასილი ეზოსმოძღვრის სიტყვებით: *“თამარ ევედრებოდა ღმერთსა და იგონებდა, თუ ვის მიანდოს დაეით, და საბოლოო, და განსაგებელი სახლისა თვისისა, რომლისათვისცა არა არცხუნა ღმერთმან, არამედ აღაქსო სიბრძნითა და მეცნიერებითა. და მიმოიხილა ყოველთა ზედა სამეფოსა თვისისა მთავართა, და განიცადა თუალითა გონებისათა, მიანდო საქმე ღმერთსა, მოიყვანა ანტონი გლონისთავის-ძე ბ ა რ . ე ჯ ი თ, რომელი პირველ ჭყონდიდელ იყო და მიქაელ კათალიკოსმან მას მისტაცა, მოძმაცუთა ვიეთმე მეფისა განმზრახათა; ესე მოიყვანეს, ნამდულეუ კაცი ღირსი ქებისა, ჭეშმარიტი ქრისტიანე, მართალი, წრფელი, უბანკო, სახიერი, მოწყალე ყოველთა, ტკბილი, მდაბალი, პატრონისა ერთგული უზომოდ, კელესიათა და მონასტერთათვის რადლა საჭმარ არს თქემად: თუთ წამებენ ქმნილნი მისნი ყოველთაგან, ვითარცა მღვმესა და კლარჯეთს თუთ მის მიერ ქმნილსა მონასტერსა და ყოველთა ადგილთა. ესე დასუეს ვაზირად, მისცეს ჭყონდიდი, სამთავისი, კისის-კვეი და მწიგნობართ-უხუცესობა, რამეთუ მართალსა უკეთუ უბრკუმეს, არავე დაეცეს”*<sup>110</sup>

მემატინისეულ თხრობას პირვანდელი სიცხოველით შემოუნახავს XII საუკუნის მიწურულის საქართველოს შიდაპოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთი დრამატული ეპიზოდი და მასთან დაკავშირებული საგულისხმო დეტალები. ერთ-ერთი ყველაზე უფრო არსებითი ამ შემთხვევაში ის ცნობაა, რომლის თანახმადაც მწიგნობართ-უხუცესყოფილი ვაზირი გარეჯით იქნა მოყვანილი. ეს, თავის მხრივ, იმას მოწმობს, რომ კათალიკოს მიქაელ მირიანისძის მიერ სახელმოიტაცებული ანტონ გლონისთავისძე საქართველოს სამეფო კარის მორიგი განსაცდელისას სწორედ გარეჯში (resp. მრავალმთის ერთ-ერთ მონასტერში) იმყოფებოდა. სახელმწიფო საქმეთაგან ნებითა თუ ძალდატანებით, დროებით ან ხანგრძლივად (შესაძლოა სამუდამოდაც კი) განტეივებულ ხელისუფალთა სწორედ გარეჯის მრავალმთის რომელსამე მონასტერში დამკვიდრების პრაქტიკა კი კარგად იყო ცნობილი იმეამინდელი საქართველოს სინამდვილეში – უფროსი შვილის მიერ ტახტწართმეული მეფე დემეტრე I ხომ ბერად აღკვეციასას სწორედ გარეჯში იმყოფებოდა<sup>111</sup> დანიელის<sup>112</sup> ან დამიანეს<sup>113</sup> სახელით.

<sup>110</sup> ბასილი ეზოსმოძღვარი, გვ. 122-123.

<sup>111</sup> ლაშა გიორგის დროინდელი მემატინე, ქართლის ცხოვრება, I, თბილისი, 1955, გვ. 366.

<sup>112</sup> იხ. A-186 ხელნაწერის (XVII-XVIII სს.) მოსახსენებელი (ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, A კოლექცია, ტ. I., თბილისი, 1976, გვ. 311; შდრ. ზ. სხირტლაძე, სამეფო კტიტორული პორტრეტი, გვ. 109).

<sup>113</sup> შდრ. პლ. იოსელიანის ცნობა (წყობილ სიტყუაობა, ქმნილი ანტონისაგან პირუშლისა კათოლიკოს-პატრიარხისა ყოელისა საქართველოისა, ქ. თფილისს, 1853, გვ. 271).

ანტონ გლონისთავისძის, როგორც თავისი ეპოქის ერთ-ერთი თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწის შესახებ საისტორიო წყაროებში არაერთი საგულისხმო მოწმობა მოიპოვება. ეპოქის შესაბამისად, მისი მოღვაწეობა არ ყოფილა მშვიდი და იოლი – მისი დაწინაურება მეფე გიორგი III-ის ზეობის ხანას უკავშირდება. სწორედ იმხანად ებოძა მას მწიგნობართუხუცესის სახელი, რომელსაც 1184 წლამდე ფლობდა.<sup>114</sup> გიორგი III-ის გარდაცვალების შემდეგ (როგორც ირკვევა, ჯერ კიდევ თამარის მეორედ კურთხევამდე<sup>115</sup>) ეს სახელი ორბელთა ამბოხების დამარცხების შემდეგ დაწინაურებულ მიქაელ მირიანის ძეს მიუტაცებია. თუმცაღა, ანტონ გლონისთავისძეს მხოლოდ კათოლიკოსი როდი უპირისპირდებოდა: ბასილი ეზოსმოდვარის მიხედვით, *“ლიპარიტეთის დრკუ ძირისა ნაყოფნი”* კახაბერის შვილებიც მტრობდნენ მას და *“ორნი ძმანი ანტონ ჭყონდიდელისანი დაკოცნეს”*.<sup>116</sup> მწიგნობართუხუცესის გადადგომის ერთ-ერთი მიზეზი, როგორც ვარაუდობენ, ესეც უნდა ყოფილიყო.<sup>117</sup> სამეფო კართან დაპირისპირებული მღვდელთმთავრის მმართველობის ხანა დიდხანს არ გაგრძელებულა: მცირე ხნის შემდგომ, ხელმეორედ კურთხევის პირველ წელსვე,<sup>118</sup> თამარმა *“თანადგომითა და ერთნებობითა შუდთავე სამეფოთა დიდებულთათა ბრძანა დამტკიცებად ჭყონდიდლად და მწიგნობართუხუცესად და ვაზირად ანტონი, გაზრდილივე მამისა მათისა, ბრძენი და გონიერი, პატრონთათეს სუანი და ერთგული და შემეცნებელი საურავისა”*.<sup>119</sup>

ნათელია, რომ ანტონ გლონისთავისძე ქვეყნის ერთ-ერთი წარჩინებული სახლის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო – მართლაც, შემოხვევითი ვერ იქნება, რომ წყაროებში იგი მეფის მიერ გაზრდილად,<sup>120</sup> “გუარტომად ჭაბუკად”<sup>121</sup> (ე.ი. რაინდად, მაღალი წრის წარმომადგენლად) იწოდება. ამასთან ერთად, იგი, მიქაელ მირიანისძისაგან განსხვავებით,

ისტორიანი და აზმანი შარავენდუდთანი, გვ. 25; 6. ბერძენიშვილი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში, გვ. 12.

<sup>115</sup> შ. მესხია, თამარის პირველი ისტორიკოსის ერთი ცნობის გაგებისათვის, ქართული წყაროთმცოდნეობა, III, 1971, გვ. 132.

<sup>116</sup> ბასილი ეზოსმოდვარი, გვ. 131.

<sup>117</sup> შ. მესხია, საშინაო პოლიტიკური ვითარება, გვ. 85.

<sup>118</sup> იქვე, გვ. 144-145; ანალოგიური მოსაზრება ადრე გამოთქმული ჰქონია ნ. ბერძენიშვილსაც, იხ. მისი – საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, თბილისი, 1974, გვ. 154; შდრ.: ი. ანთელავა, XI-XIV სს. ქართული საისტორიო წყაროები, თბილისი, 1988, გვ. 48.

ამ პერიოდის მოელენათა ქრონოლოგია რამდენადმე განსხვავებული სახით მოცემული აქვს ი. ანთელავას. გელათის მონასტრისადმი თამარის მიერ ბოძებული სიგელის საფუძველზე იგი მიუთითებს, რომ თამარის მეორე ქორწინება უნდა შემდგარიყო 1188 წელს; შესაბამისად, იური ანდრიას ძის ტახტზე ასაყვანად მოწოდებლი აჯანყების თარიღად ნარკვევში დასახელებულია 1189-1190 წწ., ხოლო მიქაელ მირიანის ძის გარდაცვალება 1187 წელს (იური ანდრიას ძის გაძევებამდე) იყარაუდება (ი. ანთელავა, თამარ მეფის 1188 წლის სიგელის ზოგიერთი მონაცემისათვის, *ცისკარი*, 1979, №1, გვ. 131-132).

<sup>119</sup> ისტორიანი და აზმანი შარავენდუდთანი, გვ. 32.

<sup>120</sup> იქვე.

<sup>121</sup> იქვე, გვ. 69.

მუდამ რჩებოდა თამარის სამეფო კარის არამარტო ერთგულ თანამდგომად, არამედ ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ მოღვაწედაც. ყოველივე ამის თაობაზე არაერთი საგულისხმო მოწმობა მოიპოვება საისტორიო წყაროებში, რომლებსაც, ამასთანავე, დაუკავთ ცნობები ანტონის პიროვნების შესახებ, საქართველოს სამეფო კარზე მის გამორჩეულ მდგომარეობასა და აქტიურ სახელმწიფო თუ სასულიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებით. როგორც ჩანს, სწორედ ეს უნდა ყოფილიყო ძირითადი წინაპირობა იმისა, რომ ანტონ გლონისთავისძე თავისი დროის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ სახელმწიფო მოხელედ რჩებოდა. მისდამი თანამედროვეთა მიმართება კარგად ჩანს იმჟამინდელ მეისტორიეთა მიერ მის დახასიათებაში. ეს მიმართება განსაკუთრებით თვალსაჩინოა მისი სახელის დროებით მიმტაცებლის – მიქაელ მირიანისძისადმი დამოკიდებულების ფონზე, რომელიც დაუფარავი სიძულელით არის აღბეჭდილი. საისტორიო წყაროების მიხედვით, იგი თავად თამარის განწყობასაც ემთხვეოდა. საქმე ისაა, რომ მიქაელ მირიანისძე იმ გავლენიან პირად ჩანს, რომელიც თამარის წინააღმდეგ მოწყობილ მრავალ გამოსვლას ედგა სათავეში. ფიქრობენ, რომ სამი მოვლენა მაინც – ყუთლუ არსლანის დასის გამოსვლა, იური ანდრიას ძის საქართველოში ჩამოყვანა, ხოლო შემდგომ დიდგვაროვანთა ამბოხება მისი მეთაურობით ერთი და იმავე გავლენიანი ჯგუფის მოძრაობის სამი სხვადასხვა ფაზა უნდა ყოფილიყო; მასში ერთ-ერთ წარმმართველ როლს მიქაელ მირიანისძე ასრულებდა.<sup>122</sup> იკვეთება გარკვეული წრეც მიქაელის გვირგვინებისა – თბილისის ამირა, შემდგომში მეჭურჭლეთუხუცესი აბულასანი, მსახურთუხუცესი ვარდან დადიანი, გუზან ტაოელი, სამცხის სპასალარი ბოცო ჯაყელი. ეს დასი განსაკუთრებით მკაფიოდ იური ანდრიას ძის აჯანყების დროს, 1191 წლის ახლო ხანებში გამოიკვეთა. ამ ჯგუფის საპირისპიროდ, ცხადია, არსებობდა წრე მეფის ერთგული დიდმოხელეებისა, რომელსაც ერთ-ერთ მეთავედ ანტონი გლონისთავისძე უნდა ჰყოლოდა. წყაროების მიხედვით, XII საუკუნის 90-იანი წლებისათვის, ამ ჯგუფში შედიოდნენ, *“სპასალარნი და დიდებულნი კ ე რ ე თ ი თ, კ ა ხ ე თ ი თ, ქართლით, სომხითით და სამცხით”*.<sup>123</sup>

უთუოდ მწიგნობართუხუცეს ანტონის პიროვნული ღირსებებისა და ქვეყნის მართვა-განმგებლობაში მისი დამსახურების ერთ-ერთ გაცხადებას უნდა წარმოადგენდეს ეპითეტი - *“ქრისტეს სწორი”* (შდრ.: *“ესე დაწერილი დაეწერეთ ჩუენ სრულიად კრებულმან და ლავრამან მღუმისამან: ქ რ ი ს ტ ე ს ს წ ო რ მ ა ნ ანტონი ჰყონდიდელმან დიდითა ლუაწლითა და გულსმოდგინებითა და საფასოთა აღუკამრავითა, მოიყვანა წყაროი ესე ნუგეშინის-საცემელად ამის უდაბნოსათჳს, რომელისა საუკუნოცა არს ვსენებაჲ და სუფევეა ყოველთა წმიდათა თანა”*<sup>124</sup>). ეს ეპითეტი, როგორც ფიქრობენ, არ უნდა უტოლდებოდეს ოფიციალურ ტიტულს; მიუხედავად ამისა, თავად ფაქტი ოფიციალურ დოკუმენტებში სამეფო კარის უპირველესი ვაზირის ამგვარი სახით მოხსენიებისა უკვე

<sup>122</sup> ი. ანთელავა, მიქაელ მირიანის ძე და 1184-1191 წწ. პოლიტიკური კრიზისი საქართველოში, საისტორიო კრებული, VII, 1977, გვ. 139-162.

<sup>123</sup> ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი, გვ. 50.

<sup>124</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I თბილისი, 1984, გვ. 100.

თავისთავად მრავლისმეტყველია.<sup>125</sup> თუმცადა, იგი ფლობდა ოფიციალურ ტიტულსაც, რომელიც ქვეყნის უზენაეს ხელისუფალთა შორის ანტონ გლონისთავისძისადმი გამოირჩეულ მდგომარეობაზე მიმანიშნებელი უნდა ყოფილიყო. ესაა *პროტოკუპერტიმოსი* – ტიტული, რომელიც განსაკუთრებული დამსახურებისათვის ენიჭებოდა სასულიერო იერარქს.<sup>126</sup> ამ ტიტულით იხსენიება მწიგნობართუხუცესი ანტონი შიომღვიმისადმი თამარ მეფის შეწირულების სიგელში,<sup>127</sup> და რაც განსაკუთრებით საგულისხმოა – ყინცივისის ეკლესიის ფრესკის განმარტებით წარწერაში (სურ. 20).<sup>128</sup> პროტოკუპერტიმოსის ტიტულის შესახებ მასალების სიმწირის მიუხედავად ცხადი უნდა იყოს, რომ იგი ერთ-ერთი უმაღლესი სასულიერო პატივი უნდა ყოფილიყო სამართლმადიდებლოში. ივარაუდება, რომ საქართველოში იგი მეფისაგან ეძლეოდათ მწიგნობართუხუცესებს, “როგორც პატრიარქის შემდეგ უმაღლეს სასულიერო იერარქს”.<sup>129</sup> შ. მესხია საგანგებოდ უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ “თამარის ისტორიკოსებს სამეფოს ერთგული მოხელენი არაერთხელ შეუშკიათ სახოტბო სიტყვებით, მაგრამ ასე სრულყოფილად არც ერთი მოხელე არ დაუხასიათებიათ და ეს შემთხვევითი არ შეიძლება იყოს”.<sup>130</sup>

საგულისხმო დასკვნებისკენ გვიბიძგებს ის გარემოება, რომ მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელი როგორც ქვეყნის სხვა უმაღლეს სასულიერო და საერო მოღვაწეთა რიგის მეთავე, გარეჯის მრავალმთის ერთ-ერთი მონასტრის ეკლესიის მოხატულობაში იქნა გამოსახული. ეს გარემოება მრავალმხრივ ეხმიანება თანადროულ რეალობას.

<sup>125</sup> ი. ანთელაეა, საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა, გვ. 112-113. მოგვიანოდ, XIII საუკუნის შუახანებში ამგვარი ეპითეტით მოიხსენიებენ არსენ ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესსაც (1241-1250) (შდრ. დაწერილი არსენ ჰყონდიდელ-მწიგნობართუხუცესისა მგელა აბულახტარისადმი, ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, გვ. 119). ეს ფაქტი მით უფრო საგულისხმოა, რომ იმხანად ვაზირთუხუცესის სახელო უკვე მნიშვნელოვნად იყო დამცრობილი.

<sup>126</sup> ს. გოგინაეა, საქართველოს მწიგნობართუხუცესთა “პროტოკუპერტიმოსობის” საკითხის გარკვევისათვის, კრებულში: *დავით აღმაშენებელი*, თბილისი, 1990, გვ. 163-166 (ადრეული ბიბლიოგრაფიით).

<sup>127</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, გვ. 100 (ტიქსტისათვის იხ. ქვემოთ).

<sup>128</sup> კ. ვაჩიშვილი, ყინცივისის მაშენებლის გამოსახულების შესახებ, *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე*, ტ. XXXII, №3, 1963, გვ. 750: “ანტონ ჰყონდიდელი, მთავარქუქისქოში, მწიგნობართუხუცესი, | პროტოკუპერტიმოსი”.

<sup>129</sup> მოგვიანებით, 1205 წელს ბასიანის ბრძოლასთან დაკავშირებით ამ ტიტულით იხსენიება ანონიმი მწიგნობართუხუცესი – როგორც ნანს, ეს ან თეოდორე უნდა იყოს, ანდა თავად ანტონი (შდრ. წიგნი სააქიმომ, ვ. კოტეტიშვილის გამოც., თბილისი, 1936, გვ. 3; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S კოლექცია, ტ. II, თბილისი, 1961, გვ. 134), ხოლო XIII საუკუნის შუახანებისათვის – ბასილი ჰყონდიდელ-უჯარმელი (ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 159; ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, გვ. 119).

<sup>130</sup> შ. მესხია, საშინაო პოლიტიკური ვითარება, გვ. 96.

დღეს უკვე კარგადაა ცნობილი, რომ ხელისუფლება, რომელიც მწიგნობართუხუცესს თავად მეფისაგან პქონდა მინიჭებული და, ამდენად მთლიანად მისივე ზედამხედველობის სფეროში მოქცეული, საკმაოდ ფართო უნდა ყოფილიყო. თუ უფრო ადრე არა, თამარის ზეობის წლებში მანც ვაზირთა უპირველესის საურავი, სახელმწიფოს იჩქამინდელი შიდაპოლიტიკური, ეკონომიკური და სულიერი ცხოვრების მრავალ სფეროს მოიცავდა. ნიშნულია, რომ მწიგნობართუხუცესის ამ მოვალეობათა შორის (სამეფისკარო წრის ყველა უწყების კონტროლი, მწიგნობართა დასის ხელმძღვანელობა, უმაღლესი სასამართლოს განგება, სახელმწიფოებრივი მართვის უმთავრესი ორგანოს – მეფის საწოლის მართვა, სახელმწიფო საქონებლის აღნუსხვა და ზედამხედველობა და ა.შ.) ერთ-ერთ უმთავრესს სამეფო მონასტრების ურვა, მათი მართვა-გამგეობა წარმოადგენდა.

მწიგნობართუხუცეს ანტონის დახასიათებისა და პირად ღირსებათა წარმოჩენისას მემბტიანე შემთხვევით როდი უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ სამეფოს უპირველესი ვაზირი იყო “შემეცნებელი საურავისა”. ბასილი ეზოსმოძღვრის ამ სიტყვებში კარგად ჩანს ანტონ გლონისთავისძის დამოკიდებულება მისთვის განტყეებული მოვალეობებისადმი, მისი დიდი ზრუნვა და ღვაწლი სამეფო საურავზე, მათ შორის პირველყოელისა - ქვეყნის უმაღლეს ხელისუფალთა კუთვნილ მონასტრებზე.

ამასთან დაკავშირებით, პირველყოელისა, ყურადღებას მიაქცევენ შიომღვიმეს, რომელიც საქართველოს სამეფო კარის ხელდებული მონასტერი იყო და ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის დროიდან მოყოლებული, სწორედ მწიგნობართუხუცესის განსაგებელს წარმოადგენდა.<sup>111</sup> ანტონ გლონისთავისძის მიერ შიომღვიმეში გაწეული საადმშენებლო ღვაწლი კარგადაა ცნობილი: მისი უშუალო განგებით XII საუკუნის 90-იან წლებში სხალტბიდან მონასტერში გაყვანილ იქნა წყალსადენი – ორი კილომეტრის სიგრძის რთული ნაგებობა (პარალელურად ახლომდებარე დასახლებებისათვის გაყვანილი დამატებითი მილსადენით), რომელიც დღემდე შემორჩა და კვლავაც მოქმედებს (მონასტრის ძმობა ამჟამადაც ამ წყაროთი სარგებლობს).<sup>112</sup> ამ მშენებლობის თაობაზე მოგვითხრობს თამარ მეფის მიერ მიერ შიომღვიმისადმი 1195-1196 წწ. ბოძებული სიგელი, სადაც ნათქვამია: “მოვიდა ჩუენ წინაშე ვაზირი ჩუენი ანტონი ჭყონდიდელი მთავარებისკოპოსი, მწიგნობართ-უხუცესი და პროტოუპერტიმოსი და გუჟაჯა და მოგუჯახენა, რაითამცა შევიწყალნეთ და რომელი მღუიმეს, მონასტერსა სამლოცველოსა ჩუენსა, წყალი მიიყვანეს სხალტბისაით... დაგუჯერა ღმერთმან და ვისმინეთ ჰაჯაი და მოქსენებაი მისი, ვაზირისა ჩუენისა ანტონი ჭყონდიდელ-მთავარებისკოპოსისა, მწიგნობართ-უხუცესისაი და პროტოუპერტიმოსისაი...რაიცა ანტონი ჭყონ-

<sup>111</sup> ბ. ლომინაძე, შიომღვიმე, თბილისი, 1953, გვ. 38.

<sup>112</sup> წყალსადენი საგანგებოდ იქნა შესწავლილი 1930-იან წლებში. იმხანადვე ჩატარდა მისი ნაწილობრივი არქეოლოგიური გათხრებიც. ალ. ლოსაბერიძე, ძველი წყალსადენებისა და არხების ნაშთები, კრებულში: შიოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, თბილისი, 1938, გვ. 193-211, 224-225; შ. ხიდაშელი, სხალტბა-შიომღვიმის წყალსადენი (არქეოლოგიური გათხრების ანგარიში), იქვე, გვ. 231-264; შდრ. აგრეთვე: გ. გაფრინდაშვილი, შიომღვიმის ქებათა შესწავლის საკითხები, სპელეოლოგთა მეორე სამეცნიერო სესია, მოხსენებათა მოკლე შინაარსი, თბილისი, 1962, გვ. 41-44.

დიდელმან გაუჩინოს სამსახური მის წყლისაი, მას ჰმსახურებდეს. და არავინ გუიბრძანებია მშლელი და მაქცეველი ბრძანებულებისა ამის ჩუენისაი, არცა მეუნებლე, მაუნებელი და დამაკლებელი მათი!”<sup>133</sup>

მშენებლობის მასშტაბებზე, მისი სიგრძისა და კონსტრუქციის გარდა, ისიც მეტყველებს, რომ იგი სამი წლის განმავლობაში უშენებიათ. ამის თაობაზე მწიგნობართუხუცესი თავადაც წერს მღვიმისადმი თამარ მეფის მიერ გაცემული სიგელის დამტკიცებაში: “მე მიწამან და მლოცველმან მეფობისა მათისამან ანტონი ჭყონდიდელმან, ვიხილე სახლი ღმრთისაი წმიდაი უდაბნოი მღვიმისაი და მას შინა მყოფნი წმიდანი მამანი ჭირსა და იწროებასა შინა ურწყულობისასა. და შემწურობითა წმიდისა მამისა შიოისითა ვებნე და ვპოე წყალი ადგილსა სხალტბისასა და კვლე-ვეაე მოქმედებად და შეწვენითა მისითა მოვიყვანე წყაროი კარსა წმიდისა ეკლესიისასა, ჟამთა წელიწდისა სამისათა, დიდითა შრომითა და გულს-მოღვივებითა. და მსხვე სათავესა თანა ეძებნე სხუთი წყალი, რომელი მკუიდრთა მის ადგილისათა არა მოაკლდა, ეგ ზომივე და უმეტესიცა წყალი. და ვევედრები მასვე წმიდასა და ღმერთ შემოსილსა მამასა შიოს და მუნ შინა დამკუიდრებულთა წმიდათა მამათა მადლსა, რაითა დაამკუიდროს იგი წყალი მას ადგილსა, სადიდებელად ღმრთისა და ნუგეშინის-საკვამელად მათ წმიდათა მამათა.”<sup>134</sup> ბუნებრივია, წყალსადენის მშენებლობას არსებითად უნდა შეეცვალა შიომღვიმის მდგომარეობა – ყოველივე ამან, როგორც ჩანს, საგრძნობლად შეუწყო ხელი ლავრის შემდგომ გაძლიერებას, სამეურნეო საქმიანობის ზრდას.

თავისი მასშტაბებით გამორჩეული უნდა ყოფილიყო მწიგნობართუხუცესისეული აღმშენებლობა ანჩის საარქიმანდრიტოშიც, რომელიც მღვიმესთან ერთად სამეფო კარის უთუოდ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საქონებელს წარმოადგენდა.<sup>135</sup> საქართველოს სამხრეთი ისტორიული პროვინციების ეკლესია-მონასტერთა ამჟამინდელი მდგომარეობა და მათი კვლევის პირობები არ იძლევა ამ მხრივ რაიმეს გარკვეულად თქმის საშუალებას. მიუხედავად ამისა, მემატინანის სიტყვები იმის თაობაზე, რომ მწიგნობართუხუცესის საკტიტორო ღვაწლს “თუთ წამებენ ქმნილნი მისნი ყოველთაგან, ვითარცა მღვმესა და კლარჯეთს თუთ მის მიერ ქმნილსა მონასტერსა”, თავისთავად მრავლისმთქმელი უნდა იყოს.<sup>136</sup>

ანტონ გლონისთავისძის, როგორც სამეფო მონასტერთა მეურვისა და კტიტორის მოღვაწეობასთან უშუალოდ იყო დაკავშირებული ვაჰანის მონასტერიც. დღეს უკვე საყოველთაოდაა ცნობილი წარწერა, რომელიც მწიგნობართუხუცესის მიერ მონასტრისათვის ზღუდის მშენებლობაზე მოგვითხრობს.<sup>137</sup> წარწერის თარიღი თამარის მეფობის მეოცე წლით


<sup>133</sup> ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, გვ. 99.

<sup>134</sup> იქვე, გვ. 102. ადრე მიღებული თარიღების (1201 ან 1202) ნაცვლად ამ პუბლიკაციაში საბუთი დათარიღებულია 1195-1196 წლებით.

<sup>135</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, თბილისი, 1979, გვ. 638.

<sup>136</sup> იხ. ზემოთ, შენ. 127, გვ. 102.

<sup>137</sup> წარწერის ბოლო გამოცემისათვის იხ.: გ. ოთხმესური, დასახ. ნაშრომი, გვ. 105-107, სურ. 21, ტაბ. XIX (ადრეული ბიბლიოგრაფიით): “† ი(ეს)უ ქ(რისტ)ე, [შ(ე)იწ(ყ)ალე ორ(თ)აეე | შ(ინ)ა ს(უ)ფევათა] მ(ე)ფეთა [მ(ე)ფე და] ღ(ე)დ(ო)ფ(ა)ლი | თ(ა)მ(ა)რ. წ(ე)ლსა მ(ე)ფ(ო)ბისა მ(ა)თის(ა)სა კ ან(ტ)ონ მ(ე)ფონდიდ(ლი)სა მ(ე)ი-ერ | აღეშ(ე)ნა ზღ(უ)ნდ(ე) ესე, შ(ე)უნდ(ე)ნ ღ(მერთ)ან.”



სურ. 20

აითვლება. აქედან გამომდინარე, მას 1204 ან 1198 წლით განსაზღვრავენ (თამარის მეფედ მეორედ ან პირველად კურთხევის თარიღთა შესაბამისად).<sup>138</sup> თუმცაღა, ჩვენს შემთხვევაში მთავარი სხვა რამაა – წარწერა იმის მიმანიშნებელი უნდა იყოს, რომ XII-XIII საუკუნის მიჯნისათვის ვაჰანის მონასტერი ჯერ კიდევ სამეფო კარის ხელში იყო<sup>139</sup> და იგი სწორედ მწიგნობართუხუცესის საურავს წარმოადგენდა. ზღუდის ნაშთები არქეოლოგიური გათხრების შედეგად იქნა გამოვლენილი და შესწავლილი.<sup>140</sup> დადასტურდა მონასტრის განგებაში ნახსენები “კოტა კარი” (მთავარი კარიბჭე, “დიდნი კარნი ზღუდისანი,” როგორც ვარაუდობენ, მოგვიანო ხანის რეკონსტრუქციისას უნდა გაუქმებულიყო).

ქოლაგირთან დაკავშირებით უპირველესი ვაზირის ხელდებულ სხვა მრავალ მონასტერთა შორის საგანგებო ყურადღებას ყინცივისის მაგალითი იქცევს – მისი მთავარი ეკლესიის მშენებლობა და მოხატვა,

<sup>138</sup> ყოველივე ამის თაობაზე ბიბლიოგრაფიითურთ იხ.: გ. ოთხმეზური, დასახ. ნაშრომი, გვ. 52, 106.

<sup>139</sup> ვაჰანის ქვაბთა განგება, ლ. მუსხელიშვილის გამ., თბილისი, 1939, გვ. 12.

<sup>140</sup> გ. გაფრინდაშვილი, არქიტექტურულ-არქეოლოგიური ძიებანი ვანის ქვაბში 1967 და 1968 წწ., საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები, II, თბილისი, 1971, გვ. 111-112, სურ. 2, 4, 5.

როგორც ეს საკტიტორო პორტრეტებიდან თვალნათლივ ჩანს, სამეფო კარის განგებით სწორედ მწიგნობართაუხუცესის (და რაც ნიშნულია ანტონ გლონისთავისძის) მიერ იქნა განხორციელებული.<sup>141</sup> ყინცვისში ანტონ გლონისთავისძე სამეფო პორტრეტების პირისპირ ტაძრის სამხრეთი მკლავის სამხრეთ კედელზე გამოუსახავთ, ეკლესიით ხელში (სურ. 20).

გიორგი III-ის ზეობის უკანასკნელ ხანებში უნდა აღდგენილიყო სელჩუკიან თურქთა მიერ XI საუკუნის მეორე ნახევარში დანგრეული ჰადარწინის მონასტერი. კომპლექსის მთავარი, წმ. გრიგოლ განმანათლებლის სახელობის ტაძარი 1184 წელს ხელახლა აუგიათ. ვრცელ სააღმშენებლო წარწერაში მითითებულია, რომ ეს მეფე გიორგის ზეობაში მოხდა და მშენებლობა კტიტორების – სარგის მხარგრძელის, ანტონ ჭყონდიდელისა და ელბეკის განგებით წარიმართებოდა ადგილობრივ მოღვაწე სასულიერო პირთა, ხაჩატურ ვარდაპეტისა და სუქიასის მიერ.<sup>142</sup>

<sup>141</sup> კ. ვაჩუშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 745-752. შპრ. Г. В. Алибегашвили, Светский портрет гв. 23. A. Eastmond, Royal Imagery in Medieval Georgia, გვ. 144-147.

<sup>142</sup> С. Т. Еремян, Агарцинская надпись 1184 г., *Исследования по истории культуры Народов Востока, Сборник в честь академика И. А. Орбели*, Москва-Ленинград. 1960, с. 78-87. წარწერის ხ. ერემიანისეული წაკითხვა და ინტერპრეტაცია ფაქტობრივად უცვლელადაა გამეორებული სომხური წარწერების კორპუსში (*ჩქიანს ლაქ ქიანაგოიქანს*, VI, ხვ 37-38, სვ. 16). რამდენადმე განსხვავებით აღდგენილი ტექსტი და მისი თარგმანი მოტანილია შ. დარჩაშვილთან (იხ. მისი. სომხური ლაპიდარული წარწერები, როგორც საქართველოს ისტორიის წყარო. საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 1975, დამატება, გვ. 4-5). წინამდებარე თარგმანი ჩვირედით სხვაობს წინა პუბლიკაციებისაგან.

*ჩ ოღ ვ მითა ლაქი, ქ მადარიოქხ(ა)სუნს აჭიას/ვაგე რხიოგხა, ქ ჯარაყხთიქხ(ა)სუნს ლაქი თ(ხარ)ს რქიქორქხა, ხა სჯაათორ ქარყაყხაი ხა სოიქხა(ა) სორაყხვაგე და(ორ)ქ რქიქორ ჯრამანას მადარიოქხ(ა)სუნს ხა ქორ მხბამხბ ხქსანსავს სარყაქ ამქორს, მსთორხ მდონსობის, ხქხქხ: ხა მადარი / გქხ ხა გთორ კადარქ(ა)სუნს ფიქ ხო ქ ს(ორ)ქ რქიქორს / დაქქ ხა მქწუნსაქსუნს ღქრს, გქ(ხარ)ს ხაჯ კოყარ ქანსქეს ქ მქწ(უნსაქს)უნს გწორიქხანს. გქსასამორ, გქსანბორს ხა ჯრამ(ა)ხვ მადარიოქხ(ა)სუნს ქსაქს თასუნს / ხორ კჯათიქ კათორქი: არქ ორქ ჯაკათიქს კარს ხა / ჯანხს ჯანსანს ქსხსუნს თამქქ ხა ორქიქ ხა ადყას, ხა სოიქხსუნს ქ ქარბქი მ(ათო)ბასუნს ხა მქქქ / აქრაყხთავს ხა ღწხსუნს კაქამ კხსავს. მასუნს ხა მამქს სოგა ორქ მოიქ(ა)სუნს ხა ორქ ასათანა(ა)სუნს ქქქქქ: სჯაათორ ქ(არ)ყაყხთის ხა მ(ორ)ქქასის ქამ (არ)ასუნს გწორიქხთას ოქამქსა(ა)სუნს ხ(ი)ქხსუნს.*

სომეხთა წელთაღრიცხვის ოღგ (633) წელს, აფხაზთა მეფის გიორგის ზეობაში, სომეხთა უფალ გრიგორისის მწვემსთმთავრობისას, მე, ხაჩატურ ვარდაპეტმა და (მე) სუქიასმა აღუდგინეთ ეს წმინდა გრიგოლის (ეკლესია) მეფისა და მის დიდ-დიდ მთავართა - სარგის ამირას, ანტონ ჭყონდიდელის, ელბეკის განგებულებით. და მეფემ ძველი და ახალი აღკაზმულობა დაწერილით მისცა წმ. გრიგოლის (ეკლესიას): ბალი მიჯნაშენ ჯურში, ტეარნ ხაჩი - მიჯნაშენსა და ეკლესიას შორის, ქურდევანი, აბასამორი, ტანსუქი. და ბრძანა მეფემ წმინდა ჯურის დღესასწაულზე მისი მოხსენიება. აწ ყოველი, ვინც წინ აღუდგება და ეკვდება დაარღვიოს (ეს), დაიქცეს სახლით, შვილებით და მოღვაწით და კრულ იყოს ვარძიის ღმრთისმშობლისა და ეკლესიის სამას თერამეტი მამათმთავრის მიერ. და აღისთავს ამ სოფლისიგან, იუდას და სატანას წილი და ხეჯარი იქნეს. ხაჩატურ ვარდაპეტს და სუქიასს ყველა ეკლესიაში უწირონ სულთმოუვნობას.



წარწერაში დასახელებულ სამ კტიტორთაგან ორი კარგადაა ცნობილი (რაც შეეხება *ელბეკ* სახელს, დაუსაბუთებელი და ნაკლებად სარწმუნო ჩანს ს. ერემიანის მოსაზრება, რომ ეს ყუბასარის ყიფჩაღური 'ხედწოდება უნდა იყოს'<sup>143</sup>); ისინი უშუალოდ იყვნენ დაკავშირებულები XII საუკუნის მიწურულის საქართველოს სამეფოში მიმდინარე მოვლენებთან. ჩვენს შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის, რომ მშენებლობის ინიციატორთა შორის იყო მწიგნობართუხუცესიც. პალარწინის მონასტერი კაენის მხარეში მდებარეობს (ეკლესიის განახლებიდან ერთი წლის შემდეგ, 1185 წელს კაენი მსახურთუხუცეს ვარდან დადიანს გადაეცა, ხოლო მოგვიანოდ, იური ანდრიას ძის მხარდასაჭერად დიდგვაროვანთა ერთი ჯგუფის მიერ მოწყობილი აჯანყების დამარცხების შემდეგ – ივანე მხარგრძელს). იმხანად, როცა სამონასტრო კომპლექსის მთავარი ეკლესია ხელახლა აიგო, ეს კუთხე სამეფო დომენი იყო და, ამდენად, მწიგნობართუხუცესის საურავს წარმოადგენდა. სამშენებლო წარწერის შინაარსიდან გამომდინარე, არც ისაა გამორიცხული, რომ პალარწინი იმ დროისათვის საქართველოს სამეფო კარის უშუალო მეურვეობის ქვეშ იყო მოქცეული; ასეთ შემთხვევაში, ანტონ ჭყონდიდელის მონაწილეობა მონასტრის აღმშენებლობაში მასზე დაკისრებული მოვალეობითაც იქნებოდა განპირობებული.

ანტონ გლონისთავისძის აქტიური საკტიტორო მოღვაწეობის გათვალისწინებისას, ქოლაგირის ეკლესიის მოხატულობაში წარმოდგენილი ვაზირთუხუცესისა და მწიგნობართუხუცესის პორტრეტი საგულისხმო დასკვნებისაკენ გვიბიძგებს. მრავალმთის ამ მომცრო მონასტრის ისტორიის შესახებ წყაროებს არაფერი შემოუნახაეთ. მიუხედავად ამისა, კომპლექსის ქვაბ-სამლოცველოებისა და მათი ფერწერული შემკულობისაგან შემორჩენილი ნაშთები იმის უდავო მოწმობაა, რომ სამონასტრო ცხოვრების აღმავლობის თვალსაზრისით XII-XIII საუკუნეების მიჯნისათვის აქ საგრძნობი ცვლილებები უნდა მომხდარიყო – გამორიცხული არ არის, რომ ადრეული ხანის ქვაბთა ადგილზე იმხანად სრულიად ახალი კომპლექსი შეიქმნა, ვრცელი ეკლესიითა და სატრაპეზოთი ცენტრში. ამ აღმშენებლობის უშუალო მეთავის შესახებ დაბეჯითებით რაიმეს მტკიცება ძნელია, თუმცა კი საკტიტორო რიგის მონაცემთა მიხედვით და ზემოთ მოხმობილი მასალების გათვალისწინებით სავსებით შესაძლებელი ჩანს, რომ ქოლაგირის მონასტრის შექმნაც (უკეთ – მისი განახლება-გაფართოება) მწიგნობართუხუცეს ანტონ გლონისთავისძის საკტიტორო საქმიანობასთან ყოფილიყო დაკავშირებული.

მართალია, გარეჯის მონასტერთა საქართველოს სამეფო კარის ხელში გადასვლის დროის თაობაზე დღემდე აზრთა სხვადასხვაობაა, მაგრამ უდავოა, რომ ეს უნდა მომხდარიყო არაუგვიანეს XII საუკუნის დასაწყისისა.<sup>144</sup> იქიდან მოყოლებული, ვიდრე XV საუკუნის ოციან წლებამდე (ალექსანდრე I დიდის [1412-1442] მიერ გარეჯის უდაბნოებისა

<sup>143</sup> С. Т. Еремян, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 86.

<sup>144</sup> Г Чубинашвили, *Пещерные монастыри Давида Гареджи*, 69; ბ. ლომინაძე, *ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან*, I გვ. 124, 163; გ. აბრამიშვილი, *დავით გარეჯელის ციკლი ქართულ კედლის მხატვრობაში*, გვ.76.

და მისი მამულების მცხეთის საკათალიკოსოსათვის გადაცემამდე<sup>145</sup>) მრავალმთის მონასტრები სამეფოს უმაღლეს ხელისუფალთა განმგებლობაში რჩებოდა. ამ პერიოდის მანძილზე, თითქმის მთელი მნებლებითა პირობებშიც კი, გარეჯის საქართველოს მეფეთა საგანგებო ყურადღება არ მოკლებოდა. ყოველივე ეს სათანადო პირობებს ქმნიდა მრავალმთის სამონასტრო კომპლექსის სწრაფი დაწინაურებისა და ახალი აღმავლობისათვის. თავის მხრივ, აღნიშნული მოვლენა მრავალმხრივ აისახებოდა გარეჯის მონასტრების ყოფასა და მეურნეობის ხასიათზე, გამოქვაბული კომპლექსების არქიტექტურულ სახეში, ქვაბ-სამლოცველოთა შემკულობაში. ყველა იმ მონასტერში, რომლებიც XII-XIII საუკუნეთა მიჯნისათვის საქართველოს სამეფო კარის განგებითა და უმაღლესი სამოხელეო წრის უშუალო მონაწილეობით იქნა განახლებული, უზენაეს საერო და სასულიერო ხელისუფალთა მიერ გაწეული საკტიტორო ღვაწლი სათანადოდ აღიბეჭდებოდა მათი პორტრეტებისა და თანმხლები წარწერების საშუალებით. მრავალმთის ცენტრალური ნაწილის სამი უმნიშვნელოვანესი კომპლექსის - წმ. იოანე ნათლისმცემელის,<sup>146</sup> ბერთუბნის,<sup>147</sup> წმ. დოდოს<sup>148</sup> მონასტრების მთავარი ეკლესიების ფრესკები ამ მხრივ მრავალსმეტყველი უნდა იყოს. როგორც ჩანს, მსგავს მოვლენასთან უნდა გვექონდეს საქმე ქიოლაგირშიც, მით უფრო, რომ მისი მთავარი ეკლესიის ფრესკაზე საკტიტორო რიგის ერთ-ერთ მეთავედ საქართველოს სამეფო კარის სწორედ ის უზენაესი მოხელე იქნა წარმოდგენილი, რომელიც იმხანად სხვა სამეფო მონასტერთა ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი სამონასტრო გაერთიანების გვერდით გარეჯის მრავალმთის უდაბნოთა მეურვედაც ითვლებოდა.

განმარტებითი წარწერის ის ნაწილი, კტიტორის გამოსახულებასთან რომ შემორჩა, მრავალმხრივ საგულისხმო ჩანს XII-XIII საუკუნეების საქართველოს ცენტრალური მმართველობის სისტემასთან დაკავშირებითაც. ამ მხრივ, პირველყოვლისა, ფასეულია წარწერის ტექსტში ჩართული ტერმინი **ვაზირთუხუცესი**. ბოლო შვიდი ათეული წლის მანძილზე სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ გამოთქმულა განსხვავებული მოსაზრებები საქართველოს სამეფო კარზე საეაზიროს არსებობასთან დაკავშირებით. იმ მრავალ მხარეთა შორის, რომლებიც ამ პრობლემის ფარგლებში ჯერ კიდევ წამოჭრის კითხვებს, ერთ-ერთი ძირითადი უპირველეს მოხელეთა ვაზირად წოდება და ამდენად, სამეფო კართან საეაზიროს არსებობაა. ქართულ ისტორიოგრაფიაში ადრევე დამკვიდრებული თვალსაზრისის მიხედვით (რომელიც ძირითადად "ხელმწიფის კარის გარიგებას" უნდა ემყარებოდეს), ვაზირის სახელო საქართველოში XII საუკუნისათვის უკვე უნდა არსებულიყო და ეს წოდება იმხანად ჰქონდათ მწიგნობართუხუცესს, ამირსპასალარს, მანდატურთუხუცესსა და მეჭურჭლეთუხუცესს. შესაბამისად, იმხანადვე იგულისხმება საეაზიროს არსებობაც. მოგვიანოდ (თამარის მეფობის

<sup>145</sup> ქრონიკები, II, გვ. 231.

<sup>146</sup> ზ. სხირტლაძე, სამეფო კტიტორული პორტრეტი, გვ. 96-110.

<sup>147</sup> Г. Чубинашвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 68, ტაბ. 108.

<sup>148</sup> ზ. სხირტლაძე, კტიტორთა გამოსახულებები გარეჯის წმ. დოდოს მონასტრის მთავარ ტაძარში, *ძეგლის მეგობარი*, 1991, №1, გვ. 49-54.

შემდგომ და რუსუდანის ზეობისას [1223-1245] მასში შევიდნენ ათაბაგი(კა და მსახურთუხუცესი).<sup>149</sup> მეორე თვალსაზრისი ზემოთ მოხმობილისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი XII საუკუნის მანძილზე და XIII საუკუნის პირველ ათწლეულში საქართველოს სამეფო კარზე მხოლოდ ერთი ვაზირის - მწიგნობართუხუცესის არსებობას აღიარებს. ამის შესაბამისად, სავაზიროს ჩამოყალიბება მხოლოდ თამარის მეფობის შემდგომ პერიოდშია სავარაუდებელი.<sup>150</sup>

აღნიშნულ პრობლემაზე მსჯელობისას მკვლევარები სხვა წყაროებთან ერთად უპირატესად “ხელმწიფის კარის გარიგების” მონაცემებს ეყრდნობიან. კარგადაა ცნობილი აქ მოხსენიებული სამთა ვაზირთა ჯგუფი (ათაბაგი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი), ორთა ვაზირთა ჯგუფი (მეჭურჭლეთუხუცესი, მსახურთუხუცესი).<sup>151</sup> ეს ფაქტი თავისთავად გულისხმობს იმხანად ქვეყნის სამეფო კარზე რამდენიმე ვაზირის არსებობას (იმასაც უნდა გაეწიოს ანგარიში, რომ XIV საუკუნისათვის (ე.ი. ჟამთააღმწერელის მოღვაწეობის ხანისათვის), მაშინ, როდესაც სავაზიროს არსებობა რეალურად არის ცნობილი, პირველი ვაზირი სწორედ “ვაზირთუხუცესად” იწოდება). ამასთანავე, სავაზიროსთან დაკავშირებით ორი გარემოება კვლავ იწვევს დაგას: ა. ხანგრძლივი დროის მანძილზე “ხელმწიფის კარის გარიგების” შექმნის სავარაუდო პერიოდად XIV საუკუნის პირველი ნახევარი იყო მიჩნეული.<sup>152</sup> ბოლო ათწლეულების განმავლობაში გამოთქმული მოსაზრებების თანახმად, იგი XIII საუკუნის მიწურულს უნდა შეედგინათ.<sup>153</sup> ბ. რაც მთავარია, საკამათოდ რჩება საკითხი, თუ რამდენად ასახავს ეს საკანონმდებლო ძეგლი უფრო ადრეულ რეალობას: “ეს პერიოდი (XII-XIII სს. მიჯნიდან ძეგლის შედგენამდე) მრავალი ახალი, არსებითად განსხვავებული მოვლენით აღინიშნა ქვეყნის არამარტო საგარეო, არამედ საშინაო პოლიტიკურ ცხოვრებაშიც, სამოხელეო წყობაშიც, რომელსაც არ შეიძლება ასახვა არ ეპოვა ამ შედარებით გვიანდელ ძეგლში...” ამიტომ “ხელმწიფის კარის გარიგებით XII-XIII სს. მიჯნის საქართველოს

<sup>149</sup> ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, შრომები, ტ. VI, თბილისი, 1982, გვ. 268-269; ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორია, თბილისი, 1958, გვ. 208-210; დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, I, თბილისი, 1962, გვ. 76-90; მ. ლორთქიფანიძე, რუსთაველის ეპოქა, თბილისი, 1966, გვ. 72-74; შდრ. გ. ოთხმეზური, დასახ. ნაშრომი, გვ. 49-52.

<sup>150</sup> შ. მესხია, ძველია საეკერეელი, თბილისი, 1972, გვ. 33; მისივე, შიდაპოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა, გვ. 25 და შემდ., აგრეთვე გვ. 70-75.

<sup>151</sup> ხელმწიფის კარის გარიგება, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გამოსაცემად მოამზადა ი. დოლიძემ, თბილისი, 1965, გვ. 90-92.

<sup>152</sup> ე. თაყაიშვილი, ხელმწიფის კარის გარიგება, თფილისი, 1920, გვ. VIII; ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. I, თხზულებანი, ტ. VI, თბილისი, 1982, გვ. 70-75; ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბილისი, 1965, გვ. 601-608.

<sup>153</sup> შ. მესხია, შიდაპოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა, გვ. 71; ილ. ანთელავა, “ხელმწიფის კარის გარიგების დათარიღების საკითხისთვის, მნათობი, 1980, №7, გვ. 159-161; მისივე, XI-XIV სს. ქართული საისტორიო წყაროები, თბილისი, 1988, გვ. 83-92.

სამოხელეო წყობის მეტ-ნაკლებად სწორი სურათის ასახვა შეუძლებელია".<sup>154</sup> ამის საპირისპიროდ, იყარაუდება, რომ საქართველოს სახელმწიფო წყობილებისა და სამოხელეო სისტემის ის სურათი, რომელიც XIV საუკუნისათვის "ხელმწიფის კარის გარიგებაში" არის მოცემული, ბევრად უფრო ადრეული ხანის რეალობას უნდა ასახავდეს. არათუ XIII საუკუნისას არამედ, შესაძლოა, სოგიერთი რეალია დაგით აღმაშენებლის დროსაც კი ეხმიანებოდეს.<sup>155</sup>

საეკლესიო არსებობასთან დაკავშირებული საკითხები საგანგებოდ არის განხილული შ. მესხიას მონოგრაფიულ ნარკვევში.<sup>156</sup> მისი აზრით, თამარის მეფობის ბოლოსათვის ათაბაგის სახელის დაწინაურებამ თავისთავად განაპირობა ვაზირის ხელისუფლების გაყოფა-დანაწევრება. თავის მხრივ, სწორედ ამით დაედო სათავე საეკლესიო ჩამოყალიბებას. ამ პროცესს დასრულებული სახე რუსუდანის მეფობის დროისათვის უნდა მიეღო, თუმცა ცვლილებები ქვეყნის უმაღლეს სამოხელეო წყობაში შემდგომშიც გრძელდებოდა, რის შედეგადაც თანდათანობით იმატა ვაზირთა რაოდენობამ და შეიქმნა ვაზირთა ჯგუფები. მართალია, რუსუდანის ზეობისას მწიგნობართუხუცეს-ტყვონდიდელი ამ ჯგუფთაგან არც ერთში არ შედიოდა, მაგრამ იგი გარკვეულწილად (ფორმალურად მაინც) ინარჩუნებდა ვაზირთა შორის პირველობას. მეკლევარის აზრით, სწორედ ამაზე უნდა მიუთითებდეს გამოთქმა "ვაზირთა შორის უპირველესი", რომელიც იმხანად უნდა დამკვიდრებულიყო.<sup>157</sup> ეს გამოთქმა არ დასტურდება თამარის მეფობის პერიოდში, რაც შ. მესხიას აზრით, იმაზე მეტყველებს. რომ იმხანად ვაზირი მხოლოდ ერთი იყო და, შესაბამისად არც საეკლესიო არსებობდა. ერთადერთი გამოჩენილი ამ მხრივ – კარნუ ქალაქიდან ალაფად წამოღებული "სააქიმო წიგნის" (S-1274) ქართული თარგმანის ანდერძ-მინაწერშია დადასტურებული:<sup>158</sup> მაგრამ ხელნაწერი, შ. მესხიას დაკვირვებით, თეოდორე მწიგნობართუხუცეს-ტყვონდიდელის დროს უნდა ეთარგმნათ, სახელდობრ – თამარის მეფობის ბოლო წელს, ან ლაშა-გიორგის გამეფების პირველ წელს. ამდენად, ეს მონაცემიც

<sup>154</sup> შ. მესხია, შიდაპოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა, გვ. 70-71.

<sup>155</sup> ი. ანთელაუა, საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა, გვ. 116-119.

<sup>156</sup> შ. მესხია, შიდაპოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა, გვ. 73-74.

<sup>157</sup> ამ მოვლენას მეკლევარი იმით ხსნის, რომ დასახელებული პერიოდისათვის მწიგნობართუხუცესის სახელს აშკარა დაქინების ტენდენციის ფონზე საქართველოს სამეფო კარზე ჯერ კიდევ აშკარად იკეთებოდა ორი ვაზირის ფაქტობრივად თანაფარდი გავლენის მქონე ხელისუფლება. შესაბამისად, ტერმინისათვის "ვაზირთუხუცესი" ორ სახელს შორის უპირატესის გარკვეული გამოირჩევისათვის შეიძლებოდა მიემართათ.

<sup>158</sup> კუბლიკაციისათვის იხ. ზემოთ, შენ. 115. ხელნაწერი XV-XVI სს. უნდა გადაეხეხნათ, თუმცა მასში უცვლელად არის გადმოტანილი მთარგმნელისეული ანდერძ-მინაწერი: "ესე წიგნი სააქიმო, ოდეს რუქანდან სულტანი კარნუ ქალაქისა კართა ზედა გააქციეს, მუნით ალაფად მოიღეს. ქრისტეს მიერ პატრონი ჭ", მისმან მწიგნობართუხუცესმან, პროტოე უპერტიმოსმან და ვაზირთა ყოველთა უპირველესმან კაცმან, გონება მოსავმან და საღთოთა მსჯავართა მართლმსაჯულმან და კვლის ამჟრობელმან უღონოთა და ჭურთხილმან ქართულად მთარგმნინა მე მიწასა მათსა ხოჯა ყოყილსა."

შეესაბამება სავაზიროს თანდათანობით ჩამოყალიბების მის მიერ ნაგვარაუდევ ხანას.<sup>159</sup>

ამ პრობლემასთან დაკავშირებული ყველა თვალსაზრისის გადასინჯვა და ქოლაგირის ეკლესიის წარწერების მონაცემთა მათთან მიმართებით განხილვა ბევრად სცილდება წინამდებარე ნარკვევის ფარგლებს. აქ შეიძლებოდა ყურადღება გაგვემახვილებინა მხოლოდ ერთ გარემოებაზე – მწიგნობართუხუცესის გამოსახულების განმარტებითი წარწერა ის ფასეული პირველწყაროა, რომლის გათვალისწინებითაც ვარაუდი საქართველოს სამეფო კარზე სავაზიროს (ამასთან არა მხოლოდ ორი ვაზირის) უკვე XII-XIII საუკუნეების მიჯნისათვის არსებობის თაობაზე რამდენადმე უფრო დამაჯერებლად წარმოჩნდება. მართლაც, წარწერის ტექსტში ხაზგასმული მითითება იმაზე, რომ ფრესკაზე წარმოდგენილი იერარქი *“მეფემ ვაზირთუხუცეს და მწიგნობართა თქსთა უხუცეს ჰყო”* სხვაგვარად გაუგებარი დარჩებოდა. ეს კი, თავის მხრივ, იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ დარბაზის სხვა მოხელეებიც იმხანად ვაზირებად იწოდებოდნენ.

აქვე იმასაც უნდა გაეხვას ხაზი, რომ მითითება ვაზირთა უხუცესობის თაობაზე საკტიტორო პორტრეტის თანმხლებ წარწერაში უთუო მისი ტიტულატურის ხაზგასმულადაა ჩართული; იგი, როგორც ჩანს, არ უნდა ყოფილიყო გამიზნული სამეფო კარის უპირველესი მოხელის ფუნქციითა განსაზღვრა-წარმოჩენისათვის. აღნიშნულ საკითხზე ყურადღების გამახვილება ძირითადად იმით არის განპირობებული, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში განსხვავებული მოსაზრებები გამოითქვა მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელის სახელოს ფუნქციების თაობაზე. მაგალითად, ივარაუდება, რომ სამეფო კართან არსებობდა “სავაზირო”,<sup>160</sup> რომელსაც სათავეში მწიგნობართუხუცესი ედგა.<sup>161</sup> არსებობს სხვა თვალსაზრისიც, რომლის თანახმადაც “ვეზირობა” გარკვეული თანამდებობის პირთა სათათბირო იყო მეფესთან. ასე რომ, “ვეზირობის მოწვევა, მასზე თავმჯდომარეობა, მხოლოდ მეფის პერეოგატივა იყო.” ამგვარი დასკვნისათვის გარკვეულ არგუმენტად დასახელებულია ყუთლუ არსლანის დასის გამოსვლა, აგრეთვე ბასილი მწიგნობართუხუცესის მიერ “თუნიერ მეფისა საურავისა” ქმნა, რის გამოც იგი სიკვდილით იქნა დასჯილი.<sup>162</sup>

აღნიშნულ საკითხზე ყურადღების გამახვილებისას ქოლაგირის წარწერაში დადასტურებული ტერმინი “ვაზირთუხუცესი” მაინც გარკვეულ დაფიქრებას იწვევს. მართლაც, ყოველივე ამაში შეიძლება იგულისხმებოდეს მინიშნება მწიგნობართუხუცესის როგორც გარკვეულ სამოხელეო იერარქიულ უპირატესობაზე (ვაზირთა შორის უპირველესი),

<sup>159</sup> შ. მესხია, შიდაპოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა, გვ. 75.

<sup>160</sup> ნ. ბერძენიშვილი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში, გვ. 90; მ. ლორთქიფანიძე, ქართული ფეოდალური მონარქიის კარის მოხელენი, *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის*, ნაკვ. 32, 1955, გვ. 67 და შემდ.; მ. ბერძენიშვილი, საქართველო XI-XII საუკუნეებში (სოციალურ-ეკონომიური ნარკვევი), თბილისი, 1970, გვ. 115-116.

<sup>161</sup> ი. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის საკითხები “ვეფხისტყაოსნის” მიხედვით, თბილისი, 1977, გვ. 144.

<sup>162</sup> ი. ანთელაევა, საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა, გვ. 121.

ისე საქართველოს სამეფო კარის უმაღლეს სამოხელეო დასში იმ დროისათვის არსებულ გარკვეულ სტრუქტურულ თავისებურებებზე (ვაზირთა უხუცესობა, როგორც უპირველეს მოხელეთა განმგებლობა). ამ კითხვებზე ერთმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა ძნელია, მაგრამ ფაქტი ფრესკულ წარწერაში მწიგნობართუხუცესის სახელოსთან მიმართებით ვაზირთუხუცესის ტიტულის დადასტურებისა უთუოდ საგულისხმო და ნიშნეული უნდა იყოს.

აქ კვლავ უნდა მივუბრუნდეთ ერისთავთ-ერისთავ ვარდანის იდენტიფიკაციის საკითხს. არსებითი მნიშვნელობისაა ის გარემოება, რომ იგი უმაღლეს სასულიერო იერარქთა და საერო ხელისუფალთა რიგის სათავეშია წარმოდგენილი – ტრადიციული რეგლამენტაციის ამგვარი ცვლილება იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ სახლი, რომელსაც ფრესკაზე წარმოდგენილი პირი ეკუთვნოდა, ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე თუ არა, ქოლვაგირის გამოქვაბული ეკლესიის მოხატულობის შექმნის ხანებისათვის მაინც გამოირჩეული პატივით სარგებლობდა ქვეყნის სამეფო კარზე. ამაზევე მიუთითებს წარწერაში ხაზგასმული ფაქტი, რომ ვარდანი მეფე დიმიტრის გაზრდილი ყოფილა, ე.ი. სამეფო წრესთან უაღრესად დაახლოებული პირი და შესაბამისად, გამორჩეული პრივილეგიების მქონეც.

გაზრდილობის საკითხს არაერთი მკვლევარი შეხებია. კარგადაა ცნობილი, რომ “სამეფოსა პალატსა შინა თანაზრდილობა” ანუ აღზრდა “სახლსა სამეფოსა შინა” სამეფო კარისა და არისტოკრატიული წრის წარმომადგენელთა ურთიერთობის ერთ-ერთ ტრადიციულ სახეს წარმოადგენდა.<sup>163</sup> მის სიძველეზე საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება ნ. ბერძენიშვილი.<sup>164</sup> მან, ამასთანავე, ისიც აღნიშნა, რომ სხვადასხვა დროს გაზრდილობასთან დაკავშირებული ტრადიცია თავისი არსით იცვლებოდა და. ამდენად, სხვადასხვა ეტაპისათვის იგი განსხვავებული მნიშვნელობითაც უნდა ყოფილიყო დატვირთული. აღნიშნული ტრადიციის მიმართება სამეფო ოჯახთან ანდა წარჩინებულის სახლთან ადრეული ხანის წყაროების მონაცემებით ბოლომდე გარკვეული არ არის. მოგვიანოდ კი, XII საუკუნის მეორე ნახევრიდან მოკიდებული, იგი აშკარად ქვეყნის უზენაეს ხელისუფალთა კართან ჩანს დაკავშირებული. ამ თვალსაზრისით საგულისხმო უნდა იყოს დაკვირვება, რომლის მიხედვითაც საუფლისწულოზე დასმულ ბატონიშვილთა შეზრდილად უპირატესად ამ საუფლისწულო ტერიტორიის მკვიდრ დიდებულთა შვილები უნდა გამოერჩიათ.<sup>165</sup> “ცენტრალური ხელისუფლების ძლიერებისა და მიმზიდველობის ხანაში ერთგული მოყმე რაინდები იზრდებიან კარზე (თამარი კარიდან არ იშორებდა მათ მამებსაც კი) და არსებობდა, უნდა ვიფიქროთ, სასახლისკენ მიმზიდველი ძალები...”<sup>166</sup> გაზრდილობის ტრადიციასთან

<sup>163</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, გვ. 85-87; ი. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), ტ. II, თბილისი, 1981, გვ. 207-211.

<sup>164</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, გვ. 86.

<sup>165</sup> იქვე (ნ. ბერძენიშვილს ამასთან დაკავშირებით მოჰყავს ალექსანდრე კახთა მეფის ძის, გიორგი ბატონიშვილისა და მისი შეზრდილების, ვანნაძეების მაგალითი).

<sup>166</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბილისი, 1966, გვ. 86.

დაკავშირებით წერილობით წყაროებს არაფერი შემოუნახავს დემეტრე I-ის კარის თაობაზე (ქოლაგირის ფრესკული წარწერა ამ მხრივ ჩვენთვის ცნობილ ერთადერთ მოწმობად შეიძლება ჩაითვალოს); სამაგიეროდ, სურათი მრავალმხრივი და მრავლისმეტყველია მისი ძის, გიორგი III-ის ზეობის ხანასთან დაკავშირებით. მემბტიანე მის კარზე გაზრდილებად ასახელებს ქვეყნის უმაღლეს მოხელეებს – მეჯინბეთუხუცეს ჭიაბერს, მწიგნობართუხუცეს ანტონ გლონისთაისძეს, ამირსპასალარსა და მანდატურთუხუცეს ყუბასარს.<sup>167</sup> გაზრდილობასთან დაკავშირებული ტრადიცია შენარჩუნებული უნდა ყოფილიყო გვიან ხანაშიც, სახელდობრ XIV-XV საუკუნეებისათვის. ესაა მხოლოდ, რომ იმხანად, სამეფო-სამთავროებად დაშლილ ქვეყანაში, გაზრდილები ადგილობრივ მთავარ-დიდებულთა კარზეც მომრავლდნენ, ამასთან მათი ნაწილი დიდგვაროვანი არც უნდა ყოფილიყო (მათგან შედარებით უკეთაა ცნობილი ამბროსი – სამცხის ათბაგათა, ჯაყელბის კარზე,<sup>168</sup> ბანდაისძეთა გვიარის წარმომადგენლები – ქსნის ერისთავთა ქვენიფნეველების კარზე).<sup>169</sup> გაზრდილობის ტრადიციასთან დაკავშირებული სურათი აშკარად არაერთმნიშვნელოვანია და სხვადასხვა პერიოდში განსხვავებულ წანამოდერებთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული; მისი კვლევა ჯერ კიდევ მომავლის საქმედ რჩება. მიუხედავად ამისა, დღეისათვის არსებული მასალების გათვალისწინება კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ დაკვირვებას, რომლის მიხედვითაც ცენტრალური ხელისუფლების ძლიერების ხანაში ეს ინსტიტუტი ხელს უწყობდა დიდებულთა მიზიდვას სამეფო კართან, სასახლის დასუსტებისა და ქვეყნის პოლიტიკური დაშლილობის ტენდენციების ზრდის პირობებში კი ამ ტრადიციას სწორედ ურთიერთგაუცხოებისა და დანაწევრებისათვის უნდა შეეწყო ხელი – “თითოეულ უფლისწულს ახლდა შეზრდილები, რომლებიც ამ უფლისწულთა სეპარატისტულ მეცადინეობაში მის მორჭმა-განდიდების მოღვაწენი არიან.”<sup>170</sup>

ქოლაგირის ეკლესიის საკტიტორო რიგში, ცხადია, იმ შემთხვევასთან უნდა გვექონდეს საქმე, როდესაც სასულიერო იერარქთა, დიდმოხელეთა თუ ცალკეული კუთხეების მმართველთა რიგის თავეში გაერთიანებული საქართველოს მეფის გაზრდილის გამოსახვით ხაზგასმით წარმოჩნდება ადგილობრივი საერო ხელისუფლის, ერისთავთ-ერისთავის სახლის გამორჩეული ერთგულება და სიახლოვე სამეფო კართან; აქედან გამომდინარე, ხაზი ესმება ამ სახლის მნიშვნელობასაც მთელი სახელმწიფოს მასშტაბით.

XII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIII საუკუნის დასაწყისისათვის

<sup>167</sup> ისტორიანი და აზმანი შარაენდედთანი, გვ. 19, 30, 32-33. ყოველივე ამის ფონზე საგულისხმო ჩანს ბეთანიის მონასტრის ერთ-ერთი წარწერა, რომელშიც იხსენიება ევზიბ წურილაძისძე; იგი ამირსპასალარ და მანდატურთუხუცეს ივანე ორბელის მუუღლის, პატრონ რუსუდანის გაზრდილი ყოფილა. ვ. სილოგავა, ბეთანიის წარწერები, თბილისი, 1994, გვ. 39-40, სურ. 12-13.

<sup>168</sup> ზ. სხირტლაძე, ივერიის ღმრთისმშობლის ხატის მოჭედილობა, თბილისი, 1994, გვ. 19-26.

<sup>169</sup> ძეგლი ერისთავთა, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო შ. მესხიამ, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 30, 1954, გვ. 316 და შემდგ.; შდრ. ვ. ბერიძე, ძველი ქართველი ოსტატები, თბილისი, 1967, გვ. 15-17.

<sup>170</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, გვ. 86.

საქართველოს სამეფო კარის დიდმოხელეთა და ადგილობრივ მმართველთა ონომასტიკონში საქმიად ხშირად გვხვდება სახელი ვარდან. ამ სახელის მქონე დიდებულთა და მათ მემკვიდრეთა (resp. ვარდანის ძეთა) შორის ქოლაჯირის მონასტრის საკტიტორო რიგთან დაკავშირებით შეიძლებოდა ყურადღება გაგვემახვილებინა რამდენიმე მათგანზე:

ერისთავთ-ერისთავი ვარდან დადიანი, მსახურთუხუცესი, “ლიხთ აქათი პატრონი ორბეთისა და კაენისა, ლიხთ იქით – ნიკოპსამდი უცილობლად მქონებელი”.<sup>171</sup> ამ ძირძველი დიდებულისა და მისი სახლის დაწინაურება გიორგი III-ის დროს მომხდარა; იმხანად იგი ნუხნარეხის სახელოს ფლობდა. ივარაუდება, რომ სწორედ იმ პერიოდიდან უნდა დაწყებულიყო ვარდანის მფლობელობა “ქურდევატრის იქით” სომხით-შიც.<sup>172</sup> სხვა სამფლობელოები, სახელდობრ კაენი, მის ხელში თამარის ზეობის დასაწყისში უნდა გადასულიყო. იმაედროულად, ვარდანის ძე, ივანე, გაგის მფლობელი გახდა.<sup>173</sup> თამარის მეფობის პირველ ათწლეულში ვარდან დადიანი იმ დიდმოხელეთა შორისაა, ვინც სამეფო კართან ერთად წარმართავს ქვეყნის პოლიტიკურ გეზს, წარმატებით მონაწილეობს (როგორც ნანს, ზოგჯერ მეთავეობს) სამხედრო ლაშქრობებში.<sup>174</sup> 1190-იანი წლების დამდეგისათვის ვითარება რადიკალურად იცვლება: იური ანდრიას ძის ლაშქრობისას ვარდან დადიანი თამარის მოწინააღმდეგეთა ბანაკში აღმოსნდა მეტურჭლეთუხუცეს აბულასანთან, სამცხის სპასალარ ბოცოსთან, ტაოსკარის მფლობელ გუზანთან, კაეონის მფლობელ მაყასთან, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს სხვა დიდებულებთან ერთად.<sup>175</sup> რაც მთავარია, წყაროების მიხედვით, სწორედ იგი ნანს აჯანყების ერთ-ერთ ხელმძღვანელად, სწორედ მან შეჰყარა “ყოველი სუანთი და აფხაზეთი, საეგროი გურია, სამოქალაქო, რაჭა, თაკურეი და არგუეთი. მომრთველმან სანიგთა და ქეშიგთამან აფიცა რუსისა გამეფებისა და მისის მეფედ-ყოფისათჳს დიდებულნი და ლაშქარნი ქუეყანისანი. გაგ ზუნა ლაშქარნი ქუეყანისანი და მივიდეს გუზანისად. მუნით წარმოვიდა რუსი”.<sup>176</sup> ნ. ბერძენიშვილის მითითებით, ვარდან დადიანს რაღაც საფუძველი უნდა ჰქონოდა, რომ ქვეყნის საგრობოზი ნაწილი სამეფო კარის წინააღმდეგ აემხედრებინა. “მთელი დასავლეთ საქართველოს მაღალი ფეოდალური საზოგადოება გამოუკლებლივ (გარდა

<sup>171</sup> ისტორიანი და აზმანი შარავენდეთანი, გვ. 49; ი. ანთელაევას ვარაუდით, ვარდან დადიანის ძე ცოტნე დადიანი უნდა ყოფილიყო (ი. ანთელაევა, ლეკან II დადიანი, თბილისი, 1990, გვ. 17).

<sup>172</sup> დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ქვემო ქართლი, ნაკვეთი I, თბილისი, 1979, გვ. 80; შდრ. ისტორიანი და აზმანი შარავენდეთანი, გვ. 49.

<sup>173</sup> დ. მუსხელიშვილი, აღჯაყალა - გაგის ციხე, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, I, 1960, გვ. 113-140.

<sup>174</sup> შდრ.: “წუეეითა ასათ გრიგოლის ძისადთა დიდად და სასახელოდ ილაშქრეს განძას ქუემო ბელაყონამდე, შემდგომად ზემო კერძო რახსისა პირსა მასისამდე. მუნცა დიდთა ლაშქართა მოწვევასა შინა ისახელეს თავი ბუმბერაზთა ამის სამეფოსათა თუთ მეფისა მწურეტელოობასა შინა ვარდან დადიანმან მსახურთუხუცესმან, ოთხთავე მქარტრელთა და სხუთა დიდებულთა და აზნაურთა” (ისტორიანი და აზმანი, გვ. 40).

<sup>175</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, გვ. 165-166.

<sup>176</sup> ისტორიანი და აზმანი შარავენდეთანი, გვ. 49.



ანტონ საღირისძისა) რუსის მხარეზე დადგა. ამის ახსნა უნდა ვეძიოთ იმ ფაქტში, რომ აღმოსავლეთ საქართველოდან თითქმის ასეთივე ერთსულოვნებით თამარის და დავით სოსლანის მხარეზე აღმოჩნდნენ.<sup>177</sup>

აჯანყება დამარცხდა და მისი მონაწილეები დაისაჯნენ. იგივე ბედი ეწია ვარდან დადიანსა და მის სახელეულსაც; ძირძველ დიდებულს ჩამოერთვა როგორც სამოხელეო თანამდებობები, ისე სამფლობელოები: კენი და კაეწონი ახალ მსახურთუხუცესს, ივანე მხარგრძელს გადაეცა, ხოლო გაგი – ზაქარია მხარგრძელს (ივარაუდება, რომ დადიანებს იმხანად უნდა დაეკარგათ ლიხთიქითიცა და ორბეთიც).<sup>178</sup> ასე რომ, XII საუკუნის 90-იანი წლებიდან დადიანთა სახელო ქვეყნები მხარგრძელებს გადაუნაწილდა. ამის შემდეგ დადიანთა სახლი კარგა ხანს აღარ ჩანს სამოღვაწეო ასპარეზე.

მეჭურჭლეთუხუცესი, **კახაბერ ვარდანის ძე** ყუთლუ არსლანის დასის დამარცხების შემდეგ იქნა აღზევებული. გიორგი III-ისა და თამარის დროს დაწინაურებული ზოგიერთი დიდმოხელისაგან განსხვავებით, იგი წარჩინებულთა ერთ-ერთი ძველი სახლის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო. როგორც ვარაუდობენ, სწორედ ამაზე უნდა მიუთითებდეს ისტორიკოსის ცნობა, რომ თამარმა „*კუალად უბოძა მეჭურჭლეთუხუცესობა დიდსა და გუარიაანსა კაცსა კახაბერს ვარდანის ძესა.*“<sup>179</sup> შ. მესხია ვარაუდობდა, რომ მეჭურჭლეთუხუცესი კახაბერი XI-XII საუკუნეთა მიჯნის მოღვაწის, სევანთა ერისთავის, მეჭურჭლეთუხუცესისა და პროტოსტრატოსის, ივანე დადიანის შთამომავალი უნდა ყოფილიყო და სწორედ ამიტომ ესმებოდა ხაზი მის დიდგვაროვნებას.<sup>180</sup> ასე რომ, კახაბერ ვარდანისძისადმი მეჭურჭლეთუხუცესის სახელოს ბოძება ძველი გვარის რესტავრაციად განიხილება, რაც საესებით მართებულად ჩანს კიდევ. საქართველოს სამეფო კარზე კახაბერ ვარდანისძის დაწინაურება დიდხანს არ გაგრძელბულა: 1185 წელს აღზევებული დიდებული 1187-1188 წლებში შესცვალა „უგვაროთა“ (მოქალაქეთა წრის ზედაფენის) წარმომადგენელმა აბულასანმა. საფიქრებელია, რომ კახაბერ ვარდანისძეს და მის სახლს არც შემდგომ უნდა მოჰკლებოდა პატივი, თუმცა მისი სახლი სახელმწიფო ასპარეზზე აღარ ჩანს.

ვარდანი (ზოგჯერ ასევე ბეშქენი) საგვარეულო სახელად ჩანს დასაეღეთ საქართველოს დიდებულთა სხვა რამდენიმე სახლშიც. მათ შორის აღსანიშნავია ინასარიძეები, რომელთა ღვაწლითა და საფასითაც XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე შეიქმნა სეტის კარედი ხატი;<sup>181</sup> ვარდანისძე-

<sup>177</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები. VII, გვ. 166.

<sup>178</sup> იქვე, გვ. 172.

<sup>179</sup> ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 33.

<sup>180</sup> შ. მესხია, შიდაპოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა, გვ. 116 და შემდ.

<sup>181</sup> ნ. კვიციანიძე, სეტის ტრიპტიქის ქტიტორული წარწერა, *მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია*, 1989, №1, გვ. 128-137: „ქ. ყო(ე)ლად წ(მიდა)ო დედოფალო ლ(მრ)თისმშობელო, რომელსა გ(ეტ)ვირთა ზე(ცი)თა ლ(მერ)თი, მეოხ ეყენით წ(ინა)ში ძისა და ლ(მრ)თისა ჩუენისა სულსა ვახტანგისა და მარინეს(ა), რ(ომე)ლთ[ათვის] შეამკეს შე(ი)ლთა მათთა ხატი შენი ვარდან ინასარიძემა და მმ(ათა) მისთა ინასარს, საღირს, ნიკ(ო)ლ(ო)ზს და ბეშქენს შე(უ)ნდვენ ლ(მერ)თამნ.“

ები. რომელთა წარმომადგენლებიც ტრადიციულად მეფის კურთხევის მონაწილეები იყვნენ.<sup>182</sup>

მასალები ერისთავთ-ერისთავ ვარდანის გაიგივებისათვის, დასახელებულ პერიოდში, ერთი შეხედვით, საკმოდ ფართოა. მიუხედავად ამისა, ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებისას, დასახელებულთაგან უმეტეს საგვარეულოთა წარმომადგენლის ქოლაგირის ფრესკაზე გამოსახვის შესაძლებლობა ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა. ამასთანავე, იერისპირა გარეჯის ერთ-ერთ გამოქვაბულ მონასტერთან მიმართებით ყველაზე უფრო მოსალოდნელი ჩანს ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ჰერეთის მფლობელთა – **კოლონკელისძეების** წარმომადგენლის პორტრეტის არსებობა.

ჰერეთის ერისთავი, **ვარდან კოლონკელისძე** მემბტიანის ცნობით, იყო “კაცი დღითა მომწუსებული და ბრძოლათა შინა ძლიერი და გამოცდილი;” შესაბამისად მისი სახლი XII საუკუნის მეორე ნახევარში დაწინაურებულ წარჩინებულ საგვარეულოთა შორის არის საგულგებელი.<sup>183</sup> სამეფო კარისადმი განუხრელი ერთგულებითა და თანადგომით არც ეს საგვარეულო სახლი უნდა ყოფილიყო გამორჩეული: კარგადაა ცნობილი 1163-1164 წწ. ელდიგუზ ათაბაგის წინააღმდეგ გიორგი III-ის ლაშქრობის ამბავი, როდესაც ვარდან კოლონკელისძისა და სხვა დიდებულთა არასწორი მოქმედებით (ისტორიკოსის მტკიცებით – შურითა და მტრობით) ქართველთა ლაშქარი დამარცხდა.<sup>184</sup> მოგვიანოდ, 1177-1178 წწ. ვარდანის ერთ-ერთი ვაჟი, ივანე კოლონკელისძე ორბელთა აჯანყების მონაწილე იყო და შეთქმულთა დამარცხების შემდეგ შეპყრობილ იქნა.<sup>185</sup> მიუხედავად ამისა, კოლონკელისძეებს, როგორც ჩანს, უნდა ასცდნოდა მძიმე სასჯელი; მეტიც – ეს სახლი, თუ უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არა, თამარის მეფობის პირველ წლებში მაინც, კვლავ ინარჩუნებდა ჰერეთის საერისთავოს და, როგორც ჩანს, უზენაეს ხელისუფალთა კეთილგანწყობითაც სარგებლობდა. თუმცადა, ამგვარი ვითარება დიდხანს აღარ უნდა გაგრძელებულიყო – 1190-იანი წლებისათვის ჰერეთი გრიგოლისძეების ხელში გადავიდა; სამეფოს სხვადასხვა კუთხის იმჟამინდელ მმართველთა შორის დასახელებულია ასათ გრიგოლისძე, *“რომელმან მისტაცა მილავრობით და მორვეით საღირს კოლონკელის ძესა და მცირედ-ჟამ ქონებასა შინა იაჯა არიშიანის ადგილსა დაჯდომა სასთაულითა, და ჯელთუდვა შეიღსა მისსა გრიგოლს ჰერეთის ერისთაობა”*.<sup>186</sup> საფიქრებელია, რომ სახელმძღვანელო დიდებულის სახლი კვლავ ინარჩუნებდა სათანადო

<sup>182</sup> ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 27.

<sup>183</sup> იქვე, გვ. 12.

<sup>184</sup> სტეფანოს ორბელიანის “ცხოვრება ორბელიანთა”-ს ძველი ქართული თარგმანები. ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბილისი, 1978, გვ. 42-43; ლ. დაკლიანიძე, მხითარ გოში, “აღბანეთის ქრონიკა”, *ქართული წყაროთმცოდნეობა*, II, 1968, გვ. 49; შდრ. გ. ჯაფარიძე, საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო XII-XIII ს-ის პირველ ნახევარში, თბილისი, 1995, გვ. 106-108.

<sup>185</sup> ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 19.

<sup>186</sup> ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 34; ნ. შოშიაშვილი, სახელმწიფო სამართლის ისტორიის საკითხები, *ციხკარი*, 1965, №9, გვ. 143; შ. მესხია, შიდაპოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა, გვ. 120.

პატივს სამეფო კარზე, ამასთან კელაენდებურად განაგრძობდა ზრუნვას მცირე ხნის წინ მის მიერ ხელდებულ ქვეყანასთან მჭიდროდ დაკავშირებულ სასულიერო კერებზე, რომელთა შორისაც გარეჯს XII საუკუნის მიწურულისათვის ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უნდა სჭეროდა. ამასთანავე, საკტიტორო რიგის რეგლამენტაციისას ერთ-ერთი განმსაზღვრელი შეიძლება იყოს ყოფილიყო ათწლეულთა მანძილზე არსებული ურთიერთობებიც, რომლებიც სავსებით შეიძლება აქონოდათ სამეფო კარის ერთგულ მწიგნობართუხუცესსა და ადგილობრივ დიდებულს.

კოლონკელისძეთა საგვარეულოს უნდა დაუკავშირდეს ქოლაგირის საკტიტორო რიგში ჩართული კიდევ ორი პორტრეტი. ესაა ეკედერის ჩრდილოეთი კედლის დასავლეთ კუთხეში გამოსახული პირები – ბეშქენ, ერისთავთ-ერისთავის ვარდანის ძე, აგრეთვე მის წინ მდგომი სასულიერო პირი, ისიც ვარდანის ძე. სადავო არ უნდა იყოს, რომ აქ კვლავ კოლონკელისძეთა სახლის წარმომადგენლები გამოუსახაეთ, როგორც ჩანს, ვარდან ერისთავთ-ერისთავის ძეები. მათგან წინა სამდევლო პატივითაა გამორჩეული (ამაზე მეტყველებს მისი ოღარი); აქედან გამომდინარე, სავსებით ბუნებრივია მისი უპირატესი ადგილიც კტიტოროთა რიგში. იმ მწივრ მასალებში, რომლებიც კოლონკელისძეების შესახებ მოიპოვება, სასულიერო პირი არ ჩანს. ქოლაგირის ფრესკა ამ მხრივ დამატებითი პირველწყაროს მნიშვნელობას იძენს.

ამრიგად, ეკლესიის ჩრდილოეთი ეკედერის ჩრდილოეთი კედლის ფრესკაზე ქვეყნის უპირველესი ვაზირის, ვაზირთუხუცესისა და მწიგნობართუხუცესის წინ წარმოდგენილი კტიტორი პირების ერისთავი ვარდან კოლონკელისძე უნდა იყოს, სამხრეთი კედლის დასავლეთ ნახევარზე კი მისი ორი ძე უნდა გამოესახათ. ამით ხაზი უნდა გასმოდეს არამარტო კოლონკელისძეთა გამორჩეულ ღვაწლსა და უპირატეს მდგომარეობას მათდამი ხელდებულ ქვეყანაში, არამედ ტრადიციულად ახლო ურთიერთობასაც საქართველოს სამეფო კართან ჯერ კიდევ მეფე დემეტრე I-ის დროიდან მოკიდებულად.

სახელი ვარდან როგორც თავად ერისთავთ-ერისთავის, ისე მისი ძეების პორტრეტების განმარტებით წარწერებში რამდენადმე უჩვეულოდაა დაქარაზებული: ვნ – ვ(არდა)ნ და ვნისი – ვ(არდა)ნისი. როგორც წესი, ეს სახელი ეპიგრაფიკულ ძეგლებსა და ხელნაწერთა მინაწერებში ძირითადად ასეა დაქარაზებული – ვ(არდა)ნი,<sup>187</sup> ან ვ(არდა)ნი,<sup>188</sup> თუმცა კი გვხვდება ქოლაგირის ფრესკული წარწერის მსგავსი შემთხვევაც.<sup>189</sup>

წყაროებიდან ცნობილია ვარდან კოლონკელისძის ორი ძე – ივანე და საღირი. მათგან საღირი კოლონკელისძეთა სახლში საგვარეულო

<sup>187</sup> იხ. ვარდან ბაკურ ერისთავთ-ერისთავის ძის საკტიტორო წარწერა ვედრების ხატზე ფაყის ეკლესიიდან (X-XI სს.); ჯინჯის და ვარდან ერისთავების წარწერა ლაბეჯინის ღმრთისმშობლის ხატზე (XI ს.); წარწერა წმ. იოანე ნათლისმცემლის ხატზე უბიანის ეკლესიიდან (XII-XIII სს.); მ. ახალაშვილი, X-XV სს. წარწერები სვანეთის ჭედური ხელოვნების ძეგლებზე, თბილისი, 1987, გვ. 15, 16, 37, სურ. 9, 10, 32;

<sup>188</sup> ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, გვ. 96, №187.

<sup>189</sup> იხ. მაგალითად, სვანთა ერისთავის და პროტოსტრატორის იოვანე ვარდანისძის საკტიტორო წარწერა ლაბეჯინის ეკლესიის წმ. გიორგის ხატზე (XII ს.) – “მე, ი(ვანე) ვ(არდა)ნ(ის) ძე(მან), ს(უან)თ(ა) ე(რისთავ)ან, მ(ე)-

სახელად ჩანს. ქოლაგირის ფრესკის მიხედვით ცნობილი ხდება ვარდან ერისთავთ-ერისთავის მესამე ძეც – ბეშქენი. ეს სახელი ფართოდ იყო გავრცელებული ასწლეულთა მანძილზე და იგი ქართველ დიდებულთა საგვარეულოების წარმომადგენლებს შორის ხშირად დასტურდება. მას ატარებენ ჯაყელების, ბოცოსძეთა, ჭალაძისძეთა, გობოძისძეთა, ვარდანისძეთა, მჭვიცისძეთა, გურკელთა წარმომადგენლები.<sup>190</sup>

საკტიტორო რიგის აღწერისას აღინიშნა, რომ ერისთავთ-ერისთავ ვარდანის ძეთაგან პირველი, სასულიერო პირი, მოხატულობაში წარმოდგენილ სხვა იერარქთაგან განსხვავებული ატრიბუტით გამოუსახაეთ: კტიტორის თხემს ფარავს შავი ფერის პატარა ნახევარწრიული სეგმენტი, რომელიც ახლა შავი ფერისაა (სურ. 13). ეს შესაძლებელია იყოს **ტონზურა ან სკუფია**.

ტონზურა (ბერძნ. *κουρά*, ლათ. *tonsure*, სულხან-საბასთან *კოჭიკური*) – თხემზე ნახევარწრიულად ამოკეცილი ადგილი – ადრეული ხანიდანვე უნდა დამკვიდრებულიყო ღვთისმსახურთა ერთ-ერთ ატრიბუტად.<sup>191</sup> იგი სიმბოლურად უფლის ეკლის გვირგვინს განასახიერებდა<sup>192</sup> და როგორც წესი, ბერად აღკვეცის ან მღვდლად ხელდასხმის შემდგომ ატარებდნენ.<sup>193</sup> ტონზურის არსებობას წყაროების მიხედვით უკვე პახომიოსის დროის მონასტრებში (IV ს.) გაედევნება თვალთ;<sup>194</sup> მას ქრისტიანულ აღმოსავლეთში მოგიანოდაც, ადრეული შუა საუკუნეების მანძილზეც ატარებდნენ.<sup>195</sup> ტრულის კრების ერთ-ერთი (33-ე) კანონით, ამბიონიდან ქადაგება აეკრძალა მათ, ვისაც არ ჰქონდა ტონზურა. ტონზურით ზოგ შემთხვევაში გამოსახავენ ზოგიერთ მოციქულს - წმ. პეტრეს, წმ. ბართლომეს, აგრეთვე წმ. ლუკა მახარებელს; იგი ხშირად დასტურდება მღვდელთმთავართა გამოსახულებებზეც (წმ. დიონისე არეოპაგელი,

ჰურგლეთოუხუცესმან და პრ(ოტ)ოსტ(რატ)ორმან მოეჭყლე ხ(ა)ტი ესე წ(მიდ)ისა გ(იორგ)ისა მთ(ა)ე(ა)რმ(ო)წამისა და დავ(ა)ს(უე)ნე ს(ა)უდ(ა)რსა შ(ინ)ა სონ-მ(ი)ს(ა)სა .” შდრ. გ. ნუბინაშვილი, ქართული ოქრომჭკდლობა VIII-XVIII საუკუნეებისა, თბილისი, 1957, ტაბ. 56; მ. ახალაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 32.

<sup>191</sup> ნ. ვანაძე, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, როგორც საისტორიო წყარო, თბილისი, 1975, გვ. 99-102.

<sup>192</sup> F. Cabrol, H. Leclercq, Dictionnaire d'archéologie chrétienne et de liturgie, t. XV/2, Paris, 1953, col. 2430-2435.

<sup>193</sup> PG 87, 39-85; Н. Ф. Красносельцев, О древних литургических толкованиях. *Летопись Историко-филологического общества при Императорском Новороссийском Университете, IV, Византийское отделение*, 2, Одесса, 1894, с. 29, 45.

<sup>194</sup> Н. В. Покровский, *Древняя Софийская ризница в Новгороде*, Москва, 1914, с. 109-114; Α. Αλυσσας, Η κουρα των κληρικών και μοναχών κατά το κανονικόν δικαίον της ορθοδόξου εκκλησίας, *Επετηρίς Ετερίας του Βυζαντινου Σπουδων*, 23, 1953, σελ. 233-239.

<sup>195</sup> თუმცაღა, როგორც ჩანს, ეს წესი იმხანად არ უნდა ყოფილიყო საყოველთაო და აუცილებელი, რამდენადაც ეგვიპტის ქრისტიანულ მონასტრების (სახელდობრ ბაუითისა და საკარას) ფრესკებზე წარმოდგენილ ღვთისმსახურთა გამოსახულებებზე იგი არ დასტურდება (J. Cledat, *Le monastère et le necropole de Bauit*, Le Caire, 1904, pl. XXIX, LI, LII, LXXXVI, LXXXVII, CIII, CV, CVIII, CX; E. Quibell, *Excavations at Saqqarah*, t. II, 1908, pl. XLIV.

<sup>196</sup> The Oxford Dictionary of Byzantium, vol. 3, New York/Oxford, 1991, p. 2093-2094.

წმ. პეტრე აღექსანდრიელი, წმ. ანთიმოს ნიკომიდიელი, წმ. ელეფთერი, წმ. ფილოთეოსი და მრავალი სხვა), აგრეთვე სასულიერო პირთა საკტიტორო პორტრეტებში.<sup>196</sup> საბოლოოდ ტონზურა დასავლურ ეკლესიაში დამკვიდრდა, თუმცა კი მას მართლმადიდებელ ეკლესიაშიც იყენებდნენ.<sup>197</sup>

ტონზურასთან დაკავშირებული მასალები ძველ ქართულ წყაროებსა და სახვითი ხელოვნების ძეგლებში შედარებით მწირია. ამ მხრივ ჩვენთვის ცნობილი ორიოდე მაგალითი წმ. ილარიონ ქართველის გამოსახულებებს უკავშირდება: ახტალის ტაძრის დასავლეთი კედლის მეორე ფენის მოხატულობაში (მისი შესრულება ივარაუდება არაუადრეს XIII საუკუნის გასულისა),<sup>198</sup> უბისის ეკლესიის ფრესკაზე (XIV საუკუნის მეორე ნახევრისა)<sup>199</sup> და სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართულ ხუთკარედ ხატზე (XIV-XV სს.)<sup>200</sup> ღირსი მამა სწორედ ამ ატრიბუტიითაა წარმოდგენილი. ორივე შემთხვევაში წმ. ილარიონის თავსაბურავი რამდენადმე თავისებურადაა გაფორმებული: იგი ოქრის ფერისაა და შავი ფერის მსხვილი წერტილები ამკობს. შესაძლოა ამგვარი გადაწყვეტა

<sup>196</sup> შდრ. თუნდაც ადრეული მოზაიკები რომში: Santa Agnese Fouri le Mura - 625 წ., San Stefano Rotondo - VI ს., San Lorenzo Fuori le Mura - VI ს. ბოლო მეოთხედი, San Giovanni Fuori le Mura - VII ს. მეორე მეოთხედი, იოანე VIII-ს კაპელა წმ. პეტრეს ძველ ტაძარში - VIII ს. დასაწყისი, წმ. ქრისტოფინის ეკლესია - 731-741 წწ., Santa Maria in Domnica - 818 წ., წმ. კლემენტის ეკლესია - 847-855 წწ., წმ. პაულუს ბაზილიკა - 891-896 წწ.; რაეენაში: სან ვიტალე - VI საუკუნის ძირეული ნახევარი; მილანში: სან ამბროჯიო V ს. (J. Wilpert, Die Romischen Mosaiken und Malereien der Kirchlichen Bauten vom IV bis XIII Jahrhundert, Freiburg im Breisgau, 1916, Bd. III, Taf. 84, 174, 175, 208, 210, 219, 221, 222; W. Oakeshott, Die Mosaiken von Rom, Leipzig, 1967, Taf. XX, 17, 87, 91, 102, 108; L. Von Matt, Ravenna, Kola, 1971, Abb. 73); პორენში - VI ს. (B. H. Лазарев, История Византийской живописи, II, Москва, 1986, таб. 63); გვიანი ხანის საკმაოდ მრავალრიცხოვან მაგალითთანაა აქვე შეიძლება დაგვესახელებინა რამდენიმე: ფოკიდის წმ. დუკას მონასტრის კათოლიკონი XI ს. (N. Χατζιζακ, Οσιος Δουκας, Αθήναι, 1996, π. 45), ნერედიცა - XII ს. მეორე ნახევარი (B. Мясоедов, Н. Сычев, Фрески Спаса Нередицы, Ленинград, 1925, таб. XXXIV-2). კასტორია, წმ. მეურნალთა ეკლესია - ადრეული XII ს. და წმ. სტეფანეს ეკლესია - XII-XIII სს. მიჯნა (S. Pelekanidis, M. Chatzidakis, Kastoria, Athens, 1985, pl. 13, 17); მონრეალი - 1180-1194 (B. H. Лазарев, დასახ. ნაშრომი, ტაბ. 383); ნიუგოროდის მაცხოვრის ეკლესია (1378 წ.) Г. И. Вздорнов, Фрески Феофана Грека в церкви Спаса Преображения в Новгороде, Москва, 1976, с. 168, таб. 97. საინტერესოა კიევის წმ. სოფის ტაძრის მოზაიკა (1043-1046 წწ.), რომელსაც ტონზურით წარმოდგენილია მაცხოვრის უწყველო იკონოგრაფიული ტიპი ლუთისმსახურის სახით (B. H. Лазарев, Древнерусские мозаики и фрески. XI-XV вв., Москва, 1973, с. 23, ил. 15, 16).

<sup>197</sup> ამ მხრის საგულისხმოა XIII-XIV საუკუნეების რუსულ წყაროებში დადასტურებული მასალები. შდრ. Словарь древнерусского языка (XI-XIV вв.), т. II, Москва, 1989.

<sup>198</sup> N. Thierry, Le Jugement Dernier d'Axtala. Rapport preliminaire, *Bedi Kartlisa, Revue de kartvelologie*, vol. XL, 1982, p. 147 ff.

<sup>199</sup> შ. ამირანაშვილი, უბისი, თბილისი, 1929, გვ. ტაბ. CVIII.

<sup>200</sup> B. H. Бенешевич, Памятники Синая, Археологические и палеографические, вып. I, Ленинград, 1925, таб. 23.

კეფაზე შეკეცილ თმას გადმოსცემს. მოხმობილი გამოსახულებები, როგორც ჩანს, იმაზე მიმანიშნებელი უნდა იყოს, რომ შუა საუკუნეების ქართულ სახვით ხელოვნებაში წმინდანის სწორედ ამგვარ ატრიბუტიანი იკონოგრაფიული ტიპი ჩამოყალიბდა. წმინდა მამის ცხოვრების სხვადასხვა რედაქციის მიხედვით ძნელია მსჯელობა იმის თაობაზე, თუ რა უნდა ეოფილიყო მისი სწორედ სკუფით გამოსახვის მიზეზი. წმ. ილარიონს ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მოუხდა მოღვაწეობა უცხოეთში – პალესტინაში, საბერძნეთში, ბითონიაში, რომში.<sup>201</sup> გამოსახული არ არის, რომ ღმრთისმსახურთა ეს ატრიბუტი ქართველ მოღვაწეს სწორედ იმ პერიოდში მიეღო (ამ მხრივ საგულისხმო უნდა იყოს რომაულ საეკლესიო პრაქტიკაში ფეხმოკიდებული ტრადიციის სკუფიას ტარებისა).

XIII საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული, იერუსალიმში მოღვაწე ქართველებზე საუბრისას უცხოელი ავტორები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ სამღვდელთ თავეზე მრგვალი ტონსურა ჰქონდათ, ხოლო ბერებს – ოთხკუთხა.<sup>202</sup> მაგალითად, XV საუკუნის 80-იანი წლები-სათვის გერმანელი პილიგრიმი ბერნარდ ფონ ბრაიდენბახი იერუსალიმის ქართული მონასტრებისა და მათი მკვიდრი ქართველი მოწესების შესახებ მიუთხრობს: “გეორგიანები ბერძნებს ქოსდევეს ყველა წესებსა და ცდომილებას, აგრეთვე წმინდანებში, რის გამოც ისინი სქიზმატები ანუ რომის ეკლესიის ურსნი არიან... მათს სამღვდელთ თავესე მრგვალი ტონსურა აქეთ, ბერებს კი ოთხკუთხედი ან კვადრატული.”<sup>203</sup> გამორიცხული არ არის, რომ ამ შემთხვევაში ავტორი ტრადიციულ სამღვდელთ თაესაბურავს, კუნკულს უნდა გულისხმობდეს. მაგრამ დაფიქრებას იწვევს ის გარემოება, რომ მსგავსი მითითება მოიპოვება სხვა ავტორებთანაც, ამასთან, როგორც აღინიშნა, მოხმობილ ცნობაზე როგორც ბევრად უფრო ადრე, XIII საუკუნის დასაწყისისათვის (თეტმარიუსი, ალბერიკ ტრუა-ფონტენელი), ისე მოგვიანოდაც, XVI-XVII საუკუნეთა მიჯნისათვის (ფრანჩესკო სურიანო, ბართოლომეო სალინაკელი, ლუდვიგ ჩუდი, ბუშე და სხვ.).<sup>204</sup> ამ წყაროების გაცნობისას უნებურად წნდება კითხვა – რატომ იყვნენ გამორჩეულნი ამგვარი თავსაბურავით იერუ-

<sup>201</sup> მ. დოლაქიძე, ილარიონ ქართველის ცხოვრების ძველი რედაქციები, თბილისი, 1974; B. Martin-Hisard, La pelegination du moine géorgien Hilarion au IXe siècle. Traduction français de la version longue de la Vie d'Hilarion, *Bedi Kartlisa, Revue de kartvelologie*, vol. XXXIX, 1981, p. 101-138.

<sup>202</sup> R. Janin, Les Géorgiens en Jerusalem, *Echos d'Orient*, 16, 1913, p. 211-212; ქართული თარგმანისათვის იხ: რ. ჯანენ, ქართველები იერუსალიმში (თარგმანი შ. ვარდიხისა), სტამბოლი, 1921, გვ. 26.

<sup>203</sup> ე. მამისთვალაშვილი, ბერნარდ ფონ ბრაიდენბახი პალესტინაში მყოფი ქართველების შესახებ, *მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია*, 1975, N3, გვ. 74-79. სათუო ჩანს ავტორის მტკიცება იმის თაობაზე, რომ გერმანელი პილიგრიმის ამ ცნობაში თმის ვარცხნილობა უნდა იგულისხმებოდეს. ამის თაობაზე მითითება იტალიელ ავტორებთან მოიპოვება (მდრ. XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ, იტალიურიდან თარგმნა, შესაქალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ე. მამისთვალაშვილმა, თბილისი, 1981, გვ. 58).

<sup>204</sup> იქვე, გვ. 79, შენ. 21.

სალიმში მოღვაწე ქართველი მოწესებები? ამ კითხვებზე პასუხის გაცემა შემდგომ კელეფას გულისხმობს.

არც სკუფიის (ბერძნ. *Σκουφία*) თაობაზე მოიპოვება ვრცელი და თანამიმდევრული ხასიათის მასალები. აღმოსავლეთის საქრისტიანოში სკუფია, მუდამ შავი ფერისა, როგორც მღვდელთმთავრის, ისე დიაკვნის ატრიბუტს წარმოადგენდა.<sup>205</sup> ყოველივე ამის ფონზე რამდენადმე უჩვეულოდაც კი ჩანს ის ფაქტი, რომ სასულიერო პირთა იმ ვრცელ რიგში, რომელიც ამჟამად არის ცნობილი მართლმადიდებლურ სახეით ხელოვნებაში, მსგავსი თავსაბურავი იშვიათად გვხვდება.<sup>206</sup> ერთეულ გამოინაკლისთა შორისაა სინას მთის წმ. ეკატერინას მონასტერში დაცული XIII საუკუნის ხატი, რომელზეც კტიტორი – სასულიერო პირი – თეთრი ფერის სკუფიით გაუსახავთ. რამდენადმე უცნაურია, რომ ხატის მხატვრულ თავისებურებათა გვერდით, სწორედ ეს გარემოება დაედო საფუძვლად დ. მურიკის მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ხატზე ქართველი მოწესე უნდა იყოს წარმოდგენილი.<sup>207</sup>

თავსაბურავის ამ ტიპთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს გვიანი ხანის ერთ-ერთ ქართულ ხელნაწერში არსებული მინაწერი, რომელიც სამეფო კარზე ტრანსპეხობისას სამღვდელოთა და ერისკაცთა დასის დასხდომის იმ წესს აღწერს, რომელიც ჯერ კიდევ კონსტანტინე დიდის დროიდან ყოფილა დამკვიდრებული. მინაწერში აღწერილია მოსკოვის ნანახი წესი, რომლის თანახმადაც “სობოროს დეკანოზი თავშიშველი მივიდოდა და კარის დეკანოზს სკუპია ეხურა (რომელი არს ჩვენებურათ არახინი) და მისაცემიც იმას უფრო მისცეს” (ხრონოგრაფი, XVIII ს., ხელნაწერთა ინსტიტუტი, S-125, ფ. 371).<sup>208</sup> ძნელი სათქმელია, რა იერარქიული საფეხურის მანევრებელი უნდა იყოს ეს თავსაბურავი ქოლაგირის მოხატულობაში. ის გარემოება, რომ კტიტორი მღვდელთმთავართა რიგშია გაერთიანებული და ოღარით წარმოდგენილი, აშკარად ჩექკელებს მის გარკვეულ იერარქიულ ხარისხზეც.


ქოლაგირის საკტიტორო პორტრეტთან დაკავშირებით სკუფიის დანიშნულების თაობაზეც გარკვევით რაიმეს მტკიცება ძნელია. ცხადი ერთია – საკტიტორო გამოსახულებათა რიგში ჩართული ეს პირი,

<sup>205</sup> Н. Бр-н, Заметка о значении названий "Скуфья" и "Камиллавка", *Христианские Чтения*, 1892, с. 474-486. ავტორის მითითებით, სკუფია ლეთისმასხურების დროსაც იხმარებოდა. ივარაუდება, რომ სწორედ სკუფია უნდა ყოფილიყო მიტრის წინასახე: თავიდან იგი ტონზურას ფარავდა. შემდგომში კი თანდათან შეიცვალა ფორმა და ჯერ კუნკულის (ბერძნ. *κάνκλαστος*), ხოლო შემდგომ მიტრის სახე მიიღო (იქვე, გვ. 478-479). სკუფიის დანიშნულების თაობაზე განსხვავებული მოსაზრება გამოთქმული აქვს ე. გოლუბინსკის (*История Русской церкви*, т. I, Москва, 1880, с. 476-478). სკუფიას გვიან ხანაში ჯილდოს მნიშვნელობაც დამკვიდრებია და ამ მხრივ იგი მხოლოდ ენქერს ჩამოუვარდუბოდა.

<sup>206</sup> Ch. Walter, *The Portrait of Jakov of Serres in London. Additional 39626. Its Place in Paleologue Manuscript Illumination*, *Зораф*, N7, 1975, p. 65-69.

<sup>207</sup> D. Mouriki, *Icons from the 12th to the 15th cc.*, in: K. Manafis ed., *Sinai. Treasures of the Monastery of Saint Catherine*, Athens, 1990, p. 115, 386, fig. 52.

<sup>208</sup> ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, S კოლექცია, ტ. I, თბილისი, ცე. 1959, გვ. 134.






ვარდან ერისთავთ-ერისთავის ერთ-ერთი ძე, XII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს განმგებელთა წრეს ეკუთვნოდა და, სავარაუდოა, რომ მაღალი სასულიერო წოდებაც უნდა ჰქონოდა.

განმარტებითი წარწერების ძლიერი ფრაგმენტულობის გამო ეკედერის მოხატულობაში გამოსახულ სხვა პირთა ვინაობის დადგენა ახლა უკვე ფაქტობრივად შეუძლებელია; მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანია თავად ფაქტი საეკლესიო იერარქთა და საერო ხელისუფალთა ერთიან დასად გაერთიანება-გამოსახვისა, მათი ინსიგნიებითა და ატრიბუტებითურთ. მართლაც, დიდებულთა შესამოსელი, ისევე როგორც მათი ინსიგნიები - ხმალი, კეერთხი, - იმაზე მეტყველებს, რომ ქოლაგირის ფრესკაზე გამოსახულთაგან ყველა უზენაეს საერო და სასულიერო ხელისუფალთა წრის წარმომადგენელია; უკეთ - ესაა ნაწილი დიდმოსხელეთა და მღვდელთმთავართა იმ ჯგუფისა, რომელიც თამარის მეფობის გარკვეული პერიოდისათვის იქნა გამორჩეული და ხელდასმული ქვეყნის მმართველობაში.

აღწერისას უკვე აღინიშნა, რომ ყველა საერო პირი ქოლაგირის ეკლესიის ფრესკაზე მეფეთა და დიდებულთათვის ტრადიციული კაბითაა წარმოდგენილი (სურ. 21). შესამოსელის ამ სახესხვაობას საქართველოში შუა საუკუნეების მთელს სივრცეზე ეხედებით და ამის თაობაზე არაერთხელ დაიწერა კიდევ: <sup>209</sup> ქოლაგირის საკტიტორო გამოსახულებებთან დაკავშირებით მხოლოდ ისღა შეიძლებოდა აღნიშნულიყო, რომ პორტრეტთა რიგში ყველა კაბა ერთი სახისაა - წელში გამოყვანილი, გვერდზე ჩახსნილი და საოლეკლით შემკული (სურ. 23). კაბის ეს ტიპი, ისევე როგორც მისი საოლეკლი სახე - "რომბების ბადეში ჩასმული რგოლები ოთხივე მხარეს სწორი გამოწვევებით" <sup>210</sup>

- საქართველოში ადრევე დამკვიდრებულ ტრადიციას გაგვახსენებს; ამ მხრივ ნიშნეულია ქოლაგირის პორტრეტების ერთი ნაწილის მსგავსება უდაბნოს მთავარი ეკლესიის, ზემო კრიხისა და ატენის სიონის საკტიტორო გამოსახულებებთან. ფრესკაზე წარმოდგენილ დიდებულთა რანგზე მეტყველებს მათი შესამოსელის შემამკობელი სამკლავეებიც - დეტალი, რომელსაც აღმოსავლური წარმოშობისად მიიჩნევენ და



სურ. 22

<sup>209</sup> ამ სახის შესამოსელის მაგალითები დღეს უკვე მრავლადაა ცნობილი ქართული ეკლესიის მხატვრობის XI-XVI საუკუნეების ძეგლებში. სახელდობრ უდაბნოს მონასტრის მთავარი ტაძრის (კახეთის ხელისუფალნი), ზემო კრიხის (რაჭის ერისთავები), ატენის სიონის (საქართველოს სამეფო სახლის წარმომადგენლები), ბოჭორმის (დავით აღმაშენებელი), ოზაანის (ხორნაბუჯის ერისთავები?), ვარძიის (რატი სურამელი), გარეჯის მრავალმთის ნათლისმცემლის მონასტრის მთავარი ტაძრის (ბაგრატ IV, დავით აღმაშენებელი, გიორგი III), ბეთანიისა და ბერთუბნის (ღაშა-გიორგი), ადიშის მაკჩვარიშის და ტყიბის (ადგილობრივი დიდებულები), ხობის (შერგილ დადიანი), საყარის, ზარზმის, ჭულეს (სამცხის ათაბაგები), ქობაირის (მხარგრძელები), სორის (ადგილობრივი მმართველები), ლეხთაგის (ჯაფარიძეები) მოხატულობებში.

<sup>210</sup> ნ. ნოფიკაშვილი, ქართული კოსტიუმი, გვ. 118, სურ. 68, 1-2.



სურ. 23

სახელისუფლო ატრიბუტიკის ერთ-ერთ ტრადიციულ ნაწილად ასახელებენ.<sup>211</sup> დღეისათვის ცნობილი მასალის საფუძველზე ლიტერატურაში სამკლავის ექვსი სახესხვაობა გამოიყოფა.<sup>212</sup> სამკლავის ის ტიპი, რომელიც ქოლაგირის მოხატულობაშია წარმოდგენილი, ყველაზე უფრო გავრცელებულთა რიგს ეკუთვნის – ესაა სამკლავე, რომლის საოლეელიც სტილიზებული კუფური წარწერით ფორმდება (სურ. 22).<sup>213</sup>

უმალღეს სამოხელეო წრისადმი კუთვნილებაზე მეტყველებს კტიტორთა თავსაბურავებიც (სურ. 24). უმეტესწილად ესაა ქვაბურა ქუდი, რომელსაც წინ განსხვავებული ფერის ფართო ანაკეცი აქვს (დ. გონაშვილის მიერ შესრულებულ ნახატზე, რომელიც ფრესკების უკეთ შემონახულობისას იქნა შესრულებული, ერისთავთ-ერისთავ ვარდანის ძის, ბეშქენის ქუდზე ქსოვილის სახის მონახაზიც კი არის დარჩენილი<sup>214</sup>).

ქუდის ეს სახესხვაობა დიდებულთა შესამოსელის ტრადიციულ და ფართოდ ფეხმოკიდებულ ნაწილად ჩანს როგორც საკტიტორო პორტრეტებზე (ვაჩიანები – ზემო კრიხში,<sup>215</sup> რატი სურამელი – ვარძი-

Т. Б. Вирсаладзе, Фресковая роспись в церкви Архангелов села Земю Крихи, გვ. 185.

<sup>212</sup> ნ. ჩოფიკაშვილი, ქართული კოსტიუმი, I, თბილისი, 1964, გვ. 107.


<sup>213</sup> საერო პირთა შესამოსელის, სახელდობრ სამკლავეთა შესამკობად ამგვარი ტიპის ორნამენტი (უკეთ – ამგვარ სახიანი ქსოვილი) აღმოსავლეთის საქრისტიანოს სხვადასხვა კუთხის სახვითი ხელოვნების ძეგლთა შორის მრავლად დასტურდება. Т. Б. Вирсаладзе, Фресковая Роспись художника Микаела Магалакели в Мацхвариши, გვ. 185, 199. შედარებით ვრცლად ამის თაობაზე იხ.: R. Nikolic, Kufische Inschrift in der Malerei der Muttergotteskirche in Studenica aus dem Jahre 1209, XVI. Internationaler Byzantinistenkongress, Akten, II-5, Wien, 1982, (Jahrbuch der Österreichischen Byzantinistik, Bd. 32), S. 177-183. XI საუკუნიდან მოყოლებული, საქართველოში ამ აღმოსავლური წარმომავლობის მოტივის პოპულარობასა და მის ფართო გავრცელებაზე საკუთრივ კედლის მხატვრობის ძეგლთა (გარეუკის უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის, ზემო კრიხის, ადიშის, მაცხვარიშის, ვარძიის, უფრო მოგვიანოს კი – მღვიმეისა და ხობის ფრესკების) გარდა დღეისათვის ჩვენამდე მოღწეულ, ეკლესია-მონასტრებსა თუ მუზეუმებში დაცულ ქსოვილთა ის ნიმუშებიც უნდა მიგვანიშნებდეს, რომლებიც სწორედ ამგვარი სახითაა გაფორმებული. იხ.: მ. კეცხოველი, ჩაჯაშის ეკლესიის ქსოვილი, *Ars Georgica*, 8-A, 1979, გვ. 197. შდრ. მისივე, შუა საუკუნეების დეკორატიული ქსოვილები ზემო სვანეთიდან, თბილისი, 1988, გვ. 53-54, ტაბ. 23, 24.

<sup>214</sup> დ. გონაშვილი, იერის ხეობაში, *სამკოთა ხელოვნება*, 1964, №2, სურ. 4.

<sup>215</sup> Т. Б. Вирсаладзе, Фресковая роспись в церкви Архангелов села Земю Крихи, ტაბ. 42-44.

აში<sup>216</sup> ორბელები – ბეთანიაში<sup>217</sup> მხარგრძელები – ქობაირის მონასტრის ჩრდილოეთ ეკედერში<sup>218</sup> შერგილ და ვამეყ დადიანები – ხობში<sup>219</sup> ხუტლუბულა – ჰალბატში<sup>220</sup>), ისე ისტორიულ-ჰაგიოგრაფიული ხასიათის ცალკეულ გამოსახულებებშიც (ასეთია, მაგალითად, რუსთავეის ერისთავის ბუბაქარის თავსაბურავი გარეჯის მრავალმთის უდაბნოს მონასტრის სამარტილეს – მოწამეთას ფრესკაზე, სადაც წმ. დავით გარეჯელის ერთ-ერთი სასწაულია წარმოდგენილი<sup>221</sup>).

თავსაბურავებზე საუბრისას გვერდს ვერ აუუღლით იმ გარემოებასაც, რომ ფრესკაზე გამოსახულ დიდებულთა ერთ ნაწილს ბეწვმოდებული ქულები ჰხურავს. საერო პირთა თავსაბურავის ამგვარი სახესხვაობა, მკე-



სურ. 24

ლევართა მითითებით, უფროდ იყო გავრცელებული როგორც აღმოსავლეთში, ისე ევროპის ქვეყნებში.<sup>222</sup> საქართველოში მისი ნიმუშები ჯერ კიდევ X საუკუნის მიწურულისა და XI საუკუნის დასაწყისის ძეგლებშია ცნობილი, სახელდობრ უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიისა<sup>223</sup> და ზემო კრიხის<sup>224</sup> მოხატულობებში. საყურადღებოა, რომ ორივე შემთხვევაში ბეწვმოდებული ქუდი დიდგვაროვანთა შესამოსელის ნაწილია.

<sup>216</sup> G. Gaprindashvili, Vardzia, Leningrad, 1971, pl. 73, 78.

<sup>217</sup> Е. Л. Привалова, Новые данные о Бетании, IV *Международный симпозиум по грузинскому искусству*, Тбилиси, 1983, с. 14-16; მისივე, Sur les Peintures murales de Betania, in M. S. Calo-Mariani ed., *L'arte georgiana dal IX al XIV secolo*, Bari, 1986, p. 153-155; A. Eastmond, დასახ. ნაშრომი, გვ. 156, 161, სურ. 78.

<sup>218</sup> ს. სხირტლაძე, გამოკვლევა ქობაირის ტაძრის მოხატულობის შესახებ, *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები*, ტ. 243, 1983, გვ. 193-197.

<sup>219</sup> Г. В. Алибегашвили, Светский портрет, ტაბ. 36, 37. A. Eastmond, *Royal Imagery in Medieval Georgia*, Pennsylvania, 1998, fig. 78.

<sup>220</sup> Н. Я. Мэпп, Фресковое изображение парона Хутлу Бути в Ахпате, ტაბ. XXI.

<sup>221</sup> გ. აბრამიშვილი, დავით გარეჯელის ციკლი ქართულ კედლის მხატვრობაში, თბილისი, 1972, გვ. 102, სურ. 18, ტაბ. XVIII.


<sup>222</sup> A. Grabar, Une couronne du debut du XIIIe siècle et les coiffures d'apparat féminins, *Cahiers Archéologiques*, VIII, 1956, p. 265-273; ნ. ჩოფიკაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 132-134.

<sup>223</sup> Г. Н. Чубинашвили, Пещерные монастыри Давид Гареджи, ტაბ. 19; გ. აბრამიშვილი, დავით გარეჯელის ციკლი ქართულ კედლის მხატვრობაში, თბილისი, 1972, გვ. 74-77. A. Eastmond, დასახ. ნაშრომი, გვ. 56, სურ. 35-37.

<sup>224</sup> Т. Б. Вирсаладзе, Роспись в Церкви Архангелов села Земо Крихи, გვ. 116-120, ტაბ. 42-44.

ამასთან ქოლაგირის მხატვრობაში დამოწმებული თავსაბურავი როგორც თავისი ფორმით, ისე ბეწვით გაფორმების პრინციპით ახლო დგას დასახელებულაგან მეორის (ზემო კრიხის) ფრესკაზე წარმოდგენილ კტიტორთა. რაჭის ერისთავთა ოჯახის წევრების, ქუდთან.

ამგვარი სახის თავსაბურავის ევროპასა და რუსეთში გავრცელების თაობაზე მსჯელობისას ა. გრაბარს მრავალი საგულისხმო ნიმუში აქვს განხილული. ავტორის აზრით, თავსაბურავის ამ სახესხვაობის დამკვიდრება რუსეთში მონღოლურ ტრადიციათა გავლენის შედეგი უნდა ყოფილიყო.<sup>225</sup> ქოლაგირის საკტიტორო პორტრეტთა შესრულების დროის გათვალისწინებით ეს ნაკლებ საეარაუდოა. მით უფრო რომ აღ-



სურ. 25

რეული ხანიდან მოკიდებული ქართული სახეითი ხელოვნების ძეგლებში მისი გავრცელების ფართო ქრონოლოგიური არეალი – XI-XIV სს. (ზემოთ მოხმობილთა გარდა ესაა ადიშის,<sup>226</sup> ფაენისის,<sup>227</sup> მაცხვარიშის,<sup>228</sup> ანისის,<sup>229</sup> ხობის,<sup>230</sup> მხერის, ტეიბის,<sup>231</sup> ბაიების,<sup>232</sup> ლაღამის<sup>233</sup> ფრესკები) უფრო მეტად ადგილობრივი ტრადიციის სიმჟარეს უნდა მოწმობდეს, ვიდრე გარკვეული დროისათვის თავსაბურავის ტარების უცხო წე-

<sup>225</sup> "C'est à l'influence d'une mode tatare qu'il faut attribuer vraisemblablement cette addition d'une bande de fourrure" (A. Grabar, დასახ. ნაშრომი, გვ. 270).

<sup>226</sup> E. A. Привалова, Павниси, Тбилиси, 1976, рис. 16.

<sup>227</sup> იქვე, გვ. 46, სურ. 15.

<sup>228</sup> Т. Б. Вирсаладзе, Фресковая роспись художника Микаела Маглакели в Мацхвариши, ფერადი ტაბულა გვ. 176 და 177 შორის.

<sup>229</sup> N. et M. Thierry, L'église Saint-Grégoire de Tigran Honenc' a Ani (1215), Paris, 1993, fig. 17, 26; pl. 25, VIII.

<sup>230</sup> Г. В. Алибегашвили, Светский портрет, გვ. 56-57, სურ. 14, ტაბ. 36. ფრესკა ამეზამდ საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში ინახება.


<sup>231</sup> სეანეთის წერილობითი ძეგლები, II, ეპიგრაფიკული ძეგლები, თბილისი, 1988, გვ. 95 (მონახაზი).

<sup>232</sup> მოხატულობა გამოქვეყნებული არ ყოფილა. ზოგადი ხასიათის ცნობები მონასტრისა და მისი ეკლესიის შესახებ იხ.: ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრული ძეგლები, თბილისი, 1957, გვ. 31-32.

<sup>233</sup> მ. ყენია, საკტიტორო პორტრეტი ზემო სეანეთის მხატვრობაში, ხელოვნება, 1991, №7, გვ. 128-135.

სის დამკვიდრებას.<sup>234</sup> ამასთან დაკავშირებით აქვე ისიც უნდა გაეხსენოთ, რომ ჩამოთვლილთაგან უადრესი ნიმუში ამგვარი თავსაბურავისა სწორედ გარეჯშია დადასტურებული და იგი ადგილობრივ დიდებულს მსურავს.<sup>235</sup>

ინსიგნიათაგან ქოლაგირის ეკლესიის საკტიტორო პორტრეტებში ხმალი და კვერთხი გვხვდება, ამასთან კტიტორთაგან ზოგს მხოლოდ ხმალი არტყია (ბეშქენ ვარდანის ძე), ან მარტოოდენ კვერთხი უპყრია (დასაველეთი კედლის სამხრეთ კუთხეში გამოსახული დიდებული); ზოგ შემთხვევაში კი გამოსახულება ორივე ინსიგნიითაა წარმოდგენილი (დიდებული მცირეწლოვანი ყრმით ჩრდილოეთი კედლის დასაველეთ კუთხეში, შუა ფიგურა დასაველეთ კედელზე).<sup>236</sup>



სურ. 26

ხმალი ქოლაგირის ფრესკებზე ძირითადად ერთი ტიპისაა – სწორი, ფართო, ბურთულეშებმული შავი ფერის ტემლაკით გაფორმებული ვადით (სურ. 26).<sup>237</sup> ნიშნეულია, რომ ეს ტიპი ხმლისა (სწორი, “შეკტი” ანუ “მართალი” ხმალი) ჯერ კიდევ XIII საუკუნის დასაწყისში განუდევნია მოხრილ ხმალს.<sup>238</sup> ხმლის ჩამოკიდების იმ სამი წესიდან, რომელიც

<sup>234</sup> საქართველოში ბეწემოდებული ქუდი სხვადასხვა ეპოქაში ჩანს მიღებული წერილობითი წყაროების მიხედვითაც. შდრ.: ი. ჯაფახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, III-IV, თბილისი, 1962, გვ. 129-133.

<sup>235</sup> სისრულისათვის, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქოლაგირის საკტიტორო გამოსახულებები საერთო პირთა ფეხსაცმლის – *მოგვების* საკულისხმო ნიმუშებს გვაძლევს (სურ. 25). ყველა მათგანი ფეხსაცმლის იმ ტიპს იმჟირებს, რომელიც ყვართოდ იყო გაერცვლებული X-XIV საუკუნეების საქართველოში (ნ. ჩოფიკაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 141 და შემდ.). მოგვები ქოლაგირის ფრესკებზე ყველა შემთხვევაში მაღალყელიანია (ამასთან ფეხსაცმლის ყელი ჩვეულებრივ კაბითაა დაფარული), გვერდზე ჩაყოლებული ევრტიკალური ზოლით, რომელსაც კოკს ზემოთ დიაგონალური ხაზი უერთდება. თანაგვარია გაფორმების წესიც – ყველა ფიგურაზე მოგვების ყელიდან ეშვება ბრტყელი, ბოლოში გაგანიურებული თასმები; ზოგ შემთხვევაში თასმა ორადაა გადაკეცილი (კტიტორები: ა. სამხრეთი კედლის დასაველეთ კუთხეში; ბ. დასაველეთი კედლის სამხრეთ მონაკვეთზე; გ. ყრმის ფიგურა ჩრდილოეთი კედლის დასაველეთ კუთხეში). ზოგან კი იგი ბოლოწაწვეტებულია (დიდებულის ფიგურა ჩრდილოეთი კედლის დასაველეთ კუთხეში); გვხვდება ორმაგი თასმებიც (ორი ფიგურა დასაველეთი კედლის ჩრდილოეთ ნახევარზე).

<sup>236</sup> გადაჭრით ვერაფერს ვიტყვით დასაველეთი კედლის მარჯვენა (ჩრდილოეთ) უბეში წარმოდგენილი ფიგურის შესახებ – ფრესკაზე გაირჩევა მისი კვერთხი, თუმცა გამოსახულების ძლიერი დაზიანების გამო ახლა უცნობია, მას ხმალი ერტყა თუ არა.

<sup>237</sup> ამ ტიპის ხმალზე იხ. ნ. ჩოფიკაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 60, 62.

<sup>238</sup> ი. ჯაფახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, გვ. 253. ნაშრომში აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოყვანილია ლაშა-გიორგის პორტრეტები ბეთანასა და ბერთუბანში, რომელთაგან პირველში თამარის ძეს “შეკტი” ხმალი აბია, ხოლო მეორეში – უკვე მოხრილი (შდრ. ნ. ჩოფიკაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 39).

საქართველოში უნდა ყოფილიყო გავრცელებული,<sup>239</sup> აქ გვხვდება ორი – მხარსე გადაკიდებული (“მკარილიყ”) და წელსე შემორტყმული.

ხმალი საქართველოს მეფეთა ერთ-ერთ უმთავრეს რეკალიად არის ცნობილი, თუმცა იმავდროულად იგი დიდებულთა პატივსაც წარმოადგენდა.<sup>240</sup> აღნიშნულის მოწმობად გამოდგებოდა, თუნდაც, “ხელმწიფის კარის გარიგება”, რომლისთვისაც არაერთხელ მიუმართაყთ სახელისუფლო რეკალიებთან დაკავშირებით მსჯელობისას.<sup>241</sup> ეარაუდი ხმლის, როგორც სამეფო ინსიგნიის თაობაზე, როგორც წინა, მეფედ კურთხევის ცერემონიალის იმ ნაწილს ითვალისწინებს, რომლის დროსაც ერისთავები ხმალს არტყამდნენ უზუნაეს ხელისუფალს.<sup>242</sup> რაც მთავარია, წყაროთა ჩვენებას საეხებით შეესაბამება სახვითი ხელოვნების ძეგლებში აღბეჭდილი რეალობაც. ამ მხრივ ცნობილ მაგალითთა რიცხვი დიდი არ არის – დემეტრე I-ის მეფედ კურთხევის გამოსახულების გარდა (მაცხვარიშის 1140 წლის მოხატულობაში), ესაა ხატი დაყით აღმაშენებლის პორტრეტით სინას მთის წმ. ეკატერინას მონასტრიდან.<sup>243</sup> დაყით აღმაშენებლისა და გიორგი III ფრესკული გამოსახულებები გარეჯის მრავალმთის წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტრის მთავარ ტაძარში.<sup>244</sup> აგრეთვე ლაშა გიორგის პორტრეტები ბეთანიასა<sup>245</sup> და ბერთუბანში.<sup>246</sup> სამეფო გამოსახულებების გვერდით გვხვდება დიდებულთა მიერ ამ ატრიბუტის ტარების შემთხვევებიც (გვირგვინოსანთა სამეფურიანი ჯგუფის ბოლო ფიგურა გარეჯის მრავალმთის უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის საკტიტორო რიგში,<sup>247</sup> ფაენისის მოხატულობაში წარმოდგენილი კტიტორი,<sup>248</sup> აგრეთვე შალვა ქირქიშლიანი ლაღამის ეკლესიის XIV საუკუნის მოხატულობაში<sup>249</sup>). შემოთქმულიდან გამომდინარე, არ გამოირიცხება იმის შესაძლებლობა, რომ დიდებულთა

<sup>239</sup> ი. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, გვ. 255.

<sup>240</sup> ნ. ჩოფიკაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 152-153; Т. Б. Вирсаладзе. Фресковая роспись художника Микаела Маглакели в Мацхвариши, გვ. 175-177; შდრ.: საქართველოს ეთნოგრაფია, სატურველი, თბილისი, 1964, გვ. 2 და შემდ.

<sup>241</sup> ხელმწიფის კარის გარიგება, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა. ინგლისურად თარგმნა, წინასიტყვაობა, ლექსიკონი, შენიშვნები და კომენტარები დაურთო ქ. სურგულაძემ, თბილისი, 1993, გვ. 15, 22. შდრ. Е. А. Привалова, Павниси, გვ. 52.

<sup>242</sup> მსჯელობა ამასთან დაკავშირებით იხ. თინათინ ვირსალაძის გამოკვლევაში მაცხვარიშის ეკლესიის მოხატულობის შესახებ (გვ. 175 და შემდ.).

<sup>243</sup> დ. კლდიაშვილი, სინას მთის წმ. გიორგის ხატი დაყით აღმაშენებლის პორტრეტული გამოსახულებით, *მრავალმთაყი*, XV, 1989, გვ. 130-132; მისივე, L'icône de saint Georges du Mont Sinai avec le portrait de Davit Agmasencbeli, *Revue des études géorgiennes et caucasiennes*, N5, 1989, p. 118-120.

<sup>244</sup> Z. Skhirtladze, Les portraits de l'église principale du monastère Natlismisemeli à Garedja, გვ. 14.

<sup>245</sup> Г. В. Алибегашвили, Светский портрет, სურ. 2, ტაბ. 10.

<sup>246</sup> Г. Н. Чубинашвили, Пещерные монастыри Давид Гареджи, ტაბ. 108.

<sup>247</sup> გ. აბრამიშვილი, დაყით გარეჯელის ციკლი, გვ. 74-75.

<sup>248</sup> Е. А. Привалова, Павниси, გვ. 41-42, 46-54, სურ. 5, 14.

<sup>249</sup> ნ. ჩოფიკაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 38, სურ. 25.

ის ნაწილი, რომლებიც ქოლავირის ფრესკებზე ხმლითაა წარმოდგენილი, უფრო დიდი პატივის მატარებელი უნდა ყოფილიყო; ყოველ შემთხვევაში საკტიტორო რიგში გარკვეულ რეგლამენტაციას ამ მხრივაც გაედევნება თვალში.

ძალაუფლების კიდევ ერთი ტრადიციული ატრიბუტი – კვერთხი ყველა შემთხვევაში ფაქტობრივად ერთნაირია (სურ. 6, 10, 15-17). ესაა სწორი, ვიწრო ბუნიკიანი არგანი, რომელიც უმეტესწილად დიაგონალურად მიმართული უპყრიათ ფრესკაზე წარმოდგენილ დიდებულებს (მხოლოდ ერთ შემთხვევაში, დასავლეთი კედლის სამხრეთ კუთხეში გამოსახულ კტიტორთანაა იგი ვერტიკალურად ამართული). ფერწერის დაზიანების გამო ვერაფერს ვიტყვით კვერთხის ისეთ მნიშვნელოვან დეტალზე, როგორიც მისი ზედა დაბოლოებებაა. შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით ჩანს, რომ კვერთხის ღერო ზოგ შემთხვევაში დამატებით იყო გაფორმებული – მასზე ვიწრო ყაეისფერი ზონარია დახვეული (სურ. 16, 17).<sup>250</sup>

კვერთხის სამეფო და უმაღლეს წოდებრივ დანიშნულებაზე ბევრჯერ დაწერილა.<sup>251</sup> იმ მრავალრიცხოვან წყაროთა შორის, რომელიც ამასთან დაკავშირებით შეიძლება მოგვეხმოდ, საგულისხმო ჩანს ჟამთააღმწერლის ცნობა თამარის მიერ დიდმოხელთა განწესების შესახებ, რომლის დროსაც ძველი ტრადიციის შესაბამისად ნაკურთხმა მეფე ქალმა *“უბოძა ჭიაბერსა მანდატურთ-უხუცესობა, და მისცა არგანი იქ როსა ჯელთა მისთა...”*<sup>252</sup>

განმარტებითი წარწერების დაზიანებისა და პორტრეტთა უმეტესობის იდენტიფიკაციასთან დაკავშირებული სირთულეების მიუხედავად, საკტიტორო რიგის ზემოთ განხილულ გამოსახულებათა გაიგივება შესაძლებელს ხდის გამოითქვას ვარაუდი ფერწერულ შეიკულობაში წარმოდგენილი სხვა სახეების თაობაზეც. უწინარეს ყოვლისა, ესაა ზოგადი ხასიათის დასკვნა – მეფე დემეტრეს გაზრდილი დიდულის, ერისთავთ-ერისთავ ვარდანისა და მისი ვაჟების, აგრეთვე ქვეყნის უპირველესი ვაზირის პორტრეტებთან ერთად ქოლავირის ეკლესიის მხატვრობაში, ბუნებრივია, მათ უახლოეს თანამდგომთა წრის ყველაზე გამორჩეული წარმომადგენლები უნდა გამოესახათ. სხვაგვარად რომ ითქვას, ეს სასულიერო იერარქთა და წარჩინებულ ერისკაცთა – სამეფო კარის დიდმოხელეთა და ადგილობრივ მმართველთა – ის დასია. რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა სამეფოს იმეამინდელ პოლიტიკურსა თუ საეკლესიო ცხოვრებაში, იმ დრამატულ მოკლენებში, რომლებიც სწრაფად ენაცვლებოდნენ ერთმანეთს XII-XIII საუკუნეთა

<sup>250</sup> შდრ. მსგავსად გაფორმებული ლაბარუმი იფრარის მთავარანგელოზის ხატზე. Art and Architecture in Medieval Georgia, Louvain-la-Neuve, 1980, fig. 118.

<sup>251</sup> ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ტ. II, ნაკვ. 2, თბილისი, 1929, გვ. 205-206; A. Grabar, L'empereur dans l'art byzantin, Paris, 1936, p. 32-33, 155-156 ff.; ქართულ მასალასთან დაკავშირებით იხ.: ს. ბარნაეული, ქართული დროშები, თბილისი, 1953, გვ. 13-14; ნ. ჩოფიკაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 149-152; W. Djobadze, The Donor Reliefs and the Date of the Church at Oski, Byzantinische Zeitschrift, 69. Bd., 1976, p. 55; A. Кладшвили, Ростпись западного придела церкви Анаанури в Вардзиа. Ктигорский портрет, კრებულში: საქართველოს მღვიმეები და გამოკვლევები, 12, თბილისი, 1988, გვ. 62, 63, სურ. 2-3.

<sup>252</sup> ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 33.

მიჯნის საქართველოში. როგორც ჩანს, ფრესკაზე უნდა გამოესახათ წარმომადგენლები იმ ურცხული დახისა, რომელიც დაძაბული შიდაპოლიტიკური ვითარების პირობებში სამეფო კარის საიმედო დასაყრდენს წარმოადგენდა და მრავალმხრივ შეუწყო ხელი თამარის ხელისუფლების განმტკიცებას. წინააღმდეგობათა სწრაფი ურთიერთმონაცვლეობის პირობებში ამ დახის შემადგენლობა ხშირად იცვლებოდა – ერთგულთა ნაწილი განდგომილთა ბანაკში (შემდგომ – დამარცხებულთა და დასჯილთა რიგში) აღმონდებოდა ხოლმე, ნაწილი კი, ადრე თავად მეფისაგან “შეწყალებული,” ეწირებოდა გამწვანებულ დაპირისპირებას. მიუხედავად ამისა, გიორგი III-ისა და თამარის გარშემო იყვნენ ისეთებიც, რომლებიც მუდამ რჩებოდნენ სამეფო კარის გვერდით, ანდა უფრო მოგვიანოდ დანიშნულად ადგილი ამ წრეში. წყაროების მიხედვით, 1180-90-იანი წლების მიჯნისათვის ე.ი. წინააღმდეგობათა დაძვლებისა და მეფის ძალაუფლების საბოლოო განმტკიცების პირობებში მწიგნობართუხუცეს ანტონ გლონისთავისძის გარდა, თამარის გარს შემოკრებილ რჩეულთა შორის ჩანან: ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი ზაქარია მხარგრძელი.<sup>253</sup> მსახურთუხუცესი ივანე მხარგრძელი,<sup>254</sup> ვარამ გაგელი და მისი ძეები – ზაქარია და სარგისი,<sup>255</sup> მანდატურთუხუცესი ჭიაბერი.<sup>256</sup> პერეთის ერისთავი გრიგოლი,<sup>257</sup> ვახტანგ ხაჩნელი,<sup>258</sup> შალვა ახალციხელი,<sup>259</sup> ივანე ახალციხელი,<sup>260</sup> თაყაიდან თმოგველი,<sup>261</sup> ზაქარია ფანასკერტელი,<sup>262</sup> ივანე-ყვარყვარე (ციხისჯვარელი).<sup>263</sup> გასათვალისწინებელია ისიც, რომ ადრევე ბოძებულ წყალობას ინარჩუნებდა მეფის ერთგულ ადგილობრივ ერისთავთა ერთი ნაწილიც, (მათ 1180-იანი წლების მეორე ნახევრის მოვლენებთან დაკავშირებით ჩამოთვლის შემატინაე).<sup>264</sup> აქ შეიძლება მოვლავის – სახელის მოხმობა, რომლებიც “შეიწყალეს”, “დალოცეს” და “აჩინეს” მეფე-ქალმა და მისმა თანამეცხედრემ; მათ შორის – წირქუალები, ზარტიბის ძენი, გრიგოლის ძენი, ჭიაბერის ძენი, მახატლის ძენი, თორდას ძენი; აღსანიშნავია, რომ იმაჟმინდელი ძნელბედობისა

<sup>253</sup> ისტორიანი და აზმანი შარავენდელთანი, გვ. 55, 60, 67, 81-83, 94-97, 100, 103, 104 და შემდ.; ბასილი ეზოსმოძღვარი, გვ. 123, 127.

<sup>254</sup> ისტორიანი და აზმანი შარავენდელთანი, გვ. 54, 60, 67, 77, 81, 83, 96, 100, 103; ბასილი ეზოსმოძღვარი, გვ. 123, 127.

<sup>255</sup> ისტორიანი და აზმანი შარავენდელთანი, გვ. 54, 55, 96, 103, 110; ბასილი ეზოსმოძღვარი, გვ. 129.

<sup>256</sup> ისტორიანი და აზმანი შარავენდელთანი, გვ. 53, 55, 73, 95; ბასილი ეზოსმოძღვარი, გვ. 123.

<sup>257</sup> ისტორიანი და აზმანი შარავენდელთანი, გვ. 67.

<sup>258</sup> იქვე, გვ. 69.

<sup>259</sup> იქვე, გვ. 95, 96; ბასილი ეზოსმოძღვარი, გვ. 129, 137.

<sup>260</sup> ისტორიანი და აზმანი შარავენდელთანი, გვ. 92, 96; ბასილი ეზოს-

მოძღვარი, გვ. 137.

<sup>261</sup> ისტორიანი და აზმანი შარავენდელთანი, გვ. 96, 105.

<sup>262</sup> იქვე, გვ. 55.

<sup>263</sup> იქვე, გვ. 49.

<sup>264</sup> იქვე, გვ. 33-34.



სამეფო კარის გვერდით მდგომთა შორის გამოირჩეოდნენ *“ქართველნი, სომხითარნი, თორელები, მესხნი, ტაოელები”*; განსაკუთრებით კი – *“ქ ერ ნ ი დ ა კ ა ხ ნ ი დ ი დ ე ბ უ ლ ნ ი და აზნაურნი თანადართვისთა ყიფსაყთასთა და შეყრილთა ქართლისა ერისთავისათა და ქართველთა დიდებულთა.”*<sup>265</sup> ყოველივე ამას ქოლაგირის საქტიტორო რიგთან დაკავშირებით შემთხვევით არ გაეხსნა ხაზი: დასახელებული პერსონიდან მოყოლებული სწორედ ისინი, ახლად დაწინაურებული ქართველი, კახელი, ჰერი და სომხითარი დიდებულები, ხდებიან, ნ. ბერძენიშვილის თქმით, *“საქართველოს აქტიური პოლიტიკის შემოქმედ-მატარებელნი.”*

და მაინც, ქოლაგირის ეკლესიის მოხატულობასთან დაკავშირებით ამ ნუსხაში უთუოდ უნდა გამოიყოს მახატლისძეების სახლი. იმ საერისთავოთა შორის, რომლებიც საგრძნობ როლს თამაშობდნენ გაერთიანებული ქართული სახელმწიფოს ცხოვრებაში, ტრადიციულად გამოირჩეოდა ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხის მომკვეთი ხორნაბუჯის საერისთავო. მის ისტორიას ხანგრძლივი დროის მანძილზე გაედევნება თვალთ. დ. მუსხელიშვილის მითითებით *“საქართველოს სამხრეთ პროვინციებს და, კერძოდ, კამბეჩოვანს და მის გამგებლებს ფრიად საპასუხისმგებლო მისია ეკისრებოდათ, ერთი მხრივ, ქრისტიანული საქართველოს დაცვისა აგრესიული მამადიანური გარემოცვისაგან. ხოლო მეორე მხრივ, პირუკუ – ინიციატივისა შეტევისათვის.”*<sup>266</sup> საქართველოს სასლდერების დაცვაში მონაპირე ერისთავის მნიშვნელობასთან დაკავშირებით აეტორს მოჰყავს თამარ მეფის მეორე ისტორიკოსის სიტყვები: *“მონაპირეთა მონახიან საქმე, ანუ ციხე ასაღებელი, ანუ თურქმანი შემოდგომილი, ანუ ქალაქი განსატეხელი, ანუ ქვეყანა მოსარბეველი, მოაჯსენიან თამარს და მან გასინჯის საქმე იგი და გამოიკითხის. უკეთუ ღირს იყვის შეყარს ლაშქართასა, უბრძანის ზაქარიასა და ივანეს და შეყარნიან ლაშქარნი.”*<sup>267</sup> უდავოა, რომ მონაპირე საერისთავოებისა და მათი მმართველების აქტიურობაზე, (ვენტრალური ხელისუფლებისადმი მათს ერთგულებაზე, დიდად იყო დამოკიდებული ქვეყანაში სიმშვიდისა და კეთილდღეობის განმტკიცება. წარმატებები საგარეო ურთიერთობათა სფეროში.<sup>268</sup> შესაბამისად, მონაპირე ერისთავები ტრადიციულად მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

XII საუკუნის მეორე ნახევრისათვის ამ მხარეში ხორნაბუჯის საერისთავოს მმართველი მახატლისძეთა გვარი წინაურდები.<sup>269</sup> (შდრ.

<sup>265</sup> იქვე, გვ. 53.

<sup>266</sup> დ. მუსხელიშვილი, ქიზიყის ძეგლი ისტორია, გვ. 108.

<sup>267</sup> ბასილი ეზოსმოძღვარი, გვ. 130.

<sup>268</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, გვ. 224-228. სხვაგან ნ. ბერძენიშვილი მიუთითებს: *“დამახასიათებელია საქართველოს მონაპირეთა ვინაობა... ესენი ხომ ყველაზე აქტიური პოლიტიკური მოღვაწენია და მათ შორის არც ერთი კაცი არ ჩანს დასავლეთ საქართველოდან”* (საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბილისი, 190, გვ. 169).

<sup>269</sup> დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ტ. I, თბილისი, 1977, გვ. 120-121; თ. პაპუაშვილი, პერეთის ისტორიის საკითხები, თბილისი, 1970, გვ. 281, 292-293, 296-297.

ბასილი ეზოსმოდგერის მითითება: „*ქუემით ნაპირის კერძ გრივოლისძენი და უფროსდა ტბელი და მაჯატლისძენი მონაპირეობდეს*“<sup>270</sup>). ეს სწორედ ის ძველმოსილი სახლია, „რომლისა შიშითა განძის და ბარდაავს ერმა მცირე კერ აუტირდებოდა დედასა, და ვერცა თურქნი იორის პირსა და მტკერის პირსა საძოვარსა აწყენდეს.“<sup>271</sup> ამ გეარს კამბეჩოვანის ბაგრატიონთა გვერდითა ან რომელიმე უმცროს შტოს წარმომადგენლებად თვლიან.<sup>272</sup>

სხვა წინაპირობებთან ერთად, მახატლისძეთა განსაკუთრებული დაწინაურების საქმეში არსებითი მნიშვნელობისა უნდა ყოფილიყო თამარის პირველი ქმრის საქართველოში გამოლაშქრებასთან დაკავშირებული დრამატული მოვლენები. 1193 წელს განძიდან მრავალრიცხოვანი მარბიელი ლაშქრით ხელმეორედ შემოჭრილ იური ანდრიას ძეს სწორედ ხორნაბუჯის ერისთავი, საღირ მახატლისძე დაუხედა თავის სამ ვაჟთან ერთად, შედარებით მცირერიცხოვანი ჯარით, დაამარცხა და უკუაქცია იგი: „*შემყრელი ლაშქართა განძისა და არანისათა მოვიდა ქუეყანასა კამბეჩანისასა და შიგნით მინდორი მოარბია, და აღიღო სიმრავლე ტყვსა და ნატყუენავისა. მაშინ ხორნაბუჯისა პატრონიან საღირ მახატლის ძემან ცნა ესე და შეიყარა მცირედიითა ლაშქრითა და მიეწია სამითა შეილთითა წამებად თავისა. არა თუ ორნი ერთისათვის ლაშქრობდეს, და ათნი ერთისათვის, და ოცნი ორთათვის; გარნა მანვე სეკემან და სიმართლემან თამარისმან დასცა რისხვა ღმრთისა უხილაყი და ვითარცა გედუონისგან გასმიეს, მცირედნი მიეწივნეს და გააქცვივნეს. სამოყარნეს და დაცოცნეს, ვინა რუსი ძლით-სამე გარდაიხევენა.*“<sup>273</sup> მართალია, ბრძოლა აჯანყებულთა წინააღმდეგ ადრეც წარმატებით წარიმართა, მაგრამ ამ გამარჯვებას, როგორც ჩანს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა – კიდევ ერთი საფრთხე, რომელიც თამარს ყოფილი ქმრისაგან და მის მიმხრე დიდებულთაგან ელოდა, საბოლოოდ იქნა უკუგდებული. რაც მთავარია, მრავალწლიან წინააღმდეგობათა შემდგომ ქვეყანაში გარკვეული ხნით დაისადგურა მშვიდობამ, რაც სამეფოს შემდგომი წარმატებების საწინდარი გახდა – „*შეიქმნა მშვიდობა, სიხარული და ერთობა, რომელი არაოდეს სადა ვის უხილაყს.*“<sup>274</sup>

ქოლაგირის მოხატულობის დაზიანებამ შეუძლებელი გახადა საკტიტორო პორტრეტების ერთი ნაწილის სავარაუდო იდენტიფიკაციის

<sup>270</sup> ბასილი ეზოსმოდგერი, გვ. 130.

<sup>271</sup> იქვე.

<sup>272</sup> ვ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, ტ. I, თბილისი, 1963, გვ. 166-168, 602-603; დ. მუსხელიშვილი, კახეთ-აქრეთის პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული III, გვ. 96-98.

<sup>273</sup> ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 61.

<sup>274</sup> იქვე, გვ. 54. მახატლისძეთა გამოსახულებების არსებობას ეკატერინე პრივალოვა ვარაუდობს ოზანის ეკლესიის მოხატულობის იმ ფენაზე, რომელიც XII საუკუნის მეორე ნახევარში უნდა იყოს შესრულებული (Е. Привалова, Роспись церкви "Вознесения" – Амаглеба в Озани, *Ars Georgica*, 10-A, 1987, с. 148-149). კრატორთა იქ წარმოდგენილ პორტრეტებს განმარტებითი წარწერები არ შეეძინა. ამის გამო გამოსახულებათა გაიგივებისას გათვალისწინებული იქნა ოზანის სიახლოვე ხორნაბუჯთან, რომლის მფლობელებიც დასახელებული პერიოდისათვის სწორედ მახატლისძეები იყვნენ.

შესაძლებლობაც კი. მიუხედავად ამისა, ნათელია, რომ ტაძრის ჩრდილოეთი ეკედერის ფრესკაზე წარმოდგენილ პირთა სახელები, პირველყოფლისა, ზემოთ დასახელებულ დიდმოხელეთა, ისევე როგორც ადგილობრივ ქვეყნის გამრიგეთა შორის უნდა იყოს საძიებელი.

ფრესკაზე მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის წარმოდგენის ფაქტი და განმარტებით წარწერაში ხაზგასმულად წარმოჩენილი მისი ტიტული - ეპისკოპოსი, გარკვეულ საფუძველს ქმნის იმის საკარაულოდ, რომ ქოლაგირის ეკლესიის ჩრდილოეთ ეკედერში საეპისკოპოსო შეიძლება ყოფილიყო წარმოდგენილი. ეს რომ ასე არაა, თუნდაც იქიდან ჩანს, რომ მოხატულობაში საქვეყნოდ გამრიგე დიდმოხელეების, ერისთავთ-ერისთავების გვერდით სასულიერო იერარქთა სახეებიც იქნა ჩართული. ეს გარემოება, თავის მხრივ, გულისხმობს წარჩინებულთა ბევრად უფრო ფართო წრეს, რომელიც აშკარად უნდა სცილდებოდეს სამეფისკარო დასაც კი.

ზემოთ განხილულ საკითხებთან დაკავშირებით მსჯელობისას უნებურად გაცვა პასუხი კითხვას, რომელიც ქოლაგირის ფრესკაზე კტიტორთა ასეთი ვრცელი რიგის გამოსახვას უკავშირდება. ამგვარი მოვლენა - საკტიტორო გამოსახულებების რიცხოვნობა ზრდა - საზოგადოდ არის დამახასიათებელი ქართული ეკლესიის მხატვრობისათვის, ოღონდაც იგი რამდენადმე უფრო გვიან, XIV-XV საუკუნეებიდან მოკიდებული იქნეს თავს და მას სამეფო-სამთავროებად დაშლილ ქვეყანაში თავისი წანამძღვრები აქონდა. ადრეულ ხანაში კტიტორთა სახეების მრავალრიცხოვანება ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ბევრად უფრო რთულ, ამასთან ურთიერთისაგან საესკებით განსხვავებული წანაპირობების არსებობას უნდა გულისხმობდეს. ამგვარი შემთხვევის ერთ-ერთი საგულისხმო მაგალითია ქოლაგირიც: აშკარაა, რომ გამოქვაბული ეკლესიის ჩრდილოეთი ეკედერის მოხატულობაში წარმოდგენილ იქნა თანამდგომთა მთელი დასი; ეს, როგორც ჩანს, ნაწილია დიდმოხელეთა, ერისთავთა და სასულიერო იერარქთა იმ ჯგუფისა, რომლის საბოლოო გამორჩევაც XII საუკუნის მიწურულის მოვლენების - სამეფო კარის მოწინააღმდეგეთა საბოლოო დამარცხების, ცამეტწლიანი პოლიტიკური მოძრაობის დასრულებისა და ხელისუფლების სრული გადახალისების - კვალად უნდა მომხდარიყო. ეს ის დრო იყო, როდესაც "ძალთა წონასწორობა დამყარდა და ფეოდალურ დაჯგუფებებს თითოეულს მისი შესაფერისი ადგილი მიეჩინა. და თუ მეფის "ერთგულები" აღმოჩნდნენ პირველ რიგში (ესენი იყვნენ აღმოსავლეთ საქართველოს ფეოდალები) ეს იმიტომ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ეკონომიური და პოლიტიკური უპირატესობა ფაქტი იყო და საქართველოს მომავალიც აქეთ ეწეოდა ქვეყანას."<sup>275</sup>

ქოლაგირის მოხატულობაში ამ მხრივ თავიჩენილ თავისებურებასე ყურადღების გამახვილებისა და მისი ახსნის მცდელობისას თავისთავად წამოიჭრება გარეჯის სხვა მოხატულობებში კტიტორთა სახეების უწყველო მრავალრიცხოვანების ახსნის აუცილებლობაც. აშკარაა, რომ ყოველ ცალკეულ შემთხვევას თავისი წინაპირობები აქონდა და ყოველივე ამაზე ამომწურავი პასუხის გაცემა სამომავლო კვლევისას თუ გახდება

<sup>275</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, გვ. 173.

შესაძლებელი. აქ მხოლოდ შეიძლება მოკლედ აღგვეჩინოთ მათ შესახებ: უდაბნოს მონასტრის მთავარი ტაძრის მოხატულობაში ადგილობრივ მმართველთა ორი დასი იქნა წარმოდგენილი. ტაძრის ჩრდილოეთი კედლის პირველ (წინა) ჯგუფში, როგორც ჩანს, გაერთიანდა კახეთის სამეფოს იმპამინდელ უზენაეს ხელისუფალთა პორტრეტები (მოხატულობის შესრულების პერიოდის გათვალისწინებით გამორიცხული არ არის, რომ მათ კვირიკე III ედგათ სათავეში); მეორე (მარცხენა) ჯგუფს უთუოდ მათი ქვეშევრდომების – კუხეთის დიდებულთა სახლის წარმომადგენელთა (იმავდროულად ეკლესიისა და მისი მოხატულობის უშუალო მომგებელთა) გამოსახულებები ქმნის. შესაბამისად, კტიტორთა ასეთი ვრცელი დასის წარმოდგენის ერთ-ერთი (თუქცა კი, ალბათ, არა ერთადერთი) მიზანი კახეთის ამ ნაწილში ადგილობრივი ხელისუფლების მკვიდრობის ჩვენება უნდა ყოფილიყო. უფრო მოგვიანოდ, XII საუკუნის მიწურულისათვის, წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტრის მთავარ ტაძარში სამეფო პორტრეტების მთელი გალერეის წარმოდგენისას, გაცხადებული იქნა სამეფო სახლის განკარგულებაში გადასული გარეჯის მრავალმთის ერთ-ერთ მონასტერში ბაგრატიონთა საკტიტორო საქმიანობა, აგრეთვე თამარის სწრაფა – წარმოეჩინა თავისი ოჯახი ერთიანი საქართველოს მეფეთა უშუალო, კანონიერ მემკვიდრედ, ხოლო მამამისის და თავად მისი მეფედ კურთხევა – ღვთივგანგებულ მოკლენად. ყოველივე ამის აუცილებლობა კი უთუოდ არსებობდა იმ გამუდმებული სირთულეების პირობებში, რომლებიც გიორგი III-ის მიერ ტახტის მემკვიდრეობის წესის დარღვევას მოჰყვა.<sup>276</sup>

დასასრულ, კვლავ უნდა შევხვთ ქოლაგირის ეკლესიის დარბაზის ჩრდილოეთ კედელზე წარმოდგენილ გამოსახულებებს და მათს მიმართულებას ჩრდილოეთი ეკლესიის საკტიტორო რიგთან. ეკლესიის მოხატულობის შემქმნელთა მიერ ისტორიული პირების პორტრეტთა განაწილების პრინციპი ორიგინალურად იქნა გადაწყვეტილი – ტაძრის ცენტრალურ ნაწილში იმხანად ერთიანი ქართული სახელმწიფოს სათავეში მდგომი ღვთივცხებული წყვილი უნდა გამოესახათ, გვერდითა ეკლდერში კი – სამეფო კარის თანამდგომ უმაღლეს საერო და სასულიერო ხელისუფალთა მთელი დასი. ისტორიულ პირთა სახეების ასეთი სიმრავლისას ვერ გამოირიცხება იმის შესაძლებლობაც, რომ სამეფო პორტრეტთა პირისპირ, ანდა ეკლესიის დარბაზის რომელსამე მონაკვეთზე, წარმოდგენილი იყო მომგებლის – ტაძრის გამოკვეთისა და მოხატვის უშუალო მოთავის პორტრეტიც.

ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილ VI საერთაშორისო სიმპოზიუმზე წაკითხულ მოხსენებაში გ. ბაბინმა წარმოაჩინა მმართველისა და მისი ხელქვეითის ერთად გამოსახვის ტრადიციასთან დაკავშირებული სურათის უმთავრესი ასპექტები ბიზანტიასა და საქართველოში.<sup>277</sup> აღ-

<sup>276</sup> Z. Skhirtladze, Les portraits de l'église principale du monastere Natlismtsemeli a Garedja, გვ. 14.

<sup>277</sup> G. Babic, Les ktitors et leurs suzerains dans la peinture murale en Géorgie et dans les Balkans. სამწუხაროდ, ეს მოხსენება დღემდე არ გამოქვეყნებულა. მისი ხელნაწერი 1996 წელს გადმოცა ათენის უნივერსიტეტის პროფესორმა სოფია კალოპისიმ.

ნიშნული ტრადიცია უკვე ადრეულ შუა საუკუნეებში ჩანს დამკვიდრებულად;<sup>278</sup> თუმცა განსაკუთრებით ფართოდ იგი უფრო მოგვიანოდ, XI-XII საუკუნეებიდან მოკიდებული, უნდა გაერცხლებულიყო მთელს აღმოსავლეთის საქრისტიანოში. მრავალ წანამძღვართაგან, რომელთა თაობაზეც ამ მოვლენასთან დაკავშირებით შეიძლებოდა მსჯელობა, საგულისხმო ჩანს ავტორის დაკვირვება, რომლის მიხედვითაც ასეთი რიგის საკტიტორო გამოსახულებებში ერთ-ერთი უმთავრესი უნდა ყოფილიყო მოხატულობის კტიტორის სურვილი, წარმოჩენილიყო არამარტო მისი ვედრება ცოდვათაგან გამოსახსნელად და სასუფეველის დამკვიდრებისათვის, არამედ მისი საკტიტორო ღვაწლი და ეკლესიისადმი გაღებული შეწირულების ხატოვანი გაცხადება, ისევე როგორც მისი სოციალური რანგი და მიმართება უზენაესთა წრესთან. თავის მხრივ, ასეთი რიგის პორტრეტებში ჩვეულებრივ გამოყოფენ ორ ძირითად ასპექტს:

ქვეყნის უმაღლეს ხელისუფალთან მიმართებით – მისწრაფებას. წარმოჩენილიყო მისი ღვთაებრივი წარმომავლობა, აგრეთვე მნიშვნელობა მისგან მომდინარე განგებისა, რომლის წყალობითაც შესაძლებელი გახდა საღვთო საქმის გასრულება.

ქვემდგომ წარჩინებულთან (წარჩინებულებთან) მიმართებით – სურვილს, ხაზგასმული ყოფილიყო ის გარემოება, რომ ღვთაებრივი განგებითა და უზენაესი მმართველის ნებით მან (მათ) მოიპოვა (მოიპოვეს) უფლება საკტიტორო მოღვაწეობისა, თავისი ერთგული მსახურების წყალობით.

შუა საუკუნეების ქართულ კედლის მხატვრობაში მმართველისა და მისი ხელქვეითის ერთად გამოსახვის მაგალითთა სიმრავლესთან ერთად, ყურადღებას იქცევს ამ რიგის პორტრეტებისათვის გამოყენებული სქემებისა და იკონოგრაფიულ სახესხვაობათა უჩვეულო მრავალგვარობაც. დღეისათვის ცნობილთაგან უადრესში – უდაბნოს მთავარი ეკლესიის მოხატულობაში (XI საუკუნის დასაწყისი) როგორც უზენაეს ხელისუფალთა (როგორც ჩანს, კახეთის სამეფო ოჯახის წარმომადგენლების), ისე ადგილობრივი დიდებულების პორტრეტები ერთ (ამ შემთხვევაში – ჩრდილოეთ) კედელზე, ურთიერთის გვერდიგვერდ გამოუსახავთ. ამ ჯგუფებს მხოლოდ შვეული სოლი ჰყოფს, თუმცა შემდგომთა უპირატესობა მათ განსათავსებლად კედლის ცენტრალური მონაკვეთის შერჩევის, შესამოსელისა და ატრიბუტების გარდა შარავანდებითაც იქნა ხაზგასმული.<sup>279</sup> როგორც ჩანს, თანაგვარი გადაწყვეტის შესახებ შეიძლებოდა საუბარი ატენის სიონის საკტიტორო

<sup>278</sup> ამის მაგალითია, თუნდაც, რავენის სან ვიტალეს საკურთხეველის მოზაიკური დეკორი, სადაც იმპერატორისა და ეკლესიის კტიტორი ეპისკოპოსის პორტრეტები იქნა ჩართული. იმპერიის უზენაესი მმართველი ძღვენს მიარსმევს უფალს, მღვდელთმთავარი – ეკლესიის მფარველ წმინდანს, წმ. ვიტალის (F. W. Deichmann, Ravenna. Hauptstadt des spätantiken Abendlandes, T. I. Geschichte und Monumente, Wiesbaden, 1969, S. 156).

<sup>279</sup> გ. აბრამიშვილი, დაეით გარეჯელის ციკლი ქართულ კედლის მხატვრობაში, გვ. 69-77; A. D. Eastmond, დასახ. ნაშრომი, გვ. 56. სურ. 36-37.

რიგთან დაკავშირებითაც. საქართველოს სამეფო კარის წარმომადგენელთა ჯგუფური პორტრეტი ამ შემთხვევაშიც ორად იქნა გაყოფილი;<sup>280</sup> კტიტორთა წინა, ორფიგურიაანი, ჯგუფი უზუნაესობის ხაზგასასმელად საგანგებოდ იქნა გამოყოფილი და ბემის კედელზე გამოტანილი. აქვე შეიძლება დაგვესახელებინა სხვა მსგავსი მაგალითებიც, სახეილობრ, ვარძია – სადაც გიორგი III-ისა და თამარის გვერდით, ჩრდილოეთი კედლის დასავლეთ მონაკვეთზე, კედლის თალით სამეფო პორტრეტებისაგან გამოყოფილ არეზე მოხატულობის მომგებელი, რატი სურამელი გამოუსახაეთ (შარავენდის გარეშე).<sup>281</sup> ურთიერთის გვერდიგვერდაა წარმოდგენილი ალექსანდრე I დიდის (1412-1442) და ქუცნა ამირეჯიბის საოჯახო პორტრეტები ნაბახტევშიც – მათ აქაც კედლის არქიტექტურული დანაწილება გამოიწვევა.<sup>282</sup> ქართულ რეალობაში ფართოდ უნდა ყოფილიყო გავრცელებული სხვაგვარი სქემაც, როდესაც მმართველისა და მისი ხელქვეითის სახეები მოპირისპირე კედელზე გამოისახებოდა ხოლმე. ბედიის ეკლესიის მოხატულობაში მეფე ბაგრატ III (975-1014) სამხრეთ კედელზეა წარმოდგენილი ეკლესიის მოედლით, ხოლო ადგილობრივი მმართველის ოჯახი - ჩრდილოეთისაზე (მოხატულობის ეს ნაწილი X-XI სს. მიჯნით თარიღდება; იგი მოგვიანოდ უნდა იყოს გადაწერილი).<sup>283</sup> მაცხვარიში დემეტრე I-ის (1125-1155/1156) მეფედ კურთხევის სცენა ჩრდილოეთ კედელს იკავებს, კვირიკე მამასახლისის ფიგურა კი მის პირისპირ იქნა წარმოდგენილი.<sup>284</sup> ამგვარივე პრინციპის შესაბამისად იქნა განაწილებული საკტიტორო პორტრეტები ბეთანისა<sup>285</sup> და ყინცვისში<sup>286</sup> (ჩრდილოეთ კედელზე – თამარისა და მისი ოჯახის წევრთა გამოსახულებები, სამხრეთით – შესაბამისად, ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი სუმბატ ორბელი და მწიგობართუხუცესი ანტონი), უდაბნოს მონასტრის ხარების ეკლესიაში (დემეტრე II თავდადებულნი [1271-1289] და მთავარეპისკოპოსი იოანე),<sup>287</sup> გელათის მონასტრის წმ. გიორგის ეკლესიაში (ჩრდილოეთ კედელზე – იმერეთის მეფე გიორგი II (1565-1585) დედოფალ თამართან და უფლისწულ ალექსანდრესთან, სამხრეთ

<sup>280</sup> G. Gaprindashvili, Vardzia, ტაბ. 73, 74.

<sup>281</sup> ი. ლორთქიფანიძე, ნაბახტევის მხატვრობა, თბილისი, 1973, გვ. 20-26, სურ. 13.

<sup>282</sup> P. O. Шмерлинг, К вопросу датировки храма Бедиа, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XVIII, N4, 1957, გვ. 503-509; A. A. Шервашидзе, Средневековая Монументальная живопись в Абхазии, Тбилиси, 1980, с. 46-47, 54-57, таб. XI, XII.

<sup>283</sup> Т. Б. Вирсаладзе, Фресковая роспись художника Микаела Маглакели в Мацхвариши, გვ. 174-177, 1186-1187, ტაბ. 56, 58.

<sup>284</sup> E. Privalova, Sur les peintures murales de Betania, in: M. Stella Calo Mariani, ed., L'arte georgiana dal IX al XIV secolo, Atti del terzo simposio internazionale sull'arte georgiana (Bari-Lecce, 1980), Galatina, 1986, p. 153-160.

<sup>285</sup> კ. ვაჩიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 745-752; ი. ფირალიშვილი, ყინცვისის მოხატულობა, თბილისი, 1979, გვ. 12-13, ტაბ. 39-45.

<sup>286</sup> Г. Н. Чубинашвили, Пещерные монастыри Давида Гареджи, გვ. 72-74; მ. ბულია, მეფე დემეტრე თავდადებულის გამოსახულება უდაბნოს მონასტრის ხარების ეკლესიაში, ხელოვნება, 1990, N5, გვ. 2-7.

კედელზე – კათალიკოსი ვედემონ ჩხეტიძე, აგრეთვე იმ დროისათვის უკვე გარდაცვლილი მეფე ბაგრატ III (1510-1565) და დედოფალი ელენე,<sup>288</sup> განში (დასავლეთი კედლის ზედა რეგისტრში – იმერეთის მეფე გიორგი II, იმავე კედლის ქვედა მონაკვეთზე – აბაშიძეები, საკურთხეველში – გელათის მონასტრის წინამძღვარი მელქიზედგ აბაშიძე).<sup>289</sup>

საგულისხმოა, რომ თამარის სამეფო კარის განგებთივე შექმნილ სხვა საკტიტორო გამოსახულებებში განსხვავებულ გადაწყვეტას ეხედებით: გარეჯის მრავალმთის წმ. იოანე ნათლისმცემლისა და ბერთუბნის მონასტრებში სამეფო პორტრეტთა გვერდით ქვეშევრდომთა სახეები საერთოდ არ გამოუსახაეთ (ამგვარი მაგალითები გვხვდება მოგვიანებითაც, სახელდობრ ლევან კახთა მეფისა და მისი მეუღლის, თინათინის მიერ მოხატულ ეკლესიაში – კაწარეთში, ალვანში, ნეკრესში, ახალ შუამთაში, გრემში<sup>290</sup>). თუმცა კი ქვეყნის უზენაეს ხელისუფალთა სახეების შემცველი მოხატულობებისათვის ამგვარი გადაწყვეტა გამორჩეულად უფრო აღიქმება; სხვა შემთხვევებში (სახელდობრ იმ ანსამბლებში, რომლებიც ადგილობრივ დიდებულთა ღვაწლით შეიქმნა) ეს ჩვეულებრივი მოვლენაა (მდრ. ზემო კრიხის,<sup>291</sup> ფანისის,<sup>292</sup> ტეზისის,<sup>293</sup> მღვიმეის,<sup>294</sup> ზარხმის, საფარის, ჭულეს,<sup>295</sup> სორის,<sup>296</sup> ფრესკები; ეს ტენდენცია განსაკუთრებით იკიდებს ფეხს გვიანი შუა საუკუნეების მოხატულობებში – იხ. მხერის, უღვალის, ჭალას, წითელიხევის, გელათის წმ. ელიას, იღემის, ქორეთის, ბუგეულის, ფარახეთის, ლეხთაგის, მარტვილის, დაბიშის, საყდარის ეკლესიების ფრესკები<sup>297</sup>).

<sup>288</sup> ნ. ჩიხლაძე, მხატვრულ-სტილისტური ტენდენციები გვიანფეოდალური პერიოდის კედლის მხატვრობაში (გელათის წმ. გიორგის ეკლესიის XVI ს. მოხატულობის მაგალითზე), საღისერტაცო ნაშრომი, თბილისი, 1993, გვ. 96-110.

<sup>289</sup> ი. ხუსკივაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 81-87.

<sup>290</sup> მ. ვანნაძე, ლევან კახთა მეფე და მისი შვიდი პორტრეტი კახეთსა და საბერძნეთში, *ლიტერატურა და ხელოვნება*, 1992, №5-6, გვ. 131-159.

<sup>291</sup> Т. Б. Вирсаладзе, Фресковая роспись в церкви Архангелов села Земо Крихи, გვ. 116-120, ტაბ. 42-43.

<sup>292</sup> Е. А. Привалова, Павниси, გვ. 41-45, სურ. 5 და 14.

<sup>293</sup> მ. ყენია, XIII საუკუნის მოხატულობანი ქვემო სვანეთში, *ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის XXXIII სამეცნიერო სესია, მიძღვნილი გაიანე ალიბეგაშვილის ხსოვნისადმი*, თბილისი, 1999, გვ. 18-19.

<sup>294</sup> ი. ხუსკივაძე, ქართულ ეკლესიათა გვიანი შუა საუკუნეების "ხალხური" მოხატულობანი, სადოქტორო დისერტაცია, თბილისი, 1995, გვ. 246-278

<sup>295</sup> Е. С. такаишвили, Археологические экскурсии, разыскания и заметки, I, Тифлис, 1905, с. 46-49; Д. Гордеев, Отчет о поездке в Ахалцихский Уезд в 1917 году. Росписи в Чуле, Сапаре и Зарэме, *Известия Кавказского Историко-Археологического Института*, т. I, 1923, с. 23; ე. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება, თბილისი, 1955, გვ. 50-51, 125-126; გ. ხუციშვილი, საფარის კედლის მოხატულობა, თბილისი, 1988, გვ. 70-78.

<sup>296</sup> ი. ჭიჭინაძე, სორის მოხატულობა, თბილისი, 1985, გვ. 4, 6-8, 10; ილიეს-ტრაციისათვის იხ. გვ. 64, 66-67.

<sup>297</sup> ი. ხუსკივაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 16-23, 105-109, 143-145, 194-195, 203-206, 279-281, 340-341, 364-367; მ. ყენია, საკტიტორო პორტრეტი ზემო სვანეთის მხატვრობაში, *ხელოვნება*, 1991, №7, გვ. 128-135; ნ. ჩიხლაძე, XVI-XVII საუკუნეების ისტორიულ პირთა პორტრეტები მარტვილის ეკლესიაში, *საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის წარკვევები*, III, 1997, გვ. 104-113.

ბიზანტიური არეალის რეგიონთა უმეტესობაში, სახელდობრ ბალკანეთში (სერბიეთში, ბულგარეთში), მსგავსი მაგალითები მხოლოდ XIII-XIV საუკუნიდან გვხვდება (მათგან უადრესია მილეშევა - 1228 წ., ბოიანა - 1259 წ., რასაც მოსდევს ვრცელი რიგი: დონია კამენიკა - 1320-1330 წწ., კუშევიშტე - 1332-1337 წწ., კარანი - 1340-1342 წწ., პეჩი - 1345 წ., ოკრიდი - 1346-1350 წწ., ლესნოვო - 1447-1448 წწ., რუდენიკა - 1402-1405 წწ., კალენიხი - 1407-1414 წწ. და სხვ.)<sup>208</sup>

დამოწმებულ სახესხვაობათა ამგვარი სიმრავლე იმავე მეტყველებს, რომ საკტიტორო გამოსახულებების განაწილებისა და მათი იკონოგრაფიული გადაწყვეტისას ყოველი ცალკეული შემთხვევა გარკვეული წანამძღვრებით უნდა ყოფილიყო განპირობებული. ამ წანამძღვრებს, ხშირ შემთხვევაში, სავსებით კონკრეტულ პოლიტიკურ, სოციალურ თუ კულტურულ ასპექტებამდე მივყავართ. თავის მხრივ, სურათის ამგვარი არაერთმნიშვნელოვანების მიუხედავად, ნათელი ხდება, რომ ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობა მაინც უმაღლესი ხელისუფლისა და მისი ქვემდგომი ლიდერების მიმართებაშია საძიებელი. სამეფო პირთა და მათს ქვემდგომ საერო თუ სასულიერო წარმომადგენელთა სახეების თანაარსებობისას, როგორც წესი, ნათლად იკვეთება, თუ რაგვარი სახითა და რა მასშტაბებით შეიძლება ყოფილიყო გაცხადებული ქვეშევრდომის მიმართულებითი თვითმყოფადობა, აგრეთვე მისი მიმართება უხენაეს ხელისუფალთან. ხშირ შემთხვევაში იმასაც გაედევნება თვალში, თუ რა სახით ხდებოდა ხაზგასმა საკუთარი თვითმყოფადობისა თუ მეფისადმი ერთგულების დამკვიდრებისა - ყოველივე ეს შეესაბამებოდა და ასახავდა რეალობას, თუ იყო წარმოსახვითი და პირობითი, ე.ი. განაცხადებდა გარკვეული ისტორიული, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული წანამძღვრებდან მომდინარე მისწრაფებებსა და მიზნებს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის ფონზე კიდევ უფრო ცხადად ჩნდება ის გარემოება, რომ ქოლავირის ეკლესიის მოხატულობის შემქმნელთა მიერ საკტიტორო გამოსახულებები საკმაოდ უჩვეულოდ იქნა განაწილებული: სამეფო პორტრეტებს ტაძრის დარბაზში მიეჩინა ადგილი, სასულიერო იერარქთა და ლიდრობელებთა დასი კი განცალკევებით, ეკლესიაში იქნა განთავსებული. ძნელია ერთმნიშვნელოვანი ახსნა მოექცხის ამგვარ გადაწყვეტას, თუმცა კი ერთი რამ ამთავითვე ნათელი უნდა იყოს - როგორც ჩანს, ფერწერული ანსამბლის მომგებელთა და მის შემქმნელთა ნაწილობრივ თავიდანვე იყო განსაზღვრული მოხატულობაში სამეფო კარის თანამდგომ სასულიერო იერარქთა და ლიდრობელებთა ვრცელი დასის პორტრეტული რიგის ჩართვა. აქედან გამომდინარე, ქვეყნის უხენაეს ხელისუფალთა და მათ უშუალო ქვეშევრდომთა ერთად (თუნდაც დარბაზის სხვადასხვა მონაკვეთზე) გამოსახვა ვერ მოხერხდებოდა თუნდაც იმ მიზეზით, რომ ასეთ შემთხვევაში საკტიტორო გამოსახულებათა ორი ნაწილი პროპორციული თვალსაზრისით ურთიერთშეუსაბამო აღმოჩნდებოდა.

<sup>208</sup> С. Радојичи, Портрети српских владара у средњем веку, Скопље, 1934. с. 18-22, 46-47, 50-51. 68-70; А. Васиљев, Ктиторски портрети, Софија, 1960, с. 16-26; В. Джурич, Византијске фреске у Југославији, Београд, Београд, 1975. с. 35-36, 55-56, 58-59, 62, 64, 68, 96-97, 101-104.



ფრესკების დაზიანების გამო ახლა შეუძლებელია იმის თქმა, თუ ვინ უნდა ყოფილიყო ქოლაგირის ეკლესიის მოხატულობის უშუალო მომგებელი – საკტიტორო გამოსახულებათა რიგში ვახირთუხუცესისა და ადგილობრივი ერისთავთ-ერისთავის მეთავეობა შესაძლოა დაკავშირებული ყოფილიყო მათს უშუალო ინიციატივასთან გამოიკვეთათ და ფრესკებით შეემკოთ მონასტრის მთავარი ეკლესია. თუმცა კი, ქოლაგირში ეს ასპექტი არც უნდა ყოფილიყო განმსაზღვრავი, რადგან ძირითადი აქცენტი ამ შემთხვევაში უთუოდ სხვა გარემოებაზე დაისმოდა – ფერწერული ანსამბლის სხვადასხვა მონაკვეთზე წარმოდგენილ საკტიტორო პორტრეტთა ერთიანობით აქ ხატოვნად იქნა წარმოჩენილი ის “ერთნებაობა და თანადგომა”, რომლისკენაც XII საუკუნის ბოლო ათწლეულების მანძილზე ასე ისწრაფოდა ქვეყნის სამეფო კარი და რომლის განხორციელებაც, მრავალრიცხოვანი წინააღმდეგობების დაძლევის კვალად, მხოლოდ 1190-იანი წლებისათვის გახდა შესაძლებელი (ნიშნულია, რომ ეკლესიის ფრესკაზე წარმოდგენილ დიდმოხელეთა და ადგილობრივი მმართველთა ვრცელი დასის სათავეში სამეფო კარზე გასრდილი და, ამდენად, უზენაეს მმართველთან გამორჩეულად ახლო მყოფი ორი პირი – კუთხის მმართველი გვიარის წარმომადგენელი და ქვეყნის უპირველესი ვახირი იქნა გამოსახული). ქოლაგირთან მიმართებით არც ისაა ნაკლებად მნიშვნელოვანი, რომ ამ ხანგრძლივი პროცესის ყველაზე უფრო აქტიური მონაწილე ვახირთა შორის უპირველესი, მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელი იყო – ქვეყნის უპირველესი მოხელე, “პატრონთა ერთგული უზომოდ”, რომელსაც ცდა არ დაუკლია სამეფოს შემდგომი განმტკიცება-გაძლიერებისათვის.

ფრესკების დაზიანებამ შეუძლებელი გახადა დაბუჯითებით რაიმეს თქმა იმის თაობაზე, თუ ვინ უნდა ყოფილიყო გამოსახული ეკლესიის დარბაზის ჩრდილოეთ კედელზე. თავისთავად მრავლისმეტყველია ის გარემოება, რომ ფრესკები სავარაუდოდ თამარის ზეობაში ეწადა შეესრულებინათ და იქ სამეფო წყვილი გამოესახათ. მეორე მხრივ, მონასტრის მასშტაბები, ისევე როგორც საკტიტორო გამოსახულებების რამდენადმე უჩვეულო არჩევანი და მათი განაწილების არატრადიციული პრინციპი არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ ეს თავისებურებები სამეფო გამოსახულებების შერჩევაშიც აისახა. აქედან გამომდინარე, ქოლაგირის მოხატულობაში სამეფო ოჯახის ნებისმიერი წევრის პორტრეტის არსებობა საკლებით მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო.

სხვაგვარი ვითარებაა საკტიტორო გამოსახულებების შესრულების შესაძლო თარიღთან დაკავშირებით. მისი დაუსტებისას ერთ-ერთი ძირითადი ამოსავალი მწიგნობართუხუცეს-ჰყონდიდელ ანტონის პორტრეტი შეიძლება ყოფილიყო. ვახირთა შორის უპირველესად ანტონ გლონისთავისძის მოღვაწეობის ზედა ქრონოლოგიურ ზღვრად 1204 წელია მიჩნეული (ესაა თარიღი, რომლის შემდგეაც მისი სახელი საისტორიო წყაროებში აღარ გვხვდება). რაც შეეხება ქვედა ზღვარს, იგი უემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, უფრო XII საუკუნის 90-იანი წლებისათვის არის მოსალოდნელი, იმ დროისათვის, როდესაც თამარისა და მის მომხრეთა ფრთას საბოლოოდ განუმტკიცდა პოსიციები. შესაბამისად XII-XIII სს. მიჯნა არის ის სავარაუდო პერიოდი, რომლის განმავლობაშიც უნდა შეესრულებინათ ქოლაგირის ეკლესიის მოხატულობა.

\* \* \*

იერისპირა გარეჯის გამოქვაბულ კომპლექსთა შორის ქოლაგირი მრავალმხრივ გამოირჩევა. მონასტრის ქვაბთა დიდი უმეტესობა (შესაძლოა მთელი მონასტერიც კი) იმ პერიოდში ჩანს შექმნილი, როდესაც მრავალმთის ამ კუთხის ადრეულ მონასტერთა და განსაშორთა უმეტეს ნაწილში ცხოვრება თუ მთლიანად გაუქმებული არა, საგრძნობლად მინაველებული მაინც უნდა ყოფილიყო. მართლაც, საბერეების, პირუკულმარის, დიდი ქვაბების, პატარა ქვაბების, ბერების სერის ქვაბ-სამლოცველოებში XI საუკუნის შემდგომ ინტენსიური ცხოვრებისა და აღმშენებლობის კვალი ფაქტიურად აღარ ჩანს. ეს მოვლენა მრავალი მიზეზით შეიძლება ყოფილიყო განპირობებული; მათგან უმთავრესად საგულეველები ჩანს დიდი თურქობა, სახელდობრ XI საუკუნის მეორე ნახევრის მოვლენები, როდესაც, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის სიტყვებით, გიორგი II-მ სელჩუკებს *“მისცა ნიჭად სუჯუთი და ყოველი ქუეყანა იორის პირისა[ც] კუხეთი, რომელი მოოჯრდა მოდღენდელად დღედმდე”*<sup>200</sup> ეს სიტყვები XII საუკუნის დასაწყისში დაიწერა; მდგომარეობა იერისპირა გარეჯში არც შემდგომ უნდა შეცვლილიყო საგრძნობლად. ასეთ პირობებში, მრავალმთის აღმოსავლეთ პერიფერიულ ნაწილში სამონასტრო ცხოვრების განახლების ახალი მცდელობა, ცხადია, უბირველეს ყოვლისა სამეფო კარიდან შეიძლებოდა წამოსულიყო. თავის მხრივ, სამეფო კარის უშუალო დეაწლითა და განგებით განხორციელებული იმ ფართომასშტაბიანი აღმშენებლობის ფონზე, რომელსაც თვალი გაედევნება გარეჯის ცენტრალური მონასტრების – წმ. დავითის ლავრის, წმ. იოანე ნათლისმცემლის, წმ. დოდოს და ბერთუბნის მონასტრების მაგალითზე, ამგვარი განზრახვა სავსებით ბუნებრივი ჩანს. სამეფოს უზენაეს ხელისუფალთა ზრუნვა გარეჯის ქვეყნის პერიფერიულ ნაწილში სამონასტრო ცხოვრების განახლებისათვის ემსახურებოდა უმთავრეს მიზანს – ამ გზითაც განმტკიცებულიყო მათი მფლობელობა მრავალმთის უწინდელ საზღვრებში. “სრულიად გარეჯის სახლის” ამ ნაწილში სამეფო კარის სააღმშენებლო მოღვაწეობის გააქტიურებას, როგორც ჩანს, პოლიტიკური წანამძღვრებიც უნდა დასდებოდა საფუძვლად: მონაპირე საერისთავოში შემავალი კუთხე სამეფო კარისაგან არამარტო გაუდმებელ ყურადღებას მოითხოვდა, არამედ ამ ყურადღების სათანადო სახით წარმოიწინასაღც. სწორედ ეს უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი წინაპირობა უზენაეს ხელისუფალთა ზრუნვის გააქტიურებისა იერისპირეთის ძველი სამონასტრო კერისადმი, კერძოდ კი პერეთის ამ კუთხის ერთ-ერთი გამოქვაბული კომპლექსის ასაღორძინებლად. ყოველივე ამის შესრულება, შესაძლოა, სწორედ მწიგნობართუხუცესის, როგორც სამეფო მონასტრების მეურვის განსახორციელებელი შეიქნა.

თავისი მდებარეობით, ისევე როგორც მასშტაბებითა და არქიტექტურულ-გეგმარებითი გადაწყვეტით, ქოლაგირი სამონასტრო ორგანიზაციის იმ პრინციპებს ასახავს, რომელიც გარეჯში XII-XIII საუკუნეთა მიჯნი-


<sup>200</sup> ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო მ.ს. შანიძემ, თბილისი, 1992, გვ. 162-163.

სათვის, ქვეყნის სწორუპოვარი ძლიერებისა და კულტურული აღმავლობის პირობებში უნდა დამკვიდრებულიყო – წყალუხვი იერის უშუალო სიახლოვეს, მისი წარმტაცვი ჭალების წიადში წამომართული დაბალი მთის ზედა ნაწილში გამოკვეთილი კომპლექსი ნაკლებად მოგვაგონებს მრავალმთის ისტორიის ადრეული ეტაპის მონასტრებსა და განსაშორებს (მაგალითად – თეთრ უღაბნოს, პირუკულმარს, წამებულს), რომელთაც ხაზგასმული სიმწირის, ასკეტურობის იერი გამოარჩევს. გარეჯის (კენტრალური მონასტრების – წმ. დავითის ლავრის, დოდაოს რქის, ნათლისმცემლისაგან განსხვავებით, ძირითადად ერთ იარუსად განთავსებულ ქვაბთა რიგისაგან შემდგარი მომცრო კომპლექსი ქოლაჯირში ერთდროულად ჩანს შექმნილი. იგი მოკლებული უნდა ყოფილიყო დამატებით სათავედაცვო ნაგებობებს. აქ ვერც განვითარებულ სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებულ სათავეებსა და სისტემებს შეხედვით (თუმცაღა, გაველურებული ვაზი, აგრეთვე თუთის ხეები, რომლებიც მონასტრისა და მდინარე იორს შორის არსებულ ჭალაში ახლაც იზრდება, აქ ერთდროს ნაყოფიერი სავარგულების არსებობაზე უნდა მეტყველებდეს). შედარებით მცირე უნდა ყოფილიყო მონასტერში მოღვაწე მოწესკოა რომცხვიც: ეკლესიის მსგავსად, ამჟამად დღიად არის დაზიანებული კოცხვიცის სატრაპეზოც; მიუხედავად ამისა, შემორჩენილი ნაწილის მიხედვით მისი თავდაპირველი ზომების აღდგენა რთული არ არის – იგი დაახლოებით 4,8x6,5 მ. უნდა ყოფილიყო (სერ. 27). უღაბნოს და ბერთუბნის სატრაპეზოების მონაცემთა გათვალისწინებით (სადაც კლდისგანვე გამოკვეთილი მაგიდებიც შემორჩა და ბერთა რაოდენობის აღნუსხვა საკმაო სიზუსტით ხერხდება<sup>300</sup>), აქ რცამდე მოწესე თუ განთავსდებოდა. მონასტრის შემქმნელთა ყურადღება ძირითადად მისი ეკლესიისა და სატრაპეზოს შემკულობაზე იქნა გამახვილებული – ისინი ერთიანად ფრესკებით არის გამშვენებული. როგორც ჩანს, ბერთუბნის მსგავსად ქოლაჯირიც ერთგვარად ელიტარული ელფერის მქონე მცირე კომპლექსად იქნა თავიდანვე ჩაფიქრებული და მის კტიტორებს მცდელობა არ დაუკლიათ, რათა მონასტერი ყოველმხრივ შემკული ყოფილიყო. ქოლაჯირი ამ მხრივ მართლაც გარკვეულწილად მოგვაგონებს ბერთუბანს, რომელშიც “ასახულია საქართველოს XIII საუკუნის დამდების იმ პოლიტიკური სულისკვეთების ანარეკლი, რომელიც ახლო აღმოსავლეთში ქვეყნის პირველობას და უძლეველობას გამოხატავდა.”<sup>301</sup>

სამეფოს უზენაეს ხელისუფალთა ღვაწლი გარეჯის უღაბნოში კიდევ ერთი სასულიერო კერის დაფუძნების (და ამით მრავალმთის გაძლიერების) საქმეში კომპლექსის მთავარი ეკლესიის მოხატულობაში შექმლებისდაგვარი სისრულით იქნა გაცხადებული. სარესტავრაციო სამუშაოების დროს გამოვლენილი მასალები (ჯხადყოფს, რომ თავისი მხატვრული ღირსებებით ქოლაჯირის ეკლესიის ფრესკები არაფრით

<sup>300</sup> А. И. Вольская, Росписи средневековых трапезных Грузии, Тбилиси, 1974, с. 14-21, таб. 1, 3, 4, 29, 31, 32.

<sup>301</sup> კ. მელითაური, ბერთუბნის მონასტრის სამშენებლო-ხუროთმოძღვრული ორგანიზაცია, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XXIV, №1, 1959, გვ. 119.



სურ. 27

ჩამოუვარდებოდა სამეფო კარის განგებით იმხანად შექმნილ მოხატულობებს წმ. იოანე ნათლისმცემლის, ბერთუბნისა და წმ. დოდოს მონასტრების მთავარ ეკლესიებში.<sup>322</sup> სხვაობა ამ შემთხვევაში ყველაზე უფრო მეტად ფერწერულ ანსამბლთა მასშტაბების მხრივ იჩენს თავს. ეს გარემოება კი, შესაძლოა იმითაც აიხსნას, რომ ქოლაგირის ეკლესიის გამოკვეთისა და ფრესკებით მისი შემკობის უშუალო ინიციატორი არა უშუალოდ სამეფო სახლი, არამედ უმაღლესი სამოხელეო დასის წარმომადგენელი, მწიგნობართუხუცესი, ან სულაც ადგილობრივი ერისთავთ-ერისთავი უნდა ყოფილიყო. აქედან გამომდინარე, კტიტორთა წინაშე სამეფო დაკვეთებისაგან რამდენადმე განსხვავებული ამოცანა დაისმოდა. ბუნებრივია, აქ საგულეველები იქნებოდა სხვა მრავალი წინაპირობის არსებობაც, რომელთა შესახებ მსჯელობაც მომავლის საქმედ რჩება. აქ შეიძლება მხოლოდ ერთ გარემოებაზე ყურადღების გამახვილება – აღნიშნული ფაქტი, თავის მხრივ, ცხადყოფს, რომ XII-XIII სს. სამეფისკარო მოხატვრულ წრესთან დაკავშირებული მოხატულობები, როგორც თავისი მასშტაბების, ისე შესრულების დონის მხრივ, სხვადასხვაგვარი შეიძლება ყოფილიყო; ყოველივე ამის მიზეზებად კი თითოეულ შემთხვევაში განსხვავებული წანამძღვრებია საგულეველები. და მაინც, როგორადაც არ უნდა სხვაობდეს ქოლაგირის მოხატულობა გარეჯის მრავალმთის სხვა თანადროულ ფერწერულ ანსამბლთაგან, ფაქტია, რომ იგი წმ. იოანე ნათლისმცემლის, ბერთუბნისა და წმ. დოდოს მონასტრთა მთავარი ტაძრების მოხატულობებთან ერთად უშუალო გამოხატულებაა XII-XIII საუკუნეებისათვის თავჩენილი საზოგადო ტენდენციისა. ეს ტენდენცია – სამეფო კარის განსაკუთრებული ზრუნვა მისდამი ხელდებული ძირქველი სასულიერო კერისადმი – განსაკუთრებით მკაფიოდ გიორგი III-ისა და თამარის ზეობისას უნდა გამოკვეთილიყო.

გამოქვაბული ეკლესიის ნგრევის სურათი, რომელიც ნათლად წარმოჩნდა რესტავრაციის დროს, სახელდობრ ჩამონაშალი ლოდებისა და მიწისაგან მისი ინტერიერის განთავისუფლების პროცესში, იმაზე მეტყველებს, რომ მონასტერი უცბად დაინგრა და ყოველივე ამის უმთავრესი მიზეზი ბუნებრივი კატასტროფა (როგორც ჩანს, მიწისძვრა) უნდა ყოფილიყო. კომპლექსის მთავარი ტაძრის, სატრაპეზოსა და სხვა გამოქვაბული სათავსებისაგან დარჩენილ ნანგრევებში მიწით დაფარული

